

# ქრონიკა



652/9  
1986

5

1986

# ქოროსი

გ ა მ ო ც ე მ ი ს

28-ე

წ ე ლ ი



ლიბრატორიუმ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უშრნალო

საპარტეზოლოს გეგმალითა კავშირისა და ავარის განყოფილების ორგანო

რა მშვენიერი ზღვა გუაქეს, აჭარა,  
რა მოშავალი, ძვირფასი ბედიო...

ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა  
ვიმოსხველეთით და დასხველეთით.

გ. ტაბიძე

5

1986

სეპტემბერი  
ოქტომბერი



გ ა თ უ მ ი

## შ ი ნ ა ო რ ს ი

### ს ი ტ ვ ა — ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ე ლ ბ ა ბ ა ს

ლეილა დიასამიძე — მთავარი სა-  
ზომი საქმეა 3

### ა ო მ შ ი ა, ა რ ო ჯ ა

მორის ფოცნიშვილი — ლექსები 7  
მინდია უჩანეიშვილი — მინიატუ-  
რები 10

მამია ვარშანიძე — ახალი წიგ-  
ნიდან (ლექსები) 12

რევაზ ოსეფაიშვილი — ჩემი  
დუმილი შენი განაჩენია  
(რომანის ერთი თავი) 19

გიორგი სალუქვაძე — რასაც  
სიცოცხლე ჰქვია (ლექსი) 26

ჯემალ ხოფერია — გზები (რომა-  
ნის ფრაგმენტები) 28

### მ ვ შ რ ლ ი ს ა რ კ ი ვ ი დ ა ნ

პარმენ ლორია — როგორ იწე-  
რებოდა „ჩაი“ 36

ალექსანდრე სამსონია — შტრი-  
ხები პორტრეტისათვის 40

## ახალი თარგმანები

ჟორჟ სიმენონი — მეგრე ლიეჟში  
(მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა ირა არეშიძემ) 44

## სუთფლელი. წელი პირველი

ოთარ ფუტყარაძე — რვა ეპიზოდი  
მერგოლურის ცხოვრებიდან  
(ნარკვევი) 47

ანა ალვანდიანი — ტექნიკური  
პროგრესის გზით 54

## ხელოვნება

ლამარა ბოლქვაძე — სიმართლე  
მთავრია 57

## კვალი ნათელი

დავით ნაცვალაძე — დიმიტრი  
ერისთავი (გაგრძელება) 66

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

შოთა ქურიძე — საქმის კაცი, ანუ  
ლევან ხიდაშელი როგორც ხა-  
სიათი (წერილი II) 72

## ილია ჭავჭავაძის დაბადების

### 150 წლისთავისათვის

რაფიელ შაქელაშვილი — ილია  
კრიტიკის რაობისა და დანიშ-  
ნულების შესახებ 79

## სსრკ-ის გულისა

ლადო შარაშიძე — მცირე მოგო-  
ნება 86

## წერილები

არჩილ რუგოშვილი — რიტმული  
ვარიაცია კი არა, გადამწერის  
შეცდომა 88

## მედიუზა

ვლადიმერ დარჩია — განსაკუთ-  
რებით... 92

გასულ ორ თვეში 94

## მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,  
გიორგი ბაჩყალიძე,  
ზურაბ გორბილაძე,  
მამია ვარშანიძე,  
(პასუხისმგებელი მდივანი),

ფოთა ჯოიძე,  
დავით თედორაძე,  
გიორგი სალუქვაძე,  
ჯემალ ქათამაძე,  
ალექსანდრე ჩხანიძე,  
ფრიდონ ხალვაში,  
დავით ხახუშაიშვილი,  
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,  
ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71.

გადაეცა წარმოებას 11.8.86, ხელმოწე-  
რილი დასაბუქდად 22.8.86, საგამომცემ-  
ლო თაბახი 4,8, შეკვეთის № 2071, ე  
00327, ქალაქის ზომა 60×90/16, ტი-  
რაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა  
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-  
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის  
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-  
თანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузин-  
ской ССР по делам издательства, по-  
лиграфии и книжной торговли. По-  
лиграфическое производственное  
объединение Аджарской АССР.  
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

ლეილა დიასამიძე

## მთავარი საზომი საქმეა

ახლაგზრდა ქალი ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის მუშა ლეილა დიასამიძე, მაგრამ უკვე საკმაოდ ვამოცდილი და აღიარებული. 13 წელიწადია ამ საწარმოში მოღვაწეობს. მუშაობაში ბევრი ვერ უდებს ტოლს, საზოგადოებრივ საქმიანობაში მით უფრო. ყველაზე დიდი ნდობა პირველად მაშინ გამოუცხადეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად რომ აირჩიეს. იყო საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი, შემდეგ კი მონაწილეობდა სკკპ XXVII ყრილობის მუშაობაში.

ლეილა დიასამიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია.

საქმე ყოველთვის მთავარი იყო. ახლა განსაკუთრებით. ასე იმიტომ ვამბობ, რომ სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ სულ სხვა ატმოსფერო მკვიდრდება — უაღრესად საქმიანი, მაღალი მომთხოვნელობითა და პრინციპულობით. მე ყრილობის დელეგატი ვიყავი და ნუ გაგიკვირდებათ, თუ სხვებზე მეტად ვიცი, უფრო სწორად, უშუალო შთაბეჭდილებების გავლენით დაერწმუნდი, რომ ის, ვინც ლაპარაკს უნდება, საქმისათვის დრო არ რჩება.

ყრილობიდან რომ დაგბრუნდი, ამ მომენტებზე განსაკუთრებულად გავამახვილე ყურადღება. მერე პარტიულ კრებაზე ვთქვი, რომ პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებაში სწორედ საქმით უნდა შევიტანოთ მთავარი წვლილი. ამის მიხედვით გაშალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა პარტიულმა ორგანიზაციამ, ეს დაულო საფუძვლად სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. საწარმოს თითოეული წევრის სამოქმედო დევიზი გახდა ფრთიანი გამოთქმა: შენმა საქმემ გამოგაჩინოსო.

ახლა თვით ჩვენს საქმეებზე. ქარხანამ პროდუქციის წარმოებას

შეიძლება თვის დავალება 101 პროცენტით შეასრულა: რეალიზაციისა 103,8 პროცენტით, მიწოდების 6 თვის გეგმა სრულად კი გავანადგურებ, მაგრამ ივლისში წავიფორხილეთ, სულ რაღაც ორი მეათედი პროცენტი დაგვაკლდა. ამას ადვილად ვუშველით, თუმცა, მეტი რომ მოგვენდომებინა, ეს მინუსი არ გვექნებოდა. შრომის ნაყოფიერებაც უფრო მაღალი გვაქვს ახლა, სხვა მაჩვენებლებიც ვაგაუმჯობესეთ.

ყოველი ადამიანის ადგილი საზოგადოებაში იმით განისაზღვრება, თუ რას აკეთებს, რამდენს და როგორ. სწორედ როგორ! უხარისხო, უგულო ნახელავი არავის სჭირდება დღეს. საწყობებში ღებვა ყველაფერი, რაც დღევანდელიობის მოთხოვნებს ვერ უპასუხებს, წყალში იყრება სახსრები. წუნი საერთოდ უნდა აღიკვეთოს და ჩვენთან — მითუმეტეს. ბათუმური ტრანსფორმატორები რომ საზღვარგარეთის 40-მდე ქვეყანაში იგზავნება. განა სულ ერთია, როგორი წარმოდგენა აქვთ ჩვენს საწარმოზე, ვთქვათ. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ანდა იტალიაში, არგენტინაში, საფრანგეთში, ინდოეთში, სხვაგან? არაა სულ ერთი, და ჩვენი ნახელავის ხარისხის მიხედვით ყალიბდება შეხედულებები არა მარტო საწარმოს, რესპუბლიკის, არამედ მთელი ქვეყნის შესახებ. ეს თუ არ გვაფიქრებს და გვალეღვებს, სახელის გატეხა არ ავცდება.

ბათუმური ტრანსფორმატორების 75,6 პროცენტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის. ეს ცოტა არ არის, მაგრამ კოლექტივი იქითკენ ასწრაფის, რომ მთელი მისი ნახელავი უმაღლესი კატეგორიისა იყოს. სურვილი და სწრაფვა ერთია, მისი განხორციელება მეორე და მთავარი. დღევანდელი წარმოების მასშტაბით ცალკე, დამოუკიდებლად ბევრს ვერაფერს გახდება. საწარმოები ერთმანეთზეა დამოკიდებული, მე თუ შენ შეგაფერხე, ან პირიქით, — ამით სხვა ფერხდება, კიდევ სხვა და საერთო საქმე ზარალდება. სახელმეკრულებო მიწოდების დისციპლინამდე მიმიყვანა სიტყვამ. უკვე ვთქვი, რომ ივლისში ჩვენც წავიფორხილეთ, ისე ამას სხვას არ ვაბრალებთ. მაგრამ ეს საქმე საერთოდ რომ მოუწესრიგებელია, ცხადზე უცხადესად უნდა მივიჩნიოთ. არ ვაიოლებ, არის საერთო სირთულეები, სიძნელეები, რომლებსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ, მაგრამ მეტი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის პირობებში, ამ ვითარებაშიც შეიძლება საქმის უკეთესად მოწყობა. შეიძლება მაშინ, თუ ყველა გულთან მიიტანს საერთო საზრუნავს და მარტო ხელმძღვანელებს არ შეაჩერდება. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ერთი ჩემი მოგზაურობის ამბავს მოგიტოხრობთ: ჩვენს საწარმოს ერთ-ერთი სახეობის მავთულით ქ. დუშანბეს ქარხანა „ტაჯიკაბელი“ ამარაგებს. დიდი ხანი არ არის, რაც დუშანბელები ჩვენი მომწოდებლები გახდნენ, მაგრამ თითქოს თავიდანვე ვერ გამოვნახეთ საერთო ენა, ვერ მივიღეთ საჭირო ოდენობის მავთული, გავგზავნეთ წერილი, მოგვივიდა პასუხი, მავთული მაინც არ



არის და გაიბა ასე მიმოწერა. წარმომადგენელი გავგზავნითო, დაასკვნეს ქარხნის დირექციასა და პარტიბიუროში. არჩევანი საწარმოს იურისკონსულტზე ნატალია გრაფდანსკაიასა და ჩემზე შეჩერდა. ჩავედით ღუშანბეში. ენახეო „ტაჯიკაბელის“ ხელმძღვანელები, გულითადად მიგვიდეს, მოგვისმინეს. მავთულის პირველი პარტია გამოგზავნეს კიდევ. ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც მუშებთან შეხვედრა იყო.

— მეც თქვენსავეთ მუშა ვარ, ცხადია, უფრო გამოუცდელი, — ეუბნები ხანშიშესულ დარბაისელ ქალს, რომელიც დეიდა მაშად გამეცნო. — შრომა მიყვარს, მაგრამ ხშირად ვცდები და იცით რატომ, დეიდა მაშა? — აი, თქვენ რომ მავთულს დროზე არ გვიგზავნიო.

— ჰო, შვილო, — ჩვენც გვიჭირს ზოგჯერ მასე, ჩვენც გვაცდენენ სხვები და ამას თუ არ ვუშველეთ, ლაპარაკი შეგვრჩება ხელში, — ისე თქვა დეიდა მაშამ, ჩემს გულში იჯდა თითქოს.

— თქვენ რა გქვიათ? — მკითხა დეიდა მაშაზე ახალგაზრდა ქალმა. — ლეილა.

— კარგი გოგო ჩანხარ, სწორად მოიქეცი, რომ გვეწვიე. მოდი ამათაც გაცანი. ამას იქეთ სულ გვემახსოვრები, აბა, მარჯვენდ, იქ, ბათუმში, ლეილა გველოდება და არ შევაფერხოთ, შევუძახებთ ერთმანეთსო.

მერე დეიდა მაშამ გვერდზე გამიხმო და საიდუმლოსავით მკითხა, შენ ის მითხარი, ჩვენი ნახელავი როგორ მოგწონთ, თქვენი მუშები უკმაყოფილონი ხომ არ არიანო. არა-მეთქი, რომ ვუთხარი, სულ ერთიანად გაიბადრა.

მოწოდების შეფერხებას იერიშობანა მოსდევს, ხოლო იერიშობანას — უხარისხო ნახელავი. ზუსტად ასე თქვეს ამას წინათ ქარხნის ერთ-ერთი საამქროს პარტიული ჯგუფის კრებაზე კომუნისტებმა.

გარდაქმნა და დაჩქარება ყველას და ყველაფერს ეხება დღეს. ძველებურად მუშაობა არსად არ გვარგებს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელება დროის მოთხოვნაა. ჩვენს საწარმოში აქამდე ამის პირობები არ იყო. აი, ახალი შენობა რომ შენდება, აქ ყველაფერი თანამედროვე გვექნება, საუკეთესო დანადგარ-მოწყობილობა, შრომის პირობებიც ბევრად უკეთესი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან იყვნენ ამას წინათ მშენებლობაზე, შემჭიდროებულ ვადებში უნდა მოვრჩეთ კორპუსის აგებას და საერთოდ მალე უნდა გადავცეთ საექსპლოატაციოდ განახლებული ქარხანაო. მაშინ მართლაც უკეთესი საქმით ვუბასუხებთ, მეტ. წვლილს შევიტანთ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

სიტყვა სხვა ამბებზე გამიგრძელებდა. პირად წვლილზე ვარაფერი ვთქვი. № 1 საამქრო, რომელშიც მე ვმუშაობ ამწყობია. აქედან უკვე მზა პროდუქცია ვადის. ყრილობიდან დაბრუნებულმა, ამხანაგებს ვთხოვე: მოდიო,

გამოვეხმართო ქვეყანაში დაწყებულ მოძრაობას და წამოვიწყოთ შუა  
ბრება იმისათვის, რომ მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმა 1987  
წლის 7 ნოემბრისათვის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რეკოლუ-  
ციის 70 წლისთავისათვის შევასრულოთ. ჩვენს სამქროში ინიციატივა-  
ნი ხალხია. უარი არავის უთქვამს. პასიურ თანხმობას არ ვგულისხმობ.

ყველა წარმატების თავიდათავი დისციპლინაა. ამაში მარტო იმას  
კი არ ვგულისხმობ, ზუსტად დანიშნულ დროზე გამოცხადდე საწარმოში  
და ასევე ზუსტად განსაზღვრულ დროზე წახვიდე, ეს თავისთავად. სამუ-  
შაოზე მოსვლა-წასვლა ელემენტარულ დისციპლინას განეკუთვნება. მთა-  
ვარი ისაა, რას და როგორ აკეთებ სამუშაო ადგილზე, თუ ქმნი იმას, რაც  
შეგიძლია.

ჯერ ყველამ ვერ შეიგნო ეს. წელს ექვს თვეში 49 კაცდე ვააცდი-  
ნეს ქარხნის მუშებმა. ეს ორნახევარჯერ ნაკლებია შარშანდედი ექვსი  
თვის მაჩვენებლებზე, მაგრამ თვითდამშვიდეების საფუძველს არ იძლევა.  
მანც რატომ უნდა გააცდინოს კაცმა სამუშაო დდე უმიზეზოდ?!

მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას დიდად უწე-  
ლობს ხელს უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის დონისძიება-  
ნი. ახლა ეგრეთწოდებული „ხელწამკრავი“ თავისუფლად ვეღარ გრძნობს  
თავს. მუშაკაცს ოდითგანვე მისი ნაშრომ-ნაჯაფით უცხოვრია. რაც ჰქო-  
ნია — ალალი და უყოფინებია. ამიტომამა მუშური სინდისი თუ მუშური  
გარანტია ლამის ფრთიან გამოთქმად იქცა.

კიდეე ერთი მთავარი საკითხი. შრომის ხალისი და ნორმალური სა-  
ყოფაცხოვრებო პირობები უნდა ჰქონდე კაცს. საქმეს რომ აკეთებს,  
სხვა საფიქრალი არ უნდა აწუხებდე, გულდადებული უნდა მუშაობდე.  
ეს საკითხი ჩვენს საწარმოში ბოლო დროს ერთ-ერთი პირველი რიგის  
საზრუნავი გახდა. საერთო საცხოვრებელი ავაშენეთ, კიდეე ბაგა-ბაღი,  
კლუბი გავხსენით, რეკონსტრუირებული მუშათა სასადილოც გვარიანი  
გამოვიდა. ახლა 54-ბინიან საცხოვრებელ სახლს ვაშენებთ, წლის ბოლო-  
მდე დამთავრდება. ალბათ, ახალ წელს 54 ოჯახი ახალ ბინაში იხვიმებს.

პარტიის წინასწარდასახულობათა ბედი თითოეულ ჩვენთაგანზეა და-  
მოკიდებული. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თითოეულმა სრული  
უპუგებით ვიდეწოთ, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ დაჩქარება-გა-  
რდაქმნის პოლიტიკის განხორციელებაში. ამისათვის უპირველესად  
ჩვენ უნდა გარდავიქმნათ, საბოლოოდ უნდა ვირწმუნოთ, რომ ძველებუ-  
რად მუშაობით ფონს ვერ გავალთ. ახლა ყველამ ის უნდა ვაკეთოთ, რაც  
შეგიძლია და ვაკეთოთ დაუმადლებლად, ძალების უმურველად, მთელი  
სულითა და გულით.





**მირაჟი**

დაღლილი მზე ზღვის ტალღებზე  
 აწვა,

შუბის ტარზე ტრიალებდა

წუთისოფლის ფარგალი, —

ჯერ შორს იყო მიწა,

მითუმეტეს, ცარგვალი...

სამრეკლოზე ზარს ზარავდა

ბზარი.

და ნისლივით მთებზე ეწყო

ფიფქოვანი ფიქალი,

ჯერ შორს იყო ქარი.

მითუმეტეს, გოიგალი...

ღრო ღვთის სანთლებს

ყვავილებად კრეფდა

და საღამო იცრებოდა

ბინდივით, —

ჯერ შორს იყო სევდა,

მითუმეტეს, სიკვდილი.

კრიანობდა მთვარე, როგორც

კრუზი.

ბზრდებოდა ვარსკვლავების

ტირაჟი.

ჯერ შორს იყო მწუხრი,

მითუმეტეს, რიჟრაჟი.

ვზა ფეხისგულებს მიწვავს,

წივის სიკვდილი, წივის. —

თბილი ყოფილა მიწა.

სისხლი ყოფილა ცივი.

**პარაუდი**

ირ. აბაშიძეს

შე არ ვამტიციებ,

შე მხოლოდ ვყვები, —

„ჩვენ ფრთები გვქონდა,

ჩვენ გვქონდა ფრთები!“

არა თუ დამცდა,

საესე ვარ რწმენით, —

„ჩვენ ვფლობდით ცას და

ცა იყო ჩვენი!“

თავს არ ვიწონებთ,

აქამდე ვერ ვთქვით, —

„ჩვენ ღმერთს ვიცნობდით,

ჩვენ გვყავდა ღმერთი!“

არ გვჭირდებოდა

სცენა და ფარდა,

„გვწამდა, გვჯეროდა,

გვჯეროდა, გვწამდა!“

**წლებმა გზებით**

**გამბავრას**

მორჩა, ლექსებს აღარ ვწერ,

რადგან აღარ ვოცნებობ, —

თუ გრძნობთ, საწერ-ქაღალდებს

თქვენ გიტოვებთ, მგოსნებო!

მზე მკლავზე უწევს მთვარეს,  
 ცა ვით ავადმყოფს მივლის, —  
 ხორცი ყოფილა მწარე,  
 სული ყოფილა ტკბილი.

ცოდვა არვის არ გაწევთ,  
რა ვქნა, რა მოგიტევით, —  
„მრავალ-მრავალ-მრავალ წელს!“  
გულით გლოცავთ, ჩიტებო!  
ნუ მიღერებთ ხელშუბებს.  
ისევ ის ვარ, ისევვე,  
არაფერი შეგმურდეთ.  
ხვალ-ზეგ თქვენც მოისვენებთ.  
წლებმა გზებით გამბაწრეს.  
თქვენ რა გიჭირთ, ცოცხლებო,—  
მორჩა, ლექსებს აღარ ვწერ,  
რადგან აღარ ვოცნებობ.

### საკვილინო სუიტა

ვიცოცხლო და ვიცოდვილო  
თუ შევასკდე ჩემს ცას ფრენით, —  
გული, როგორც ვიოლინო,  
ზედ ხემივით ხელი შენი.  
შვიდი ცა და შვიდი კენესა.  
შვიდი ნოტა, შვიდი მშვილდი, —  
გულო, ჩადექ საგულესა,  
სულო, ხომ არ შემიშინდი?!  
შვიდი მთა და შვიდი მღელო,  
შვიდი მწუხრის შვიდი ღველფი,

ერთადერთი საქართველო,  
ერთი, როგორც ქრისტე ღმერთი.  
ვიცოხლო და ვიცოდვილო  
იუ შევასკდე ჩემს ცას ფრენით,  
გული, როგორც ვიოლინო,  
ზედ ხემივით ხელი შენი.

### ყოფიარება

ჩანგი ჩემი თუ კენესოდა,  
სულ არ ღირდა ცხოვრება, —  
იყო უკიდურესობა,  
იყო უსაზღვროებაც.  
სუნთქვა ჩემი ვის ესმოდა,  
ჭირს მალავდა ჭრილობა, —  
იყო უსასტიკესობა,  
მაგრამ მაინც თბილოდა.  
ვინ ითხოვდა გულწრფელობას,  
გვწამდა და არ გვჯეროდა, —  
იყო თითქოს სულგრძელობა,  
იყო სულმოკლეობაც.  
ღროს მიჰქონდა ჩვენი სვითო,  
ისე ვით მგელს თხის ტყავი, —  
იყო რაღაც, მაინც იყო,  
იყო, რადგან ვიყავით!

### ს ტ უ მ რ ა ლ

შგონი გული მომივიდა,  
სამი ღღეა, შენს მკლავებში ვწვალობ, —  
სიკვდილი მაქვს მოსჯილი და  
ვანაჩენის სისრულეში მოყვანა  
აღბათ შენ თუ დაგავალეს, ქალო:  
აღარ მჯერა არაფერი,  
მარტო ვარ და შენთან ერთად ვმგზავრობ, —  
ლექსები მაქვს დასაწერი

და ლექსების სიმღერებზე განფენა  
ვიცი, შენ რომ გევალება, ქნარო.  
ქარბორია მომივარდა,  
საწუთროსთან ბრმის ზეღვოზით ვდგობ, —  
მარტოხელა მოვდივარ და  
უპოვარი მგოსნის სტუმრად მიღება  
ისევ შენ თუ შეგიძლია, ცაო!

## წ ვ ი მ ს

წვიმს. ქოლგას მაინც არავინ არ შლის.  
წვიმს. ო, წვიმაშიც არ შევალ სახლში.  
მე, რა თქმა უნდა, არა ვარ ბავშვი, —  
რა ვქნა, თვალები მიმიბრბის ცაში,  
მთვარის აღმასით ამოჭრილ ცაში.  
მთვარის აღმასით ამოჭრილ ზარკმელს  
და შუქს, რომელსაც სარკმლიდან მაკმევს  
ჩემი პატარა ცდუნების ვაშლი,  
მინდა ბავშვივით დავუკრა ტაში  
თუმც, რა თქმა უნდა, არა ვარ ბავშვი.  
ეტლში მიბია ცალთვალა რაში,  
მე, რა თქმა უნდა, მოეკვდები გზაში.  
წვიმს. ქოლგას მაინც არავინ არ შლის.  
წვიმს. ო, წვიმაშიც არ შევალ სახლში.

## შემოდგომა პენსიაზე

შემოდგომას პენსიაზე აცილებენ, —  
ზარზეიმი. ოვაცია. ტაში.

ფოთლები კი,

როგორც პროკლამაციები,  
პროტესტივით ფარფატებენ ქარში.  
შეუცნობი რჩება ჭველი განტოლება,  
აოვლი მოდის. აღარავინ დეღავს.  
მეუხოვე ფოთლებს ერთად აგროვებს და  
ჩრთი ცეცხლი ანადგურებს ყველას.

## სე ცნობადისა

არც რა სურვილი, არც რა მიზანი, —  
მე მოველ, მაგრამ თქვენ ვერ მიცანიო,

მიწა ვბარე და ვთესე ხორბალი, —  
ფეხი დამადგით, მერე მომკალით...

მერე მე აღვსდექ, ვითარც ალილო, —  
ხე ცნობადისა თქვენს წინ ვყვავალობ.

არც რა მშვილდი და არც რა ისარი, —  
ხილად იხილეთ, რაც მოგისწართ!

მე თქვენ მიყვარხართ, ოღონდ მაცალეთ, —  
თქვენს ჭირს წავიღებ, თქვენ გენაცვალეთ!

## მინდია უჩანეიწვილი

### მინიატურები

#### მუხა და ია

უღრან ტყეში უღრტვინველად იდგა მუხა. „ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად“. გოროზი შეხედულება ჰქონდა. ტოტები ცათამდის წვდებოდა, ფეხვები ქვესკნელს აღწევდა. და იყო ასე... მიწას ძუძუსა სწოვდა, ხარბად ისრუტავდა.

ძლიერი იყო მუხა... ძალიან ძლიერი.

ია კი, პატარა ია, იქვე, ბუჩქის ძირას ამოსულიყო, ფაქიზად წამოყვოთ თავი, თითქოს ეშინიაო. ნაზი იყო, მეტად ნაზი. მუხას კრძალვით შეჰყურებდა. ეშინოდა კიდევ მისი. მამობილად მიაჩნდა, მრისხანე მამობილად.

და იყვნენ ასე...

სალამო ხანს ცა მოიდრუბდა, კოპები შეიკრა, თითქოს ვიღაცამ განარისხაო. დასალიერთან ნაპერწკლიანი გველივით დაიკლაკნა რაღაც. და-

იგრუხუნა. დაუშვა წვიმამ... მაგრადაც. იმძლავრა გრივალმა. გაცოფდა, გაღაირია ამინდი.

შეერკინა მუხა ქარიშხალს. სასტიკი ჭიდილი გაიმართა. ისმოდა მსხვერვეის ხმა, ლაწა-ლუწი, თითქო კენესაც კი მოისმოდა ალაგ-ალაგ და ბოლოს მიუჩნდა ყოველივე... თითქოს მიემძინა ბუნებას.

დილით აღარ იღვა მუხა.

„აქ ხომ მუხა იღვა?“ — ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

„ნუთუ მარტო იღვა?! მეტი არაფერი“... თავისთვის ჩურჩულებდა ია.

## ინვალიდი და კიბე

კიბეებზე ამოდიოდა.

საშინლად დაღლილი ჩანდა. ძლიერ უჭირდა საცოდავს — ცალი ფეხი არ ჰქონდა, ყავარჯნებს იშველიებდა. წინ კიდევ სამი სართულის ასვლა ელოდა და ისიც ადიოდა. სახის ნაოჭებში ოფლის წვეთებს მოეკალათებინა. ძარღვები დაბერვოდა. გულს მაინც არ იტეხდა. თუმცაღა არ ეგონა თუ ასე გაუჭირდებოდა კიბეზე ასვლა.

ვიღაც ახალგაზრდა გიჟივით ავარდა ზევით. ის თითქოს არც შეუნძინავს. მხარი ატკინა მხოლოდ. ძლივს შეიმავრა თავი. ცოტა შეისვენა, სული მოითქვა. არა, უნდა ავიდეს, უთუოდ ავიდეს. დასმარება არ უნდა, ისეც ავა.

„აბა გასწიე!“ — გაიძხნევა თავი

ერთი სართულია დარჩა. კიბეებზე ჩამოჯდა. ოფლი მოიწმინდა. თითქოს რაღაცაზე დაფიქრდაო, შემდეგ შარვლის ცარიელ ტოტს დახედა. ცალი კურცხალი ჩამოუგორდა სახეზე და ტუჩთან მიეყინა, თითქოს შერცხვაო. წამოდგა ბოლოს, ზევით აიხედა, ყავარჯნები მოიმარჯვა და ცალი საფეხურით აიწია.

შემდეგ — მეორე, მესამე, მეოთხე და აი, ავიდა კადეც. გაელემა...

მას კი ეგონა....



## ახალი წიგნიდან

დაბადების 70 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ  
პოეტს მამია ვარშანიძეს.

„ჭოროხის“ მკითხველთა სახელით ვულოცავთ  
პოეტს ღირსსახსოვარ თარიღს და ვბეჭდავთ მის ახალ  
ლექსებს.



გმადლობთ, ჩემო მეგობარო, და მადლობა ყველას,  
ჩემს ალალ გულს და ჩემს ლექსებს არ სჩვევია რყევა,  
ჩემი მთის და ჩემი ბარის მე მარადი ტყევე ვარ.  
ვინ მასწავლა ლექსის წერა? — „დედაენამ“ ჩემმა,  
ამოვიდგი როცა ენა, გულმა დამიჩემა.  
ვინ მასწავლა ლექსის წერა? — აკაკიმ და ვაჟამ,  
და მოვპარე იღუმალი რაღაც ამ ჩემს ლაჟვარდს.  
ნაომარი, გარდასული, წინაპრებიც ვიხმე,  
სულიც, გულიც წარიტანეს იმათ რაც კი მითზრეს,  
ჩაეხედე და ჩამოვხედე ნაპრალებს თუ ქვესკნელს,  
ჩვენს სისხლიან ისტორიას ყელში გადავესკვნე.  
ხან შავშეთში გავიჭერი და ხან ტაო-კლარჯეთს,  
მათზე ფიქრით და ოცნებით სული ჩემი ვტანჯე.  
დედაჩემიც სიზმრად ვნახე, მითხრა: ჩემო ძეო,  
თქვი ჩემზედაც, რა ვიტანჯე და რას გავუძელო.  
გაზმაც ფეხი რომ მოიდგა, მოხკდა წვეწის ჩქერი  
და გაივსო ყელამდისა სამასი წლის ქვევრი,  
რომ სუფრასთან ჩემთან ერთად ქალიც აღიღინდა,  
ეს საქვეყნოდ ლექსად მეთქვა, განა არას ღირდა?!  
გავჭერი და გამოვჭერი ბურუსები სქელი,  
მერე ასე თითო-თითოდ, ლექსად ჩამოვქენი,  
და რაც მითქვამს, აქ მოვნახე, ნამსხვრევი თუ მთელი,  
ღიას, მე ვარ გულამოსკვნით იმ ამბავთა მთქმელი,

როცა ვახსენებ ჩარგალს, ოცნების კარს ვერ ვრაზავ...  
 დღეს მგზავრი ვარ და მიფენს მთა ურქან-ქუჩებს გზა-გზა,  
 მხრებზე ნაბადად ვირგებ ნაზს და პირველქმნილ ლაჟვარდს,  
 სხვაგან რა მინდა პოეტს, შენსკენ მოვილტვი, ვაჟავ!  
 შენი მუზა აქ მეფობს, აჩუქურთმებდი ამ ცას,  
 აქ ცეცხლს ანთებდი დევთა და ქარს ატანდი ნაცარს,  
 იქნებ ვიპოვო, ვემბე შენს ღვთით კურთხეულ მარცვალს,  
 ვემბე და ვერ ვპოულობ, და მე მიწია ჯვარცმამ.  
 ეცილებოდი დიდ მთებს, ხან თოვლიანს, ხან მზიანს,  
 ხან ნუკრსა ჰგავდი გულით და ხან კი არწივს ზვიადს,  
 და შენ რომ ჩამოჯდებოდი, ჰა, მეც იმ კლდეზე ვზივარ,  
 და ვისმენ თითქოს მშვიდად ავი ზვაუების ზრიალს.  
 ვაჟავ, ბუნების მეფევე, ასე ღიად რომ გვიქვებ,  
 სადაც პირიმზე ხარობს, ზვავის მთხრელია იქვე,  
 მგზავრი ობოლი უცებ სადმე ჩამჩუქქროს იქნებ,  
 ბასრი ალმასით ვკაწრავ, ოხერ, შიშნარევე ფიქრებს.  
 დიდ მგოსანს სცემდი თაყვანს, მთაო, მე განა მინდობ?!  
 რეტდასხმული ვარ მგზავრი, გული ვით დავიმშვიდო,  
 ბუმბერაზი ხარ, მთაო, არ ჰგავხარ ამ ჩემს მინდორს,  
 ლაშარის ჯვრით მაკურთხე, სადა ხარ, ვაჟავ, დიდო?!

მდინარეები ჰქუხან, აღარ აპირებს ავღარს,  
 გადაიკარა უცებ, შორით ბური რომ ჩანდა,  
 რომ მიპირებდა ქვესკნელს, ის ქარიშხალიც ჩადგა,  
 სტუმარს გამიღო კარი, და მე ვემთხვია ჩარგალს.



ვარშანიძე, კოხტა ბიჭო, სადა ხარ,  
 შემოირტყი შენი ოქროს ქამარი,  
 შენ რომ ეტრფი, ნეტავ ერთი განაზა,  
 გეგონება ნესტანი ან თამარი.  
 ხომ არ გძინავს, მოიფშენიტე თვალები,  
 ჩიტი გალობს და არწივი არწივობს,  
 შენ გელიან, რად არ მოეჩქარები,  
 გოგონებში გაერიე, ყმაწვილო.  
 ჩანგს უკრავენ, გოგონები მღერაიან,

ნუთუ წევხარ თილისმებით შეკრული,  
აი, გელის შენი ტურფა ფერია,  
გამოდი და დაუარე ლეკური.  
გადავარცხნე შენი ოქროს ჯოჯორი,  
გოგონების ფათქა-ფუთქი ჟრუანტელის  
მგვრელია,

ჭიდაობენ, ჰა, ბიჭები — ყოჩები,  
ვარშანიძეე, კოხტა ბიჭო, გელან!  
ვინ გეძახის: გვანდა შენი ქორწილი,  
ვინ გეძახის: გამოეწეე სანეფოდ?!  
დედოფალო, გენაცვალე ორწილად.  
დღეს შენ უნდა მაკურთხო და რამეფო!  
ვარშანიძეე, აწკრიალე შენც ჩანგი,  
ნუ იქნები მდუმარების ხიზანი...  
სიყმაწვილეე, საით გადაშეკარგე,  
ყოველივე ნუთუ არის სიზმარი?!  
ჩემო ცელქო სიყმაწვილეე, სადა ხარ,  
მოდო, კოხტად შემოირტყე ქამარი,  
შენი გოგო ნეტავ ერთი განახა,  
გვეკონება ნესტანი ან თამარი.

### მექოთნის საფლავს რომ რწყავდა გოგო...

იებს აბრუებს მზე თაკარა და  
მაინც აქ რამდენს თვალი უღიმის!  
გოგომ ასხურა წყარო ანკარა,  
თითქოს მინელდა მიწის ღუღილი.  
გოგოვ, საფლავზე ჩამოდგი სურა,  
იქნებ წყურვილით ყელი გაუშრა,  
დე, მოსვას თავის ნახელავიდან.

გოგონამ სურას ხელი გაუშვა...  
გადაიდვარა წყალს ჩუხჩუხით,  
მექოთნის სული გადააგრილა.  
გოგო მექოთნის საფლავს ქედს უბრის...

და მერე სახლში ბრუნდება გვიან.  
იმ დამეს ნახა მექოთნე სიზმრად,  
— გმადლობთ, გოგონავ! — ეს უთხრა  
მხოლოდ...

შეშურდა ესე ვიღაც საზიზღარს,  
და სურას ჩუმად მოუღო ბოლო, —  
დაამსხვრია და ისროლა წყალში...  
დილით გოგონა სტიროდა ამად,  
სისხლი და ცრემლი ჩაუდგა თვალში,  
და შეეკითხა თავის ბრძენ მამას:  
— რად არის ზოგი ბოროტი ასე,  
მადლის მქნელს რისთვის მომიკლა გული?!  
— ღმერთმა დაბადა ცუდიც, კეთილიც,  
სიძულვილია თვით სიყვარულშიც,  
შეპარულია ბადაგში შხამი! —

გოგონა ნაზი  
გულპირს უხსნიდა დიდ ზიბრძნეს მამის.

### გალიაში ხომ ლომებს ამწყვდევენ...

შენი ფიქრების ჩამოჰკრა ზარმა,  
უცნაურია შენი სიზმრები,  
ბიჭო, კითხვებით ნუ დამღლი მამას,  
გაიგებ ყოველს, როს გაიზრდები.  
უცნაურობას მე შენსას ვშიშობ,  
არ ჩაგისაფრდეს ბედი კერაჯი.  
ახლა იღუმაღს გეტყვი... და შეიღო,  
ოდეს გაუჭერ გულის პერანგი...  
და გამოჩნდება... შენ დაინახავ  
სად არის სიბრძნე გადანახული,  
მარცვლებს აკენკავ და შეინახავ,  
სურნელს იგემებ შენ გაზაფხულის.  
დიდ მთებს არწივნი ფროთებით არწივენ  
მთებს რომ დაქცევს, დიდი შვაკია...  
გალიაში ხომ ლომებს ამწყვდევენ,  
რადგან ლომები საშიშარია.

სიზმარეული  
ანუ  
ღამეა და თოვს

ღამეა და თოვს, თეთრად მოსავს ბნელს,  
მე ჩავმდგარვარ გზად...

ღამეა და თოვს.

გულო ჩემო მხნედ, ნუ იღარადებ ბევრს,  
გადვურჩები მე ამ ქარსა და თოვლს.

დემონი ხომ მღევს, მე იგი მგვრის შიშს,  
რატომ უნდა მას შეეხოს სულს ჩემს?!

მე ყურს ვუგდებ ცას, მე ყურს ვუგდებ ჩქერს,

იღუმალი ხმა რასმეს წერს და შლის..

„ბუნებაა თვით თავისთავს რომ ზრავს,  
თვით აჩენს და სპობს ცად აღმართულ მთებს;  
კაცი ხარ და ხამს, ნუ გადაზვალ ზრამს,  
ნუ მოიბამ შენ ყვაფ-ყორნების ფრთებს.

ნუ მიბაძავ, ნუ, ტაძრის ძირის მიხრელს,  
ნუ გაურევ, ნუ წყალში შხამის წვეთს,  
მტრულად სათნო არსს ნუ შეახებ ზელს,  
ჭეშმარიტი კაცის იყავ ძმა და მწე.

ნუ მიეტრფი, ნუ, თუნდაც ოქროს ზოდს,  
ლუკმა-პურიით ხამს დანაყრდი და წა,  
მტკიცედ იყავ გზად, ნუ დაკარგავ გონს,  
ნუ მიანდობ ბელს აღიდებულ წყალს“.

ვინ ჩამძახის, ვინ, ვისი ხმაა ეს,  
ბრძენია თუ სხვა, მამაა თუ ძმა?!

არავინ ჩანს გზად, მეხი კვლავ ცას ზევს,  
სცვივა, სცვივა ცა, დაშლილ თეთრ-თეთრ ძნად.

ფიქრით მივლევ გზას, რა შორია გზა!

აუშვია შვავს, მე კი თავს არ ვთმობ.

სადღაც ისევ ჰქუხს,

და ცას უჩენს ბზარს,

ღამეა და თოვს...

ღამეა და თოვს.

აღარაფერი აღარ შამოვრჩა, —  
 არც თმა — მოლივით ბიბინ-ბიბინა,  
 თითქოს მთა იყავ და ქარიშხალმა  
 შენს თავზე რისხვით გადაირბინა.

არც სახე შევრჩა ლამაზ-ლამაზი,  
 დაგანაოჭა ჟამმა საშინლად,  
 და შე ნუ მკითხავ, რამ დამაფიქრ...  
 რამ დამადარდა, რამ შემამინა.

არც კბილი შევრჩა სპილოსძვლისფერი, —  
 გაიღიმებდი, შუქს მოაფენდა,  
 შენი თვალები — შუქთა ისარი,  
 მწყერს და ნარჩიტებს წამოაფრენდა.

არც ძალა შევრჩა ლომისმიერი  
 და ვძალები ზეზე ადგომას,  
 არც გაურბი და არც უშინდებო  
 რაღაც ტრადიკულ ჟამის დადგომას.

შენ ერთი შევრჩა — ნაზი ზრდილობა  
 და გამოხედვა დარბაისლური,  
 სტუმარს შეხვდები ფეხზე ადგომით  
 და გაღიმება გშვეენის მისნური.

შენი აზრები, შენი სიტყვები,  
 ამოქუხს შენივ სიბრძნის წყაროდან...  
 შენს სიდიადეს, მარადის ღვთიურს,  
 უტოვებ ყველას განძად, წყალობად.

შავრამ ვერავინ ვნაზე თვინიერ  
 შენს ცინცხალ წყაროს დაწაფებული...  
 მიჰქრის ცხოვრება დაუშრეტელი,  
 მიჰქრის ცხოვრება აქაფებული.

18931

ქაქ. ასრ. კ. მარჯოსი  
 ს. ს. რისობ

ერთმა გოგონამ ცოლიანი რომ შეიყვარა,  
დანაშაული არის განა?

ვერ ამიხსნია.

ვაჟის ბილიკზე წამიერად იამ იხარა,  
ეს სტრიქონებიც იმ ყვავილთა წმინდა სისხლია.

ზოგი ამბობს: რად მოხდა, როგორ,  
რად ქნაო ესე?!

იქნება გულმა დასძლია გოგო,

მოდო და აბა შენ გული მწყემსე!

იმ ვაჟმა გოგოს რომ აკოცა და ჩაეხვია,

დანაშაული არის განა? რას იტყვის ცოლი?

ცოლი ცოლია, ზოგჯერ სუნთქვა, ზოგჯერ მეხია,  
რას ეტყვის ცდომილთ?!

და სიყვარულმა ვაჟსაც იქნებ ასე უბრძანა,

ვაჟს სიყვარულთან შერკინების არ ეყო ძალა.

და მოხდეს ასეც: შეიყვაროს იმ ცოლმაც ვინმე,

რას იტყვის ქმარი?

ალბათ ყელში მისწვდება ტორით..

ეჰ, ეს ამბავი გულზე ისე დამაწვა მძიმედ,

ვით ალვის ზე ვარ, ქარში ჭაში დამიდგა ტყდომის.

მე სიყვარულის ბაღში დავალ, ლოტოსი მიყვარს,

ბაღში დავალ და ის მადონებს — ჩემს წინ ნისლია:

ერთმა გოგონამ ცოლიანი რომ შეიყვარა,

დანაშაული არის განა?

ვერ ამიხსნია.

გეფიცებით ვერ ამიხსნია.

შენ რაღას იტყვი, მეგობარო, და შენ უცნობო?

ჩემს თვალებში უკვე ნისლია



# ჩემი ყაყაღი შენი ბანაჟენია

რუსიანის ერთი თავი

გამთენიის ხანი იყო, ოდას რომ მივაღეკი. დედაჩემის საწოლ ოთახში სინათლე ენ-  
თო, მაგრამ არ გამკვირვებია. თუ შინ არ ვიყავი, არასოდეს აქრობდა სინათლეს.  
ფეხაკრეფით დავიწყე ასვლა კიბეზე, არ მინდოდა, მთელი დღის ნაშრომ-ნაჭაფის  
გაღვიძება. მერე, რა ტკბილია ძილი გამთენიისას! ამ დროს ქარის თუ წვიმის ხმაური,  
ძაღვების ყეფა თუ მამლების ყვირილი ადამიანის გრძნობა-გონებასთან ქვეცნობიერად  
შესისხლხორცებული, ცალ-ცალკე ადებული და მაინც ერთ მთლიანობაში მოქცეული  
ხანინასებური სიმღერაა. უამხმებოდ ძილი, ალბათ, იგვევა, რაც სიკვდილი. ბოლო სა-  
ფეხურზე გავჩერდი. დაღლილი არ ვიყავი, მაგრამ მოაჩირს მაინც მივეყრდენი ზურგით.  
ბინდი არ ექანებოდა. ჰაერი სუფთა იყო, ოდნავ ნესტიანი და ცივი. აღმოსავლეთის  
გაცრეცილ ცისკიდურს მივაჩერდი. მამლები ყიოდნენ. საღდაც ძაღლი ყეფდა. მთვარეს  
ფერი დაკარგვოდა. ვარსკვლავები ნავთგამოღებული ლამპებივით ბჟუტავდნენ. სუნთქვა-  
შეკავებული კაცივით იდგა ტოტემჩამოქეხებული ხეჭეჭური მსხალი. შესუოდა მდინარე.  
კანი პეტელობდა. ნოთია ხბო თხმელის ჩქოლზე კისერს აფხანდა.. არც ხეჭეჭურს ეძინა,  
არც მდინარეს, არც ძროხას, არც ხბოს, არც თიკანს, არც ჩვენს ერთადერთ მამალს  
— მადვიძარა საათის მაგვირობას რომ გვიწვედა და არც იმ ძაღლს, კაციშვილი რომ არ  
უგდებდა ყურს მის ძაღმორეულ ყეფას.

არცთუ ისე დიდხანს ვიდგე, მაგრამ არაფერზე არ ვფიქრობდი. სულ არაფერზე.  
მე მოცეცხდა მხოლოდ ის, რომ იყო გამთენიის ხანი, სწორედ ის დრო, როცა ყველაზე  
უფრო ტკბილია ძილი, მაგრამ რატომღაც არ ეძინა სოფელს. და ეს ხმები, ერთად  
შეზავებული, ჰარმონიული, ყრუ, თუ მანვილი ბგერები — იყო არა მარტო ჩემი სოფ-  
ლის, არამედ მთელი სამყაროს სიფხიზლის ხმა, არა მკვდარი, არამედ ცოცხალი, მოლა-  
პარაკე და მომღერალი ღამის ხმა.

წაბლის ხის იყო ჩვენი სახლი. ზემოსურებიდან მდინარე, სუფსით ჩამოეცურებინათ  
მისი მასალა მამაჩემს და ბაბუაჩემს ორი თუ სამი ათეული წლის უკან. წინა მხრიდან  
ანჯამებში მორყეული ორი კარი და სამი ფანჯარა ჰქონდა ამ სახლს. უხმაუროდ არც  
ერთის გაღება არ შეიძლებოდა. დღისითაც კი საკმაოდ შორს ისმოდა მათი ჭრიალი.

წინათ კარს არასოდეს ვკეტავდით. ომის დაწყების შემდეგ ბაბუაჩემმა პირველად ძაშინ გადატრიალა კარებში გასადები, როცა ავთანდილა კოტრიკაძის ოჯახის წევრები 'შიშველ-ტიტველი დეაჩრები გადმოხეტებულმა თუ შინაურმა ქურდებმა. მამაჩემის ომში წასვლის შემდეგ დეაჩრებმა კლიტის ნდობაც დაკარგა და ახლა ხან ნაჯახის ტარს უყრიდა სახელურში, ხან სკამის ფეხს და ხან იატაკის საწმენდ ჯოხს. გულუბრყვილო დეაჩრემ ქურდებიც მასვით გულუბრყვილო ეგონა და ფანჯრებს უმეთვალყურეოდ ტოვებდა. ამით, რა თქმა უნდა, ქურდებზე უფრო მე ვსარგებლობდი და ერთ-ერთი ფანჯარა მუდამ ღია მქონდა.

რაც შეიძლებოდა ფრთხილად მოვწიე ფანჯარა და გულში გავიფიქრე: ხვალ აუცილებლად დავწვთავ ანჯამებს... ვაისმა ტკაცანის, რახრახის შმა... გამთენიის სიმფონია დაირღვა. არ შეერწყა, არ შეეისხნობოცა ჩემი სოფლის გამთენიას უცხო, უადგილო და უდროო ხმაური. გავინაბე. შეგინდნ ჩამიწუმი არ ისმოდა. უკანა ოთახში გასასვლელი კარის ჭრილიდან ბაცი სინათლის ზოლი გამოდიოდა. შიგ ჩახტი და ისევ გავჰვავდი. ახლა სიბნელეს მივუგდე ყური. ხელში მაქიმედას რევოლვერი მეჭირა. არ ვსუნთქავდი. მერე უცებ დავიხარე და მაგიდის ქვეშ შევიხედე. არაწინ იყო. მერე ჩემი საწოლის ქვეშ მოვავათურე რევოლვერიანი ხელი და აქაც რომ არავინ აღმოჩნდა, ლოგინზე გაუხდელად მივეგდე. მაშინვე დავხუჭე თვალები და ღრმად ამოვითქვი სული. უცებ კაცის სუხი მცა. კაცის ოფლის სუნი, კაცის მონაწივეი თუთუნის სუნი და თვალები დავაჰქიტე. მერე წამოვჯექი, თავი მაღლა ავწიე და მეძებარი ძაღლივით ჰაერი ცხვირით მოვყნოსე. კი, კაცის სუნი იყო, კაცის ოფლის სუნი, კაცის მონაწივეი თუთუნის თუ მხორკის სუნი... ისევ მივწეწი ლოგინზე, ისევ დავხუჭე თვალები, მაგრამ ახლა დასაძინებლად კი არა, არამედ იმის გამო, რომ სხეულში საშინელი სიცხე, ხოლო შემდეგ თავში რაღაცის დარტყმა და ერთბაშად მოდუნება ვიგრძენი. ეს იყო ყველაზე საშინელი ეჭვი, რაც კი ოდესმე დეაჩრემის მიმართ მქონია... მალე მოვირიე ამ ეჭვს და ფეხზე წამოვდექი. კარის ჭრილიდან გამომავალ ბაცი სინათლის ზოლს თვალი დავადგი და მისკენ გავმართე. ვგრძნობდი, როგორ გაუდიოდა ჩემს ყბებს ცახცახი, ვგრძნობდი, როგორ თანდათან მემატებოდა მუხლებში და მკლავებში ძალა. არ ავჩქარებულვარ. ნელა მივაცურებდი ფეხებს კარისაკენ, მაქიმედას რევოლვერის ტარს უფრო და უფრო მაგრად ვბლუჯავდი ხელში. რევოლვერს კარგ საქმეზე არასოდეს იყენებენ, მაგრამ ისეთი კაცის იარაღი, როგორიც ამ რევოლვერის ყოფილი პატრონია, მხოლოდ ამ ქვეყნად არსებულ ყველაზე უსაშინელეს და უსაზიზღრეს საქმეს იპოვის. და ამა, იპოვა კიდევ... ამ უთენია საზარლად უნდა დაიქუხოს რევოლვერმა. რევოლვერის გავარდნით უნდა დაიწყოს სოფლის დღევანდელი დღე. უცებ სკამს წამოვდე. სკამი ხელში ავიტაცე. გავჰვავდი. მერე ნელ-ნელა დავდგი. ხელში მოყოლილი უცხო, უხეში და კაცის სუნით გაუღენთილი სამხედრო გიმნასტურა თვალებთან ზიზღით მივიტანე. ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი იყო გიმნასტურის ცალ მხარეს მიმაგრებული, მეორე მხარეს კი რამდენიმე მედალი რაჩხუნებდა... ცალ ხელში გიმნასტურით, ცალ ხელში რევოლვერით კარის ჭრილში მივადექი. სანამ შიგ შევიჭვრეტდი, ქალის სასოწარკვეთილი, ნამტირადღვი და მისუხტებული ხმა შემომგისმა:

— თქვი, კაცო, აღარ იტყვი, რატომ ხარ ამ ომის დიდი მადლობელი? ყველაფერი მსმენია და ომის მადლობელი ვარო, კაცს ეთქვას, ეს არ გამოგონია ჯერ.

— ამ ომმა ამიხილა თვალი მე, ქალო. ამ ომმა მანახა ჩენი უზარმაზარი და უძლველი ქვეყანა, ქალო. თხილის ნაქუტში შემძვრალი თვალწაფშუკული კაცი ვიყავი თურმე ამდენ ხანს, ქალო, და რანაირად არ ვუთხრა მადლობა ამ ომს? ამ ომმა მიკარნახა. რანაირად უნდა გიყვარდეს თურმე შენი მიწა-წყალი და რანაირად არ ვუთხრა მადლობა ამ ომს?..



— ხმამალა არ თქვა, კაცო, მაგი, ქე მინც სადმე, ღმერთი არ გაგიწყრეს, გიჟურება?

— რა თქვი?

— არსად წამოგცდეს-მეთქი, დაყრუვდი?

— არ წამოცდებო, შო, არა, ნუ ეშინია. ამას კი არ ვამბობ, გულში ვფიქრობ, ქალო, მე გულში...

მე ვიდექი და კი არ ნებსოდა ამ ადგელებული მამაკაცის ხმა, რომელიც დალაპარაკებისთანავე ვიცანი, ვინც იყო, არამედ თითო სიტყვა, თითო მაცოცხლებელ წვეთად მეცემოდა გულში...

კარი იმ დროს შევადე, როცა კედელთან ნიდგმულ ხის ჭრატუნა ტახტზე ჩამომჯდა-რი მანარეში ქაღალდზე დაყრილ მასორკას ახვედა. მას ცალი ფეხი ტახტზე იჯდა და მემოდებული, ზურგს უკან ბალიშები ეწყო, მაშინვე მივხვდი, ის ფეხში იყო დაჭრილი.

— მამა! — ხმამალა, უზომოდ გახარებული კაცის ხმით დავაპირე დაყვირება, მაგრამ ხმა არ მიეყო, ცხვირში სიმწვევე ვიგრძენი და ცრემლმა ყელში დასახრობად წამიჭირა.

— შეილო! — გაუცვივდა ხელიდან მამაჩემს კეხი, ახედი და სანახევროდ გახვეული მასორკიანი ქაღალდი...

\* \* \*

მთელი დამის უძინარს თვალები საშინლად მეწვოდა. არადა, სულ წინ ვიდექი, ზედ კაბინის თავთან. დაბლა ვიხედებოდი. ქარს თვალებს ვაფარებდი. კაბინასა და ძარას შორის გზა ისე მიპროდა, ზედ დაყრილ ქვებს ზოლოდ წამით თუ წავკრავდი თვალს. კაბინა თავისთვის ქანაზდა, ძარა — თავისთვის. რამდენიმე ადგილზე დახსნილი, ჟანგის მიერ შექმული ფრთები ცალ-ცალკე ეფართხნებოდნენ. კაბინაში, ვანტანგა ჯიქიას გვერდით, ნიკიფორე იჯდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ფრონტელი, დავრდომილი და უფესო. ჩემს გვერდით, მარცხნივ, მაქიმედა იღვა, მარჯვნივ — ეპრაქსი. ავტომობილის რუფის გამო ეპრაქსი თავს ვერ იკავებდა და გათქვირულ ძუძუებს მკლავზე მაფხანდა. მაქიმედას ეგონა, ვერ ვხვდებოდი, ჩემს უკან, ეპრაქსის წელზე რომ ჰქონდა ხელი მოხვეული. ეპრაქსი მაინცდამაინც უხერხულად არ გრძნობდა თავს და ეს მაგულებდა. ნაღდად ასესხა იმ დღეს ფული ეპრაქსის დამბალმა მაქიმედამ და მე არ მითხრა...

ძარა ისე იყო ხალხით გაქედლი, ზემოდან ბრინჯი რომ გადმოეყარა ვინმეს, ძირს ერთი ცალიც არ დავარდებოდა. ჩვენი ხმაური მოქმედ ვულკანიან მთასავით იღო ამ ჯაუჯაუა ავტომობილის ძარაზე და ასე, ჰერით გაბერილ ბორბლებზე შემდგარი, ჯაგრაკრებული ღავის შხეფებივით ისროდა აქეთ-იქით ათასნაირ შეძახილს, სიცილს, სიმღერას, გოგოების კივილს და ბიჭების სტვენას.

ხმაურზე, ყანაში ჩვენზე ადრე გასული ქალები, კაცები და გოგო-ბიჭები ძალაუნებურად ჩვენსკენ იხედებოდნენ. ზოგი ხელს გვიწვედა. ზოგი — თოხს, ზოგი — ცეცხლს, ზოგი — ნამგალს და ასე გვესალმებოდნენ.

— ბაღნებო! ქალებო! კაცებო! — რაც შეეძლო ხმამალა გაჰქვივდა მძღოლის გვერდით საფეხურზე შემომდგარი კასიანე თვართქილაძე და ქარი ყაბალახის ბოლოებს ისე უფრიალებდა, სულ ტყლაშატლუში გაჰქვივდა, — გახსოვდეთ, ქალებო, კაცებო და ბაღნებო, რომ თითო თოხის მოქნევა — თითო ტყვიაა, იქით ნაპირის გატანა — იგივე! მძღოლის გატანა და თითო ქალაქის განთავისუფლება, ხოლო სარეკორდო მოსავლის მიღება — ჰიტლერის სიკვდილი და არგადარჩენა! დასცხეთ! მიდით და მოვდივარ! დედა



ვუტრიოთ ფაშისტებს! ამ მიწისათვის გვებრძვიან და ამ მიწის მადლით დაჭამავენ ჩვენს ნავს წუწკი მამაძაღლები! აბა რაი ახლა!

— ვიფ, კასიანე! — დაიძახა ვიღაცამ ყანიდან და ატყდა სიცილ-ხარხარი.

პატარა ლელისპირას, ყანის ბოლოში, გაჩერდა ჩვენი მოძრავი ვულკანი. მანქანამ ერთი კი დაიფრუტუნა, მიადგა მერე ფეხი და უმბალონაქამ ცხენივით ჩამოაგდო პოპო-რი. ვახტანგა ჭიქია კაბინიდან ჩამოვიდა და უკანა ბორტი გადასწია. ძარბაზე შედებული ვულკანი უცებ მოირღვა, გადნა და ძირს ცხელ ლავასავით გადმოიღვარა. ლელის პირას ჩაირგებული ოხმელის ჩქოლები თვალის დასამხამებაში დაიხუნძლა სხვადასხვა ფერისა და სიდიდის წონარეაქტიული ტომსიკებით, საუფლდაგულოდ გამოკერილი ტილოს ჩანთებითა და ტანსაცმლით.

კასიანემ, „ფეფო“, დაიძახა, ხელისგულებზე დაიფურთხა, თოსს ხელი ჩაავლო და ძუმამობას შეუდგა.

— შევუტრიოთ, აბა, ახლა! — ჩადგა ნაპირის თავში ონოფრე.

— შევუტრიოთ! — გასძახა ბენია ცინცაძემ და იდეყვი ბაწრით გამობმული თოხი მიწას დასცხო.

ნიკიფორემ ყავარჯნები განზე გადადო, ცოლის მიერ მოტანილ ჭოროვზე დაჯდა და შოიქნია თოხი. მაქიმედა ცხოიძე უკვე ბლღვირს ადენდა ოღნავ წანამულ მიწას.

კასიანე არც აქ აჩერებდა ენას.

— შენი ჭირიშე, ბიჭო! რა მიწა გვაქვს, რა მიწა! — იძახდა იგი, — უკუღმა რომ გადაგდო მარცვალი, წადმა ამოდის. დაილოცა მიწავ, შენი მადლი! რაც მართალი მართალია, კაი ხარ, მარა ფინთიც ხარ, შე დაღუპულყო, და იცოდე: სანამ პირში სული მიდგას, არ მოგეშვები, ყველაფერს მოგაცემინებ, რაც შეკუთვნის, რომ იცოდე შენ, თუ ვყოფილვარ კასიანე სილიბისტროს ძე თავართქილაძე! აბა, რაი ახლა! შეგარჩენ გვონია თუ რა? — ვერც ერთი საღად მოაზროვნე ვერ იტყოდა ასე ლამაზად იმას, რასაც ახლა კასიანე ამბობდა, არადა, მას მაინც სულელს ეძახდნენ.

— კასიანე ბიძია! — გავძახე მე.

— რა იყო, ბიჭო? — შეაჩერა თოხნა კასიანემ.

— რევოლუციაში თუ მიიღე მონაწილეობა?

— რევოლუციაში? მივიღე, აბა, არ მივიღე? 18 წლის ბიჭი ვიყავი მაშინ, ბიძია, მარა ფიშტო მაინც მედო ჭიბეში. აბა, რაი ახლა! აქ რომ სტრახნიკს მზე დავუბნე, ორასი ღამე გავათე კვერნასავით, ეგერ რომ მთაა იმაზე, მარტომ. ასე ნუკი მიყურებ მე შენ. ოცდასუთი წელი დავაკანკალე ბოლშევიკების სამსახურში. ვაი, — დაბადებას, ცოტა ანაღვარდა ვიყო!

— რას იზამდი? — ჰკითხა ნიკიფორემ.

— ის მე ვიცო, რასაც ვიზამდი. — უპასუხა კასიანემ.

— მე, აბა, ღღემდე არ ვარ პარტიული, კასიანე. არც არავის დაუძაღვია ეს ჩემთვის, მარა მე ყოველთვის მივემხრობი იმ პარტიას, რომელიც ჩემი ხალხის საკეთილდღეოდ წარუწავს და იბრძვის. ასე რომ, მე მხოლოდ მანდატი არ მაქვს.

სუნთქვა შემეკრა. როგორ უძლებდა დედამიწა ამ წამბარ კაცს?

— მაგი საეკეი, ნიკიფორე, იცი ვის დაუყარე? — უთხრა კასიანემ.

— ვის დაუყარო, მაგალითად? — წამოენთო სახეზე ნიკიფორე.

— ვინც მოგიტყუებია, იმას დაუყარე.

— ვინც მომიტყუებია, იმას ქე დაუყარე და ახლა შენ დაგიყრი.

— დამიყრი და დანას გაგიყრი.

— ვერ გამოყრი.



— ისე გაგიყრი, მზე მაღლა იქნება. არ გამოპირდება მე მაგი ამბავი. რაც ეს დამიწყო, მერე, საღირსივით, სისწლის სუნი მცემს, ნიკიფორევე, და მიფრთხილდი!

— დამჭდარი თოხნის კაცი ყანას, კასიანე ენაგასხმობო, და ერთი სიტყვა არ უნდა შეგარჩინო? — დაიცვა ქმარი ნინუციმ.

— უთხრა მაგას თავის დროვე, ჩემო ნინუცი, თავმჯდომარემ, კი შეძლებს ჩვენი სოფელი ერთი კაცის შენახვასო. მაგი შენი ქმარი მაინც არ იშლის.

— ჩაგიშავდა სალაპარაკო, შე დრანჭმონგრეულო, — გაკაპასდა ნინუცი, — და შენ გნახე მოშლილი მაგასავით. რა ჭირს სოფლის შესანახი? გავა დრო და, სულ ასე არ იქნება, მოურჩება ფეხები. მანამდე კი იმუშაოს ამ კაცმა, თუკი მის გუნებას უნდა, რას გიძლის? ჩემი გაჭირდება რომ მყოფნის, ვერ ხედავ! შინაა და, უნდა ვაგორო ოთახიდან ოთახში, გარეთ წავა და, სკამით მივეყვები კუღში.

კასიანემ არაფერი უპასუხა, პირი იბრუნა და მუშაობა განაგრძო.

გული საგულეს აღარ მქონდა. უკვე ბიჭების მოხვლის დრო იყო. ციებიანივით წაქანკალბდა. ვშიშობდი, ვათუ ზემო გეგმები ჩაფლავდა, მერე თავი მართლა აღარ გამომეყოფა სოფელში-მეტქი. იბო სანიკიძეს მონად გადავექეცი. არ უგრებოდა. საქმე რომ ჩავივიარდეს, პროკოვაციის მოწყობაში ჩავთვლიანო. საშინელებაა, რაც კაცს არ წამს; იმ საქმის გაკეთებას რომ დაავალებ. ტუტუნიაკი და ოთარიაკი ონოფრესაგან რომ ვერაფრით გაითავისუფლეს თავი, თავმჯდომარე მოატყუებს, ნაგომარში „ხამსა“ იყიდება და იმის საყიდლად გვეგზავნიან მშობლებიო. პეტლუმა მინდაძე ხარივით ატრიალებდა თვალს. ეტყობოდა, ისიც დედავდა. უორა რამიშვილსაც და წაკატასაც სულ გზისკენ ებრუნებოდა. უცებ, სადღაც იქუხა და მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ ცა საშინლად დაღვრულყოფილიყო.

— გაწვიმდება სადაცაა, — დაიძახა ონოფრემ, — დაფუნქაროთ ცოტა.

ახლა უფრო მჭახედ დაიგრგვინა ცამ. წვიმის წინამძღვარმა ქარმა, სტუმრის მომლოდინე დახასხისივით შიხვეტ-შოხვეტა მტვერი და ცოცხი, სადღაც, მთის ძირში, მიაყუდა. ჭერ შრიალი მოგვესმა, მერე საშინელი თქემი წამოვიდა. რამდენიმე ქალმა წვილ-კივილით მიამურა ნიგვზის ხეს. აქა-იქ კაცებმაც გააგდეს თოხები.

— არ წახვიდეთ! ამრბია! ავთავოთ ეს ნაპირი ბარადამ! — ისვეწებოდა ონოფრე, ძაგრამ მისი ხმა აღარავის ესმოდა. ორიოდ წამში მხოლოდ რამდენიმე დაყუდებული თოხი ჩანდა ნაპირში.

— წახდა ამინდი, — თქვა ბენია ცინცაძემ, — აწინდელი მუშაობის ფასი, რომც გამოიდაროს, კაპიკია.

— დაიწყო, ვახტანგა ჭიქია, მანქანის დაქოქვა! ერთ საათს არ გადაიდებს აგი წვიმა და მეტი დრო არც შენს მანქანას უნდა. — დაუძახა ონოფრემ მძღოლს, რომელიც კაბინაში შემძვრალიყო და კარებიდან მინის ნაცვლად ფანერს ექაჩებოდა ამოსაწევად.

— დაიღუპეთ, — წამჩურჩულა უორა რამიშვილმა, — ჩავივიარდა კოვზი ნაცარში.

— ბედი წყალობთ ამ შობელმადლებს. — ჩაილაპარაკა მხრებში აწურულმა წაკატამ და ცხვირის წვერზე მომდგარი წვიმა ძაჯით მოიწმინდა.

— წაკატა. ჩაუჭექი კაბინაში ვახტანგა ჭიქიას და დაქოქვას რომ დეიწყებს, გასაღები გადაუტრიალეთ. — წავჩურჩულე წაკატას. — თუ სახელურის დატრიალება შენ დაბავალოს, ძრავს რომ ჩაუვლი ტრამლიორზე სადენი ახსენი შეუმჩნევლად. მერე თუ გინდ არღანივით ატრიალო, არ ამუშავდება. ამასობაში, ჩვენი ბიჭებიც მოვლენ, წაკატა მანქანისაკენ გაიქცა.

ნიგვზის ხემ წვიმა მალე გაატარა. ქალები იწყევლებოდნენ. კაცები იგინებოდნენ.

ძველა თავისებურად ცდილობდა მოენახა ისეთი მყუდრო ადგილი, სადაც ვერ აღწევდა წვიმა. წვიმა კი თანდათან უმატებდა. გამომშრალი მიწა ხარბად იწოვდა წყალს. ცოტა

— ჩამოვიდეს ბარდამ ცა ძირს ფეხად და ის იქნება! — კისერში ხელწაქერილ კაცივით ხრიალებს ონოფრე და განწი იფურთხება. კი არ იფურთხება, ზედა ტუჩი დაბალი აქვს ონოფრეს, წვიმა ჩადის შიგ რა იმიტომ იფურთხება. აბა, ნიკიფორეს დოქით რომ გადმოსახხა თავზე წყალი, პირში წვათი არ ჩაუვა. ზედა ტუჩი ქვედა ტუჩზე აქვს გადმომჭდარი და იმიტომ.

მარიკა დედამისს აკრია. დედამისს ჰგმობს გაუხდია და თავზე ქოლგასავით გადაუფარებიათ. გოგუცას კომკავშირის კრების მიორე დღიდან ხმა არ გაუცია ჩემთვის. რომ შეშქამოს, გული არ მოუშლის. ვიცო, ჩემი გინების შეტი არაფერია იმათ ოჯახში, მაგრამ როგორ იტანს ამას მარიკა, ეს არ ვიცი. აოჯუცა ვითომ წვიმას გაჭყურებს. მაგრამ რას გამომაპარებს. დროდადრო გამომხედავს. თავს ქეცინი ხარავით გადააქანებს და მოკუშული ტუჩებიდან კბილებში ცრის: შენ მოუხვდი დედაშენს, შენ დამთხვეულსო!

უნებურად ტუტუხიკას სიტყვები მახსენდება: დამუნჯა სასიდედროც და შენს ბედს ძალლი არ დაუფსო.

მარიკაც, როგორც ყველა, თავიდან ფეხებამდე სველია. შეცივბია, აკანკალებს. თმები ნატეტკილ სახეზე ჩამოყრია. შოლიოდ ჩამოცვენილი სველი თმებისა და მიტკლისფერი სახის კონტრასტი უფრო მიმოიხედვს წდის. გალმპული ჩითის კაბა მჭიდროდ შემოკვრია ტანზე. ფეხშიშველია. მის ფეხებს რომ ვუყურებ, ნარიონალის ყანჩა მახსენდება. მარჯვენა ფეხის ცერა თითით მარცხენა წვივს იფხანს დროგამოშვებით და სივრცეს მიშტარებულ თვალებს არ ახშხამებს. კოლომ უკბინა, აღბათ.

ონანვ იკლო თუ არა წვიმამ, მაქიმედა ატატუნდა:

— ააა... ა! პია-პია პია! — წამოიძახა ბოლოს და ყანაში დატოვებული თოხებისკენ წაჯანჯალდა

— რა უნდა, თუ იცით, მაგ მუნჯალიას? — იკითხა წყნარად ონოფრემ და პირში დაგუბებული წყალი ისევ გამოაფურთხა.

— წვიდეთ აწი სახლში, ქვეყნის საქმე მაქვს გასაკეთებელი. აქ მუშაობა მაინც აღარ შეიძლება, ის კი არა, რაც ბალახი მოვჭერით, ყველა გაცოცხლდება და რაც გავმარგდეთ, თავიდან გვაქვს გასამარგლიო. — აუხსნა ონოფრეს წაკატამ.

— კი თქვა ვითომ ამდენი რამე მაგან? — იკითხა გაცივებულმა ონოფრემ.

მაქიმედამ ნაპირში დატოვებული თოხები მოაგროვა, მხარზე დაიწყო და ახლა ჩლახანლუხით მოდიოდა ტალახში.

ხალხს ონოფრეს ბრძანებისთვის არ დაუცდია. რახან ცოტა სული კი მოითქვა წვიმამ, ყველა ფურცხულ-ფურცხულით გაიქცა ავტომანქანისკენ. ნიგვზის ძირში მხოლოდ გია და ნიკიფორე იდგნენ. ვიამ ფეხზე ძლივს წამოყენებულ მამას ყვარჩები მიანწოდა, თვითონ ჰორკო აღო და უკან გამოყვა.

მაქიმედა ნელა, ჩლახანლუხით მოაშოტებდა ყანა-ყანა.

უცებ მანქანის სიგნალის გაბმული ხმა და სიმღერა შემოგვესმა:

იმ შენი მშობლის ჭირიმე,  
ვინაც გიმღერა ნანაო...

ეს სიმღერა ბევრჯერ გავიგონია, თვითონაც ბევრჯერ გვიმღერია და აქ გასაკვირი არაფერი იყო თითქოს, მაგრამ ახლა, რატომღაც, სულ სხვანაირ ხმაზე და დონეზე სრულდებოდა იგი და ამ გამომწვევმა თუ შეტისმეტად აღტყინებულმა ხმებმა ყველა ადგილზე მიგვაჯაჭვა.

— ბიჭო, რაცხა კაი ამბავი უნდა იყოს, ხომ იცი შენ? — დაიძახა წაკატამ, გამოკაო  
ოლა კაბინიდან, შეხტა კაბინის თავზე, აიწია ფეხის თითებზე, წაიგრძელა კისერი და  
დღაც შორს დაიწყო ყურება.

ახეთი წამოძახილი ჩვენს გენერალურ გეგმაში შეტანილი არ იყო და მის გაგონება-  
ზე ტანში ურუნტელმა დაშიარა. ხალხმა სუნთქვა შეწყვიტა. დაიძახა წამები. ოღრო-  
ხოღრო გზაზე მანქანა ნელა მობობდავდა. ამას კი არ ვხედავდით, არამედ ვგრძნობდით  
და თვალები ყველას იქით გვქონდა მიშტერებული, სადაც თხმელის ჩამწკრივებული  
ჩქოლნარი წყდებოდა და გზა ხელისგულივით მოჩანდა. სადაცაა, გამოყოფდა ცხვირის  
ტიალში ავტომანქანა.

— რა უნდა იყოს, ნეტავ, ა? — ახლა ონოფრემ იკითხა. ცხვირი მაღლა ასწია და  
ჰაერი მეძებარი ძალღვივით მიყნოს-მოყნოსა. მისთვის უურადღება არავის მიუქცევია,  
თუმცა ყველამ კარგად გავიგონეთ, რაც თქვა და გულში აგვიძვერდა.

პირველი სიმღერა ბოლომდე არ წყო დამთავრებული. რომ სხვა ხმამ მეორე წამო-  
იწყო:

ტუნანა, ტუნანა,  
ჰიტლერს მოხვდა ყუმბარა!

და მერე:

ჰიტლერი და გოშია,  
იჯდნენ ფულუროშია...

ავტომანქანის ძარის ჯაქაყანი და ძრავის გუგუნში, გაბმული სირენის ყურისწამლებ  
წივილში სიმღერის სიტყვები ნაწილ-ნაწილ აღწევდა ჩვენამდე. ასევე წყვეტილად ისმო-  
და შეძახილებიც.

ხალხს ნერვები დაწყდა, სანამ ნამდვილ ამბავს გაიგებდა.

ისევ წვიმდა. მაგრამ ვიღას ახსოვდა წვიმა!

როგორც იქნა, დაადგა საშველი და გამოჰყო ცხვირი კალისტატე დოლიძის მონ-  
ჯღრეულმა „ვისმა“. ძარა სავსე იყო ხალხით, აქეთ-იქით, საფეხურებზე ორი კაცი  
იღბა. ყველანი თავადადებულნი მღეროდნენ. ჩვენ ძალიან გვიან შეგვნიშნეს. ავტომან-  
ქანა, ის იყო, შედიოდა ეკლის ხეების მწკრივში, ძარაზე მყოფმა ხალხმა სიმღერა შე-  
წყვიტა და გადმოგვძახეს:

— ეი, ხალხო, რას დაუძებულხართ ალაპის ჩოგნებივით, დაგიჩენიათ პირი თე-  
ვლებივით და ჩამოგიყრიათ უურები? თქვენ რა, ჭურში გძინავთ? ომი დამთავრდა თქვე  
ლენჩებო, ომი!

ტუტუნიკა ბერძენიშვილი და ოთარია ძნელაძე „ხამსისთვის“ რომ იყვნენ წასული  
ნაგომარში, ეს თითქმის მთელმა სოფელმა იცოდა. ამიტომ მათი მანქანიდან გადმოხტომა  
და ჩვენსკენ გამოქცევა არავის გაკვირვებია.

იბო სანაიძე მიხვდა, ომის დამთავრების გამოცხადებამ დიდი რეაგირება რომ მო-  
ახდინა და გარკვეული მოსაზრებით აღარ გამოჩენილა. მისი გამოჩენა მართლაც აღარ  
იყო საჭირო. ვახტანგა ჭიქიას ავტომანქანასთან თავმოყრილმა ხალხმა ერთხმად იხუვლა  
და მაცნეების ხელში ასატაცებლად დაიძრა... მაგრამ მოხდა საოცარი რამ. თუმცა რა  
საოცარი. მოხდა ის, რაც სინამდვილეში უნდა მომხდარიყო. ოთარია ძნელაძისაკენ და  
ტუტუნიკა ბერძენიშვილისაკენ გაქცეული ხალხი გაის ბლავილმა მოაბრუნა, იგი ვერ  
აჩერებდა მამას, რომელსაც უავარჯნები დაეუარა და გიჟივით გამოიბოდა.

ვიღაცას სისარულისაგან სიმინდების თხრა დაეწყო და ცაში გაშმაგებით ისროდა.

მაქიმედას წაკატა გამოეკირა, მხარში ხელი მძლავრად ჩაეველო, ანჯღრევდა და ყურში ჩასძახოდა:

— რაიო, ბიჭო? რა თქვი, ბიჭო? ომი დამთავრდაო?

— მაქიმედა ბიძია, — ეკითხებოდა გაცდებული და თვალმუცხვარი წაკატა, — შენ მუნჯი ხარ, მაქიმედ ბიძია, თუ ყურებდაფხვებული?

— რა თქვი, ბიჭო, მითხარი, მე შენ გელაპარაკები!

— ომი დამთავრდაო, ომიო! — ძახლა დაბნეული წაკატა და თვალებს აქეთ-იქით აკეცებდა

— ხომ კი? — დაიძახა მაქიმედამ, გადაყარა მხარზე გადებული თონები, გაშალა ხელები და იბღავლა, — მოდი, წაკატა, ბიძიკო! მოდი, აბა, გადამხვები, ჩამომეკიდე კისერში და დამახრჩე თუ გინდა კოცნით!..

კაციშვილი ხმას არ იღებდა. დუმდა მახარაძიდან მომავალი კალისტატე დოლიძის ავტომანქანის ძარაზე მდგარი ხალხიც, ჩვენი, აჭა-იქ ყანაში უწყსრიგოდ გაფანტული ქალებიც, კაცებიც და გოგო-ბიჭებიც. ადგილზე იყვნენ გაქვავებული ოთარია ძნელაძე, ტუტუნია ბერძენიშვილი, ჯონდო ბერიშვილი, პეტრუშა მინდაძე, ყორა რამიშვილი და მანქანის დასაქოქი სახელურით "ნელში ყურებჩამოყრილი ვანტანგა ჯიქიაც. იქვე იდგა ტუტუნია ბერძენიშვილის ხელში ასატაცებლად გამზადებული, გაუმშებული, გაშტერებული და ახლა მართლა მუხლებმოკვეთილი ნიკიფორე.

წვიმაში აშოწყუმპლული, ტალახში ამოთათხნილი, დაღლილი და განაწამები ხალხი იდგა გაოგნებული, დაოსებული, დამუნჯებული და იმდენად გულმოკლული, რომ იმის თავი აღარ ჰქონდა, ეკითხა, ომი მართლა დამთავრდა თუ ყველაფერი, რაც აქ მოხდა, მოგონილი და წინასწარ მომზადებული სპექტაკლიაო.

ამ ღროს ჩონატაურიდან მომავალი ავტომანქანა გაჩერდა, ერთ-ორ წამს იდგა და შერე იხვე წავიდა.

მხარზე მამაჩემი გამოჩნდა. იგი სამხედრო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. მკერდზე ორდენები და მედლები უბრწყინავდა. მხარზე თონი გაედო, ცალ ხელში ჭოხი დაეჭინა და კოჭლობით მოდიოდა ჩვენსკენ...

## გიორგი სალუქვაძე

### რასაც სიბრძნელს ჰქვია

სტაციონარი  
წყნარი  
ჩუმი სულისდგმა არი,  
თავს მევლებიან სულ,  
არ იშურებენ სულს.

მითვლიან გულის ძგერას,  
დამტრიალებენ თავს,  
მაცოცხლებელი ცვარით  
მაწვდიან საგვ თავს.

- გვინდა, იცოცხლო დიდხანს,  
სიკეთეს თესლე კვლავ,  
მართალი სიტყვა გვითხარ.  
მასწავლას უქებდე მკლავს.

ცხოვრების ყოველ წვრილმანს  
ნუ, ნუ შეაღწევ გულს.  
გული იხეთქოს იმან,  
ვისაც სიკეთე სძულს.

ნულარ აჰყვები განცლებს.  
არ ეკამათო ბრიყვს,  
პასუხსაც ნულარ გასცემ -  
ამადაც აღარ ღირს.

ერადე გულისმოსვლას,  
აბეზარ ფიქრს და დარდს -  
სიმშვიდე გინდა მგოსანს,  
შენ კი მშფოთვარე ხარ.

როცა აქედან გახვალ,  
ნუ დაგვივიწყებ ჩვენ.  
გულწასულს ნულარ გნახავთ,  
სძლიე ამ წყეულ სენს.

ჩემო სტაციონარო,  
ჩემო სულისდგამე წყნარო,  
ყველა მოკეთევ ჩემო  
სართულო ზემო, ქვემო,

ღამე მითიეთ ვინც,  
უტყუარს გაძლევთ ფიცს,  
რომ მეხსიანებით მუდამ  
და ერთიც მინდა გითხრათ:

სულს უბერავთ და უვლით  
და მაინც მტკიავა გული -  
ვერ მოვირჩინე ვერ,

მაგრამ ვიდრემდე ძვერს,  
მაგრამ ვიდრემდე გრძნობს.  
ბოროტს და კეთილს სცნობს -

თუ განწირული კივის,  
მიუხელო გულის ტკივილს?  
თუკი ბავშვს საფრთხე ელის,  
არ შევაშველო ხელი?

მძარცველს და ქურდს რომ  
ვხედავ,  
ვინც ჩვენს ნაოფლარს ხვეტავს,  
ვიყო ჩუმად და უჩუად  
ვიყო ყრუდ ანდა მუნჯად?

ატმების აფეთქებას  
როგორ არ ვუთხრა ქება!  
არ მოვეფერო იას,  
თეთრ თოვლზე თვალებლიას?

არ გავადევნო თვალი  
ჯელმოდერებულ შველს?  
არ დაუანნიო კვალი  
ცვრით განათებულ ველს?

არ აყვევ ტაღლის ტრიალს,  
მეწყვრის მოვარდნის წამს? -  
რასაც სიცოცხლე ჰქვია  
და რაც სიცოცხლედ გვწამს.

მგოსანი სანთლად იწვის,  
განა გულმშვიდად ღვას?  
გაზაფხულზე რომ იძვრის,  
იმ თოვლის ნამქერს ჰგავს.

თუკი დაკარგავ ამას,  
რადა ფასი აქვს წამალს?  
ამქვეყნად მგოსნად მოველ  
და მგოსანივით წავალ!



# გ ზ ე ბ ი

## რომანის ვრახმანთაძე

გიორგის უინტერუაო, მონოტონური, ერთფეროვან ცხოვრებაში, ალბათ, იულისას განიხიენა იყო ყველაზე დიდი მოვლენა.

ერთ დღეს სარდონისაგან ახალი დავალება მიიღო გიორგიმ. ურემი სპინდელს სავსე ტომრებით დატვირთა და უთენია გაუდგა გზას სამაზრო ცენტრისაკენ. ის ნაცნობი წედუქნე ინახულა, სიმინდი მიუწონა, ფული მიითვალა, დააწყო ურემზე ცარიელი ტომრები და ბევრი აღარ დაუხანებია, სახლისაკენ გამოეშურა.

უჩვეულოდ გვაღვიანი ზაფხულის დღე იდგა. ზენიტზე მდგარი მზე მთელი ძალით აცხუნებდა და ნელ-ნელა იპყრობდა, გუდავდა ყველაფერს ხვატი. მზიდან ამდგარ მოყვითალო მტვერს დაეფარა გზას პირას ამოსული ბაღახები, გაქუცული, დაჩიავებული და გვაღვისაგან ფოთლებზემჭკნარი ბუჩქები. დასიცხულ ხარებს პირზე მჭანე დუღი მოსდგომოდით, ზანტალ იცოხნებოდნენ, უგერგილოდ, ზარმაცად იქნეოდნენ ფუნჯისებრ კუდებს და იგერიებდნენ აბეზარ, ჭინკასავით შეჩინილ ბუჩებს. ურემი ნელა მიჭრიალებდა მტვირთვას გზაზე და გაუსაძვავი დერაის მონოტონური ჭრიალი აოღვავდა ირგვლივ გამეფებულ შუადღისეულ მყურდობებს. გიორგი ურემზე იჭდა. სიცხისაგან მოთენთილი, სანახევროდ ჩათვლებილი თუ გაბურთალებული, დროდადრო მიღუთავდა თვალებს და სენლას ზურგით იწმენდდა შუბლზე დაცვარულ ოფლს. ხელში თხილის გრძელი, მოქნილი შოლტი ეჭირა, რომელსაც დროდადრო გადაუქნევდა ხარებს, ცდილობდა აეჩქარებინა ისინი. როგორც კი იგრძობდნენ შოლტის სიმწვავეს, დასიცხული ხარები ოდნავ აუჩქარებდნენ ნაბიჯს, მერე კი, რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ, ისევ ჩვეული სიზანტითა და მონოტონურობით განაგრძობდნენ გზას. გზაზე ძხვორციელი არ ჭაქანებდა და გიორგი, თავისი ხარებითა და ამ მოჭრიალე ურმით, რაღაცნაირ თავისებურ რეზონანსს ქმნიდა ამ შუადღისეულ, დასიცხულ სიჩუქეში. სიცხისაგან შეწუხებულს ერთი სული ჰქონდა, თუ როდის მივიდოდა სახლში, როდის გადაივლებდა სახეზე ცივ წყალს და როდის დაისვენებდა.

სახლამდე კი ჭერ კიდევ საქაო მანძილი ედო ვასავლელი. ჭერ აღმართი უნდა დაეძლია, მერე დაღმართში დაშვებულყო. მერე კი სწორ გზას გაუყვებოდა და ასე ჭკვია, სახლში იყო უკვე.

კარგახანია წყურვილი აწუხებდა, მაგრამ მოთმენას, გაძლებას და ყველაფერს შეგუებებს დაჩვეული, უღრტვისებელად იტანდა წყურვილსაც.

აღმართი ალია, მერე დაღმართიც ჩავლო და აი, მისი სოფლის მიწასაც დაუბლოვდა. გზამ გაივარა, გასწორდა და გაიწვართა. ახლა იგი სანახევროდ დაშშრალი, დაქლკინილი მდინარის გასწვრივ გაწოლილიყო. მდინარე ჩუმად, მდორედ მიედინებოდა და შორიდან ისე მოჩანდა, იფიქრებდით, თითქოსდა ერთ ადგილზე დგასო. სანაპიროში რიყის ქვები ეყარა და მშისაგან გადასურებულ ქვებზე სიცხის აღმური რონიხებდა. გზიდან გადაუხვია, ჭერ ხარებს დააღვიანა წყალი, მერე თავადაც დალია. დაკრი-



ლდა, ცოტა დაისვენა და ისევ გაუღდა გზას.

მოულოდნელად გზის პირას, უზარმაზარი ცაცხვის ძირას მჯდარი ქალები დაინახა. მისდაუნებურად მიაპყრო მზერა. უცნობები ჩანდნენ. ვერ მიხვდა, რისთვის იჭდნენ ამ დროს, ამ გაგანია სიცხეში, აქ, გზის პირას და რას, ან ვის ელოდებოდნენ.

მის დანახვაზე ქალები ფეხზე წამოდგნენ და რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს. ერთი ხნიერი იყო, მეორე — ახალგაზრდა, ორივეს ძველანები ეცვათ, სხვადასხვა ფერის საკერებლებით აჭრელებული, სიძველისა და რეცხვისაგან გამოსუნებული კაბები. შიშველი ფეხები მტვერში ამოგანგლოდათ. ჭერ ბოშები ეგონა გიორგის ისინი. სოფელში ხშირად დაწაწალბდნენ მოხეტიალე ბოშა ქალები, რომლებსაც ზურგზე მოკიდული ფუთებით დაჰყავდათ მძეპური ბავშვები და ყველაფერს თხოულობდნენ, ყველაფერი მიჰქონდათ, რასაც კი წახელთებდნენ. ერთხელ ეს ბოშა ქალები სარდაონსაც ეტოჰმარნენ. ქალბატონს უმკითხავეს, გასამრჯელო აიღეს და თან უადგოლო ადგილას დადებულნი ქალბატონის ბეჭედიც გააყოლეს ხელს.

კარგად რომ დააკვირდა მათ, მხოლოდ მაშინ დარწმუნდა გიორგი, რომ ისინი ბოშები არ იყვნენ.

ხნიერი ქალი დაბალი იყო, სქელი, უშნოდ ჩაგოდრებული, მუცელი ისე წამოზეროდა, საცაა მოილოგინებსო, იფიქრებდა მისი დამნახავი კაცი. მან იქვე, ცაცხვის ძირას მიგდებული საკმაოდ მოზრდილი ფუთა აიღო ხელში და ურწისაკენ წავიწვავადა.

— გააჩერე, გააჩერე ურეში, ნენა!

გიორგიმ ხარებს შეუძახა და როცა ურეში გაჩერდა, თავი მისკენ მიაბრუნა და დაელოდა.

გიორგი ჭერ ხნიერს უცქეროდა, მერე კი მზერა ახალგაზრდისაკენ გადაიტანა, რომელიც ნელი, აუჩქარებელი და გაუთვლადი ნაბიჯებით მიეცებოდა უკან ხნიერს. სწორედ მაშინ შეხვდნენ ერთმანეთს გიორგისა და იმ გოგოს თვალები. გოგო თითქოსდა მეურმის მზერამ მოწუნხაო, მისდაუნებურად შეჩერდა, აარიდა მზერა, დასარა თავი და ერთმანეთზე მიტყუებულ და გამტვერილ საკუთარ ფეხებს დააცქერდა.

გიორგიმ კი არ იქნა და ვერასლიდებით ვეღარ მოწყვიტა მზერა გოგოს. უცქეროდა და ვეღარ გაეგო, რატომ უცქეროდა, რისთვის უყურებდა ასე დაუჩინებოთ, რა ხდებოდა მის თავზე, რა ძალა იყო, ასე რომ აიძულებდა ეცქირა მისთვის და ვეღარ მოეწყვიტა მზერა. გარკვეული კანონზომიერების თანახმად, ასეთ კაბაში, ასე მორთული, ასე გამტვერიანებული, დაუბანელი და ფენშიძველი, არ უნდა გამოჩეხილიყო მაინცდამაინც ლამაზი, ძიშინდველი და თვალდასატანებელი, მაგრამ, რატომღაც, გიორგის თვალში პირიქით კი ჩანდა. მალალი, ამოლტკილი, ალვისტანა, წელამდე დაყრილი მსხვილი, ნახშირივით შავი ნაწნავებით, დიდრონი, ბრიალა, თაფლისფერი, წყლიანი თვალებით, პატარა, ლამაზი, მარწყვისფერი ტუჩებით, სწორი, სანთელივით ჩამოქნილი ცხვირით, წვრილი წარბებითა და გრძელი წაშაშაშებით, ერთმანეთზე მჭიდროდ მიტყუებული ფეხებით, დაშორცხვებული, ნაწი და კდემამოსილი, მართლაც რომ საოცრად ბუნებრივი, არაჩვეულებრივად ლამაზი, შაეროვანი და მომხიბვლელი მოჩანდა ამ ხნიერი, უშნო ქალის, ამ სიცხის, დაჭირებული მზისა და მტვრიანი, მოყვითალო ფერის გზის ფონზე. და ის დაკონკილი, ძველი და გამოსუნებული კაბაც კი შეგნოდა, ნათხოვარივით რომ ადგა ტანზე, მეტ ლაშათსა და ეშხს მატებდა თითქოსდა, უფრო მიწიერს, უფრო ბუნებრივს, უფრო ახლობელსა და გასაგებს ხდიდა.

გოგოს თვალთვალში გიორგის ლამის სრულიად გადაიწყვდა ის საოცრად უშნო, დაგვაჭული ხნიერი ქალი, რომელმაც ურმის გაჩერება სთხოვა და რომელიც ახლა ოდნავ შემცბარი, ოდნავ დაბნეული იდგა, სინათლეში მოხვედრილ ბუსავით აპარპაღებდა თვალებს, ტუჩებს აცმაცუნებდა და ვერასლიდებით ვერ გაეგო, ვერ მიხვდარიყო.

ეს შეურმე რატომ არ იღებდა ხმას და რატომ არაფერს არ ეკითხებოდა. ერთხანს იდგა და უცდიდა, მერე კი, რაჟღერდა ღარწმუნდა, ეს ახალგაზრდა მეურმე ხმის ამოდებას ახირებდა (ერთი გაფიქრება ისიც კი გაიფიქრა ქალმა, ეს საცოდავი ბიჭი მუნჯი ხომ არ არისო), ისევ მან დაარღვია დუმილი, მიანიჭრდა თვალებში და რაღაც ჰკითხა, მერე კი რომ ჩართო, წააწყო და ვაბა, აღარ იქნა მისი განჩერება. გიორგი, ცოცხა არ იყო; გახოცა და გააღიზიანა ქალის ამდენმა, ასე უაზრო და უთავბოლო დაქალქამა და შეეკატეხა. დიდად ლაპარაკის მოყვარული და ენაგულესილი არც არასოდეს ყოფილა, ახლა კი სულ შევიკრა კრიკა და ამ საფანტოვით მიყრილ აბდაუბდა შეკითხვებზე სანა-სეროდ, ცაღუბად და უნდოდად სცემდა პასუხს. მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალი არ მოუცილებია გოგოსთვის, მისა ასეთი დაქინებული მწეგით დამორცხვებული, უკრებულ სდგომარეობაში ჩავარდნილი, თავდახრილი რომ იდგა ერთ ადგილზე და მწე-რა რომ ვეღარ მოეცილებინა საკუთარი უცხვიისათვის.

მერე, როდის-როდის, თვალი რომ მოაშორა გოგოს და შეხედა ხნიერ ქალს, გიორგიმ ახლა ისიც შეამჩნია, სხვა სიკეთესთან ერთად ელამიც რომ იყო იგი და თვალები ისე აცა-ბაცად გაუბრბოდა, ეშმაკიც ვერ მიუხვდებოდა, საით, რომელი მიმართულებით იმჯირებოდა საერთოდ. ბოლოს, ის ხნიერი ქალი შეკითხვებს შეეშვა და ამჯერად საკუთარ თავზე წამოიწყო ლაპარაკი, ამ აბდაუბდა, დაუთავებელ-დაუწყობელი მონაყოლი-დან გიორგიმ მხოლოდ ის გაიგო, რომ ისინი დედა-შვილი ყოფილან, მას მაროია რქმევია, მის გოგოს კი იულია. ბოლოს რომელიღაც სოფელი დაასახელა მაროიამ, იქედან ვართო, თქვა. ამ სოფლის სახელი პირველად ახლა გაიგონა გიორგიმ, მერე ბევრაც ეცადა, ბევრიც იწვალა, მაგრამ ვერაფრით გაიგო და დაადგინა, თუ სახელდობრ სად, რომელ გრძელსა და რომელ განედზე, რომელი მიმართულებით მდებარეობდა იგი, შორს იყო აქედან თუ ახლოს, ყურისძირში თუ დასაკარგავში. გვარიანი შორიდან ყოფილაო, ჰაინც დასაკვანა რატომღაც გუნებაში. ის კი მაინც ვერ გაიგო, თუ რატომ იყვნენ გაღობვეწილები აქეთ, რა უნდოდათ, საით მიდიოდნენ.

არადა, ღრო იყო გზას გადგომოდა. დაღლილი იყო და შხისაგან, სტრისაგან გამოლაყებულს ერთი სული ჰქონდა, თუ როდის მივიდოდა სახლში და დაისვენებდა. აბა მთელ დღეს ხომ არ იდგებოდა აქ, ამ გაგანია სიცხეში და ამ ქალის (რომელიც, სხვათა შორის, სულ მთლად დალაგებული რომ არ იყო, ამას კი მიხვდა) ბოდიას ხომ არ მოისმენდა დაუსრულებლივ? ბოლოს, ის-ის იყო, ჩემთან რა გინდათო, უნდა ეკითხა, მისთვის, რომ ამ კაკაჭკვით მოლაყებ ქალმა დაასწრო და ამ საკითხშიაც გაათვითცხოხიერა.

— შენ, ალბათ, ქე გაგიკვირდება, ხენა, აქანე რა უნდებიენო, გეიფიქრებ, ალბათ, მარა... — წამოიწყო მან, — ჩვენი საქმე წამხდარია და სულ მომხპარ-მოდაგული. ნამეტარი დიდი უბედურება გვეწია ჩვენ, ნამეტარი დიდი, ცეცხლმა გადაგვიბუგა სახლ-კარი, მთელი ჩვენი საბადებელი ნაცრად და ნახშირად იქცა და ქე ვართ ახლა დარჩე-ხილები ასე ღვთის ანაბარად და ძაღლის შესაქმელად, ვიქეცით აგერ მათხვრებად, ხენა, დადივართ სოფელ-სოფელ, ვეძებთ რაიმე საქმეს და თავშესაფარს. ძებნით ქე ვეძებთ აგერ ამდენი ხანია, მარა რათ გინდა მერე? არაკაცს არ ჰირდება მუშახელი-შოდა, ნენა, ღმერთი გიშველის და შეგეწევა იმდენს, იქნება შენ იცოდე ვინმე, იცნობდი იქნება ამ ახლო-ჩახლო ვინმეს, მოსამსახურე რომ ჰირდება. ჩვენ ყველაფერს გავაქ-თებთ, არაფერზე არ დევიხვებ უკან, ოღონდ კი ღამის გასათევი მოგვეცეს და ლუქმა მოგვეცეს...

ახლა კი შეხედა თანაგრძნობითა და გულშემკირნედ გიორგიმ ამ ქალს. განსაკუთრებით მაინც ის გარაყულივით მდგარი, დასჯილი ბავშვივით თავდახრილი იულია შეებრა-ლა. ეჭვე, რამდენი გაპირებული და უბედური ყოფილა ამ ქვეყანაზეო, — გაიფიქრა



გულისტიკივით, ერთხანს ჩაფიქრდა, მერე ხელისგული ჩამოიხვა გაოფილ და სტრახანსაგან გავარდარებულ სახეზე და ახლა იმაზე დაიწყო ბჭობა გუნებაში, თუ რასი გაკეთება, რა შეველა და ხელის გამართვა შეეძლო ამ უბედური, გასაცოდავებული და ბედისანაბარად მიგდებული ქალებისათვის.

— საქმელისა და ღამის გასათვის მეთი აფერი არ გვინდა ჩვენ, ნენა! — შეახსენა მაროიამ, რაკი მიხვდა, ჩვენს მდგომარეობაში ჩადგა, ჩვენი ღარდი და გასაჭირი ახლოს მიიტანა გულთან და რითი დაგვემაროს, ახლა იმაზე ფიქრობსო, — ისე მივმსახურებით, ისე გავუყვებით საქმეებს, არ დარჩება ნამდვილად ჩვენი უკმაყოფილო.

რასაც მაროია ამბობდა, ასე რომ იქნებოდა, ამაში კი იყო დარწმუნებული რატომღაც გიორგი, მაგრამ ვის სჭირდებოდა ამათი სამსახური, ამაზე უნდა ეფიქრა ახლა. სანამ რაიმეს მოიფიქრებდა, კარგანან იფხანა თავი და ისრისა თვალში. ეს უიმედო, უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილი დედა-შვილი ისე შეეცოდა, ისე ახლოს მიიტანა გულთან მათი გასაჭირი, თავად რომ ჰქონებოდა იმის საშუალება, რაიმეთი დახმარებოდა მათ, ერთი წამითაც კი არ შეეყოყმანდებოდა, არც კი დაფიქრდებოდა რაიმეზე, ისე გაუწვდიდა დახმარების ხელს. მაგრამ ახლა რა უნდა ექნა, როცა საკუთარი, მისეული, მისი კუთვნილი არაფერი გაჩნდა საკუთარი სხეულისა და სულის გარდა და თავადაც სხვის ჭერქვეშ იყო შეკედლებული? ფიქრა, ფიქრა და ამ ფიქრში რომ იყო, ერთი ბედნიერი აზრი მოუვიდა თავში.

— სარდიონს რომ მივუყვანო ესენი, რა იქნება ვითომ? — გაიფიქრა. მაგრამ მეორე წუთს, იმდენად შეუსაბამო და უაზრო ეჩვენა თავისივე განაფიქრი, მაშინვე უარყო იგი.

— კი, მაგრამ, მიიღებს ამათ სარდიონი? რაში სჭირდება ესენი? მოსამსახურის, საქმის გამკეთებლის მეთი რა ჰყავს მას? — განაგრძობდა იგი ფიქრს, — კი მაგრამ... მაინც... რომ მივუყვანო ესენი, რას იტყვის ნეტავი? ხომ არ გაჯავრდება, ესენი ვინ ოზრები მოგითრევიაო, ხომ არ მიყვირებს ნეტავი? ისე, რა კარგი იქნება, რომ მიიღებდეს, ამაზე სამაღლო და სასიკეთო საქმეს, აბა, რას გააკეთებს მეთს კაცი?

— ხომ არ გეგულება, ნენა, მავფერი სადმე? — ფიქრიდან გამოიყვანა მაროიას შეკითხვამ.

აგერ მესამეჯერ ეკითხებოდა მაროია ერთი და იგივეს. თავი ახწია და შეხებდა. მაროია უცქეროდა (რომ უცქეროდა ამას გუჟანით მიხვდა გიორგი, თორემ კაცს რომ შეეხებდა, მართლა სადღაც მიღმა, გაურკვეველი მიმართულებით იყურებოდა). როცა ამ ქალს უცქეროდა გიორგის რატომღაც გაორებული გრძნობა ეუფლებოდა — ეცოდებოდა ეს ქალი და თანაც ძალიან აღზინებდა კიდევ თავისი დაუნიებული მწერითა და ამდენი აზღა-უბდით, აზრჩაუტანებელი შეკითხვებით. იგი სადღაც, გულის კუნტულში გრძნობდა, თუ არა ის გოგო, იულია, მაროიას გულისათვის, მიუხედავად ამ სიცოცხლისა და თანაგრძნობისა, მაინცდამაინც დიდად არ გაიცხლებოდა თავს. ეტყოდა, ისეთს არავის ვიცნობ, თქვენი შეფარება რომ შეეძლებოდა, და მორჩა, არხენად გაუყვებოდა თავის გზას. მაგრამ ახლა, როცა მაროიას იულია ახლდა თან, როცა ასე უჭირდათ და როცა ასეთი კარგი გოგო იყო ეს იულია, ვერ გამოიჩინდა გიორგი გულგრილობას, ვეღარ მიატოვებდა ასე მათ და, თითქოსდა არაფერიაო, ვერ გაუდგებოდა თავის გზას გულცივი და სხვისი ჭირის არაფრად ჩამგდები კაცივით. არა, ვერასდიდებით ვერ მოიქცეოდა ასე გიორგი. შეხებდა გიორგიმ მაროიას, მერე აარიდა თვალი და ისე, რომ მის შეკითხვენზე პასუხი არ გაუცია, განაგრძო საკუთარ თავთან ბჭობა და ფიქრი:

— თუ სარდიონი ამათ მიიღებს და შეიფარებს ამას, რაღა აჯობებს? გვერდით მეცოდებოდა აგერ. კარგი გოგო ჩანს და... — წინასწარ იფუმანა, წინასწარ ჩაიფიქრა, წინასწარ ინატრა და გაუხარდა გიორგის და, ინატრა, გულში, მიეღო ისინი სარდიონს.



— რაც იქნება, იქნება! — დასკვნა საბოლოოდ ზიქრისა და ბკობის შემდეგ, შიშ ბრუნდა მაროიას და მოკლედ, მტკიცედ, გადაწყვეტად უთხრა: — ამოდით, აბა, ურემზე!

— რავა, გეგულება ვინმე, ნენა? — ვეღარ დაფარა სინარული და აღფრთოვანება მაროიამ.

— რაკი გითხარი, ამოდით-მეთქი, მეგულება, ალბათ!

— შენ კი გეიხარე, ნენა, შენს ცოლ-შვილში! — ხელები მოლაღდასავით ალაპრო მაროიამ და ისე დალოცა, მერე დაფაცურდა, ჭრ ფუთა შეგაღო ურემზე, მერე მიუბრუნდა იულიას და დაუცაცხანა: — რა შენმა ცოლვამ გამოგაბლუცუნა, გოვ? რავა დახარ მაქანე ხატზე გადაცემულივით? ვერ გეიგონე, რა თქვა ამ ასაშენებელმა? მოგვბედა. მგონია დმერთმა და მორჩა ჩვენი აღმა-ღაღმა წაწალი. ამოი ჩქარა ურემზე და წვედით, თვარა გამიწყალა ტვინი თავში ამ სიცხემ. — თქვა ეს მაროიამ, შვილს არ დაუცადა, დიდი გაჭირვებით აბობღა ურემზე, ჩამოჯდა ტომრებზე და მერე კარგახანს ქშინავდა უზომოდ დაღლილივით, ტომრებზე მჯდარი და უშნოდ ფხენებგაჩაჩხული იულია, თითქოსდა ყოყმანებს, ავიდეს თუ არაო, რამდენიმე წამს კიდევ იღვა ერთ ადგილზე, მერე, როგორც იქნა, გადაწყვიტა, ავიდა ურემზე, მიუჯდა გვერდით მაროიას და თვლემამორეულივით გაირინდა.

გიორგიმ ერთხელ კიდევ გადახედა ურემზე მოკალათებულ დედა-შვილს, მერე შოლტი გადაჰკრა ხარებს და ისევ გაუყვა ურემი მტვრიან, ცარიელ შარას ჩვეული კრიალითა და ზოზინ-ზოზინით.

როგორც კი ურემზე მოკალათდა და საქმე უკვე აუტრში მოყვანილად ჩათვალა, გამხიარულებულმა, ენაჭარტალა, კაჭკაჭის ნამდვილმა ნაშიერმა მაროიამ რომ ჩართო, არ იქნა და აღარ გააჩრა ენა, აჭარტალდა, მაგრამ რა აჭარტალდა, მოხსნა გუდას თავი და პირდაპირ გადმოყარა სათქმელ-სადაპარაკო.

მომთხთავა სიცხისა და მისი ლაქლაქით გაღიზიანებულმა გიორგიმ ერთი წუთით გაიფრტა კიდევ, რა ჩემმა ჯანდაბამ წამომაყვანია ეს ქალი და თავი ასეთ გასაქირში რატომ ჩავიგდეო. ცდილობდა, აღარ მიექცია ყურადღება მისი ლაქლაქისათვის, სანახევროდ მიეგლო ყური. მისი ლაპარაკი სულ უაზრო რახარუხად ეჩვენებოდა და დროდადრო უსიამოდ ჭმუნნიდა შუბლს. სანდახან კი მაროიას მალულად მიაბრუნებდა თავს და შეფარვით მიაჩერებოდა იულიას, რომელიც ჩვეულებრივ გასუსული იქდა, კრიჭა-შეკრულს დაეხარა თავი და დასჩერებოდა ერთმანეთზე მჭიდროდ მიტყუებულ მუსხე-ბზე დალაგებულ ხელებს.

მაროიას ლაქლაქმა ისე აუშალ-აუწიწა ნერვები, სხვა, მის ადგილზე მყოფი, ალბათ, დიდხანს არ დაახანებდა და მაროიას თავის ფუთიანად ბურთივით გადმოსივრიდა ურმიდან. ანდა, გაჩუმდებ, ამდენს რა გალაპარაკებხო, უნას მინც ეტყოდა. მას, გიორგის, კი გაბრაზებაზე უფრო ის უკვირდა, ამ ქალს რა ალაპარაკებხო ამდენს. კვირობდა ამაზე გუნებაში და ვერაფრით ვერ გაეგო და გაერკვია ეს. ცხადია, რაც უნდა ყურადღებითა და გულისყურით არ მოგესმინა, მაროიას ლაპარაკიდან ძალიან ჭირდა სოლმე რაიმე კოკოტული აზრისა და შინაარსის გამოტანა-ღადგება. თუშცადა, გიორგი არც კი ცდილა მისი ლაპარაკიდან რაიმე გაეგო და აზრი გამოეტანა, უსმენდა მხოლოდ როგორც მისჯილი, იძულებით უსმენდა და მაროია და მისი ლაპარაკი იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც მაროია იულიას აუცილებელ და მოუცილებელ დანამატს წარმოადგენდა

გოგოების მეთი რა ენახა თავის სოფელში გიორგის. გოგოებს რა გამოწყვეტდა აბა, ლამაზებიც მოიპოვებოდნენ და უშნობიც, ეშხიანებიცა და ულამაზოებიც, მაგრამ გიორგის არცერთი მათგანისათვის ზედაც არ შეუხედავს და, ამას დაუვახლოვდებო.



არასოდეს გაუვლია გულში. შეიძლება ამის მიზეზი ისიც კი იყო, რომ საქმით ისე იყო დაკავებული და დაუურსული, თავისუფალი დრო თითქმის არ გაჩნდა და ასეთ რამეებზე საფიქრალად და საოცებებოდ არცკი ეცალა. ასე იყო თუ ისე, ეს პირველი შემთხვევა იყო, ასე რომ მიიქცია მისი უურადლება გოგომ, ასე რომ დააინტერესა და ასე ერთბაშად და მოულოდნელად რომ გამოაღვიძა მისი აქამდე მიძინებულ-მიუყრებუ-ლი გრძობა.

არა, მაინც რა უცნაურია გული და თვალი კაცისა. შეიძლება, სოფელში გაცილებით უფრო უკეთესი გოგოები ყოფილიყვნენ და ამ ჩამოკონკილ-ჩამოძონძილმა, ამ გაზანგულ-გაწვირულმა, ვინ იცის, რამდენი ხნის დაუბანელმა, მაგრამ მაინც ლამაზმა, მიმზიდველ-მა და საოცრად მიწიერმა და ბუნებრივმა გოგომ ასე მიიქცია, ასე მძაფრად მიიზიდა მისი წყურადღობა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში გოგოს ერთხელაც არ დაუძრავს კრინტი და ისე, როგორც წელას, მაროია დაეჭვდა გიორგიზე, ახლა თავად ის, გიორგი, შენებდა — ეს გოგო შენახვევით ნუნჯი სოპ არ არისო.

მაგრამ არა, იულია მუწვი როლი იყო. მართალია, დედამისივით მოლაპარაკე არ გან-ლდათ, მასავით უაზროდ და დაუნანებლად როლი ფანტავდა სიტყვებს, მაგრამ, როცა საჭიროება მოითხოვდა, ლაპარაკის უნარი საქმაოზე მომეტებულადაც გაჩნდა, რაშიაც ცოტა მოგვიანებით გიორგიც კარგად დარწმუნდა. და თუკი ახლა იულია დუმდა, ამჭე-რად მისი დუმილი მხოლოდ და მხოლოდ ორი რამით იყო განპირობებული — ჯერ ერთი, რომ ამ უცნობი ახალგაზრდა მეურმის ერცხვინებოდა, ასეთ მდგომარეობაში რომ იყო. მეორეც კიდევ, მაროიასავით არ იყო ბუნებით უდარდელი, ქარაფშუტა და ყველაფრის არაფრად ჩამგდება, გულთან აწლოს მიუტანელი. დაფიქრების, განსჯის უნა-რი საკმაოდ გაჩნდა, თუ რა უიმედო მდგომარეობაში იყვნენ ჩავარდნილები, იმასაც კარგად ხვდებოდა და იმისი ფიქრი არ აძლევდა ვასაქანს, თუ სად მიდიოდა ახლა ამ ურემზე მჯდომი, რა გარემოებაში მოხვდებოდა და, საერთოდ, როგორ წარიმართებო-და შემდგომში მისი ბედი.

ხალც სამართალია, ასეთ რამეებზე, უპირველეს ყოვლისა, მაროიას უნდა ეფიქრა და ეწრუნა, მას უნდა ეტქნა თავი და ეცალალა. და მაროია რომ თავიდანვე მოკლებუ-ლი იყო სწორად განსჯისა და რამეზე ჩაფიქრების უნარს, ჭრიჭინობელასავით უზრუნ-ველი რომ იყო, სად დააღამდებოდა და დაათენდებოდა თავზე, რომ არ სწყუნდა, ასე ქე-რქება რომ იყო, იჭნება ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, ასე ბოშასავით აღო-დებული, სწვბის ურემზე რომ იჭდა ახლა და ერთბა დმერთმა რომ უწყოდა, სად მი-დიოდა, სად გადაისწრიდა შემდგომში ბედი.

როდის-როდის, მაროია მოეშვა უთავებლო ლაყბობას და გაჩერდა. ან ხათქმელ-მოსაყოლი შემოეღია, ანდა კიდევ ამდენმა ლაქლაქმა, თავზე უმოწყალოდ დაცხუნებუ-ლმა მწემ, კიდევ უფრო გამოუღაყა იმედაც ნაკლები ტვინი, ნაცარწყურილი ნაკერ-ჩხალივით მიღულ-მიბუჭუტა თვალი და მალე თავის კანტორიც აუტყდა.

გაჩუმებული და თვალბმობილელი მაროია რომ დინახა, როგორც იყო, მშვიდად ამოისუხებოდა გიორგიმ, დამადუა ხაშველიო, გაიფიქრა და წარებს შოლტი გადაუქნია, აჩქარა. რაკილა მაროია გაჩუღდა, სიჩუმე ჩამოვარდა ირგვლივ, რომელსაც მხოლოდ ურმის ჭრიალი არღვევდა. იულია ისევ გატრუნული იჭდა ტოშოებზე და ვინ იცის, რაზე ფიქრობდა ახლა. გიორგი ისევ მიჩერდა მას. ერთხანს უცქირა, მეტე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვედარ გაბედა და ისევ ასე ჩუმად და უსიტყვოდ ცქერა ამჯობინა.

მაროიას დუმილმა დიდხანს როლი გასტანა. მალე ჩაეძინა და ახლა მისმა სვრინვა-ბროტინმა ურმის ჭრიალის ხმაც კი ვადაფარა. გიორგიმ უკმაყოფილოდ შექმუნა შუბ-



ლი. ამას, ნამდვილად ვაღვიძებელი რომ იყოს და ჩვეულებრივად ლაქლაქებდეს, ისა სჯობსო, გაიფიქრა.

მაროიას ხვრინვა-სროტიანზე იუღია გამოცოცხლდა, ჭერ ვიორგისაკენ გააპარა მფრთხალი, მორიდებულ-დასროცხვებულნი მწერა, მერე კი უჩუბსრად წაჰკრა ქიმუნჯი გვერდში სირდადებულს და უსაწყველოდ ახროტინებულ მაროიას.

ამ მოულოდნელი ბიძგით ძილგამფრთხალმა მაროიამ ჭერ გამოქვაბულის შესასვლე-ლივით დაღებულნი პირი დახურა, მერე თვალი ღრუბლიდან თავდახსნილ მწესავით გამოაუჭიტა და ხამხამით გაიხედა აქეთ-იქით; მერე, რამდენიმე წამს, გაოგნებულივით იჭდა, მტვერდაფენილ, ბატის კანივით ოკრო-ბოკრო, ხორკლიან სახეზე გაცემა და გაურკვეველობა აღბეჭდოდა. ვერაფრით გაეგო, თუ რა იყო ასეთი უეცარი და მოუ-ლოდნელი ბიძგის მიზეზი. ბოლოს თავი იუღიასაკენ მიაბრუნა და იკითხა — რა ამა-ვია, გოვ?

- რა უნდა იყოს? — წყნარად მიუგო გოგომ, — რაზე შეკითხები?
- რაზე გეკითხები და... ჩამინგრია გვერდი რაცხამ და არ გეითხო, აბა?
- მე ვიყავი!
- შენ იყავი, გოვ? შენ კი დაგაყარე მიწა! რაიზა მერე, გოვ?
- ხვრინავდი, ბატონო, ხვრინავდი! შეაწუხებ ხალხი..
- როდის ვხვრინავდი, გოვ? — არ დაიჭერა მაროიამ
- რავე, გატყუებ, აბა? გეძინა და ხვრინავდი..
- დავუშვით და მეძინა, მერე რას მერჩოდვი, გოვ? დაღლილი ვარ და მაღლი იყო დავისვენებდი.

- ხვრინავდი-მეთქი, არ გითხარი, ადამიანი? სირცხვილია!
- დაგაყარე მიწა! როის ვხვრინავდი მერე? უხეირო ხარ და უკულმართი!
- კაი, კაი ახლა, გაჩერდი ერთი! — იუღია სახეზე წამოწითლდა და მალულად გააპარა მწერა ვიორგისაკენ.

— შენ გაჩერდი შავ მიწაში!  
ვიორგის, ცხადია, სიტყვა-სიტყვით ესმოდა დედა-შვილს შორის გამართული ეს ცხარე დიალოგი, მაგრამ თავს ისე აჩვენებდა, თითქოსდა არაფერს აქცევდა ყურადღე-ბას და მხოლოდ და მხოლოდ თავის ფიქრებში იყო ვართული.

ამჯერად ამით დათავრდა ყველაფერი, მაგრამ დუმილი და მყუდროება დიდხანს არ გაგრძელებულა; მაროიას ისევ ჩაეძინა, ისევ ახროტინდა კისერში თოკწაჭერილი-ვით და იუღიამ ისევ გაიმეორა თავისი იდეითი, ისევ აჭუჭღურდა გამოფხიზლებული მაროია: — რას მჩიქვავ და მჩგვლემ შე სასიკვდილედ და არ გასახარებლო? როის მძი-ხავს და როის ვხვრინავ მე?

მიყვა, მოყვა და ისევ გახმეორდა ყველაფერი..

გზა თითქოსდა დაუსრულებლად გაგრძელდა. დასიცხული ხარები უგერგილოდ იცოხნებოდნენ და ზანტად აღგამდნენ ნაბიჯებს, ზვის ორივე მხარეს ერთმანეთს ენაც-ვლებოდნენ რცხილისა და თხმელის ხეები, შქერისა და იელის ბუჩქები, შორს, ფერ-დობზე, მდინარისა და ზვის გაღმა-გამოღმა სიმწვანეში ჩაფლული, კრამიტითა და ყვ-რით დახურული ოლა-სახლები ჩამორიგებულიყვნენ. თითქოსდა გლოგობსო, არე-მიდა-ძო დადუმებულიყო, აღარც ჩრტის გაღობა ისმოდა, აღარც ძაღლის ყეფა და აღარც მამლის ყივილი, მხოლოდ მაღლა, მაღლა ქოჩორა ტყით დაფარული გორაკების თავზე ძერა აკეთებდა ირაოს და საცოდავად წიოდა.

ძერას წაოკზე მაროიამ შეშინებული და გაკვირვებული ქათამივით რაღაცნაირად აღშაყვრად აადირა თავი, ირიბად ახედა ფერდობს, მიაჩერდა მოზონინ ძერას და თქვა: — ჭაჯა მაგი, ჭაჯა! დაწყევლილია მაგი საცოდავი, დაწყევლილი!

— დაწყებული? — გაუკვირდა გიორგის, — როგორ?

— კი, დაწყებულია, დაწყებული! — დარწმუნებით თქვა მაროიამ, — რავა, შენ არ იცი, მაგი?

— არა! ვინ დაწყევლა?

— მაგი რა ვიცი, ნენა, მე? მარა მასე კია და... სიცხე რომა ძალიანი და იწობა ხეი და მიწა, წყალი მოწყურდება მაგ უბედურს ნამეტარი. მარა რა გინდა მერე, ვერ სვამს ვერასდიდებით წყალს.

— ვერ ნახულობს, აღბათ.

— ნახვით რაფერ ვერ ნახულობს, მარა ვერ სვამს.

გაუკვირდა გიორგის: — თუკი ნახულწხს, რაფერ ვერ სვამს? — მიაჩერდა მაროიას.

— დაწყებულია-მეთქი, ხომ გითხარი? ირჩობა წყურთულით და იმიზა წივის და წიოკობს ახე, მარა ვინაა გამგონე და მშველელი? არა, ნამეტარი გლახა და ბინძური სვევლაა მაგი, ხამეტარი! რავა, წყალი მოგწყურდეს და ვეღარ დალიო? — წამით ააუშა გააკეთა, ჩაფიქრდა და მერე უფრო ხმამაღლა და გაბოროტებით აჭუჭღურდა: — იეში კაცი უნდა დატანჯო ახე, ჩემი კაცი! მოაწყურო უნდა და არ უნდა აღრისო წყალი, ისე უნდა აწამო და წყურვითი ამოაშპო სული!

— ქმარი გყავს? — დაინტერესდა გიორგი.

— მყავს, აბა არ მყავს? — გაიოცა მაროიამ, თითქოსდს ამაში ექვი როგორ შეეპარაო, — ქმარი მყავს, კაცი მყავს, აბა აგი გოგო ციდან კი არ ჩამოფრენილა.

გიორგიმ ხარის ბუშტის ქისა ამოიღო ჭიბიდან, თამბაქო გაახვია, მოუქიდა, გაბოლდა და დინჯად იკითხა:

— მერე რას ერჩი, რა დააშავა?

— რა დაშიშავა და ყოლიფერი!

— ახლა სად არის შენი ქმარი?

— ეშმაკში და ჭანდაბაშია მისი თავი და ტანი! — კიდეც უფრო ხმამაღლა აჭუჭღურდა და გაბრაზებული მაროია და ინანა გუნებაში გიორგიმ, ნეტავი რატომ ვკითხეო რამე. — ვიცი მე სადაა და არ გეუბნები? ფოთში უნდა ეგდოს მგონია!

— ფოთში? რა უნდა ფოთში?

— მისი სიკვდილი და გადაშენება-გადასკვარამება უნდა! რა ვიცი მე, რა უნდა?

— მუშაობს, აღბათ, — ჩაილაპარაკა დაბნეულმა გიორგიმ, რომელმაც ვერც თავი გაიგო და ვერც ბოლო ამ აბურდულ-დაბურდული საქმისა...

— რა ვიცი მე, მუშაობს თუ ისვენებს? ჩვენდა კაი ხანია დაკარგული კია და...

— რაო, მიგატიათ? — როგორც იქნა ჩაწვდა ოდნავ გიორგი საქმის ვითარებას.

— მიგვატია, აბა, კაი ქნა, რამე?.. ქე ვიყავით ჩვენთვის ლამაზად, სახლი გვქონდა და კარი, გვიჭირდა თუ გვიღბინდა, ერთად ვიყავით მაინც და ქე ვცხოვრობდით სხვებით. მიწა გვქონდა, ვთესავდით სიმინდს, ლობიოს, მოგყავდა მოხავალი და ქე გავქონდა რაცხაფრად თავი...

(ვაკრძელებს იმნება)



პარმენ ლორია

## როგორ იწერებოდა «ჩაი»

წელს, ივლისში, შესრულდა მწერალ პარმენ ლორიას დაბადების 90 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ვბეჭდავთ მის პირად არქივში დაცული მოგონების ერთ ნაწყვეტს, რომელიც მწერლის პირველი წიგნის — „ჩაის“ გამოცემასთანაა დაკავშირებული.

1933-34-35 წლები მოვანდომე „ჩაის“ პირველ წიგნზე მუშაობას. ეს წლები, საერთოდ, მატერიალური სივიწროვის წლები იყო ჩემთვის. მწერალთა კავშირის ორგანიზაცია ახალჩამოყალიბებული იყო. მე, მართალია, ამ ორგანიზაციის მდივანად ვითვლებოდი, მაგრამ ხელფასი ძალიან მცირე მქონდა (პირველ წელს კი სრულიად უხელფასოდ ვიყავი). ამას გარდა, პირად ცხოვრებაშიც მძიმე მომენტები შემექმნა: ბავშვების ავადმყოფობა, ძმის (სიკვდილი, ფულის დაკარგვა, მრავალი სხვა ზარალი და სხვ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ვმუშაობდი, ვწერდი, ვასწორებდი, დამქონდა აქეთ-იქეთ, მაგრამ დაბეჭდვით არავინ ბეჭდავდა.

დიდი ამბით აქარსახელგამმა 1935 წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანა ჩემი წიგნის „ჩაის“ გამოცემა. ეს წიგნი მე დამუშავებული მქონდა, ზოგიერთი ადგილი დაიბეჭდა გაზეთებშიც, მაგრამ მაინც საჭიროდ დაინახეს მისი საჯაროდ წაკითხვა-გარჩევა.

18 თებერვალს, 1935 წ., მწერალთა კავშირში წავიკითხე რამდენიმე თავი რომანს „ჩაიდან“.

წაკითხვას დაესწრნენ განათლების კომისიარი, გამომცემლობის დირექტორი, ჩემი კავშირის თავმჯდომარე და სხვები.

კითხვის დროს ვამჩნევდი, რომ ნაკლებ ყურადღებით მისმენდნენ, სხირი რეპლიკებით. სხირად იძულებული ვიყავი, შემეწყვიტა კითხვა და შინაარსი მომეყვალა. მოყოლილი ამბებით ვერც ისე სასურველი შთაბეჭდილება შევქმენი, რომ ვფიქრობდი.

ილაპარაკეს შემდეგ, არც ნათი ლაპარაკიდან მოჩანდა რამ საიმედო. ლაპარაკობდნენ ზოგადად, იშველიებდნენ კლასიკური ლიტერატურის შედეგებს, ადარებდნენ ჩემს ნაწერებთან და დიდ განსხვავებას პოულობდნენ.

პირში არ მეუბნებოდნენ, ცუდიაო, უნდოდათ კი, ასე ეთქვათ.



ლამის პირველ საათზე მოვრჩით... არავის უთქვამს, მაგრამ ჩემი განაჩენი ვერ  
 რძენი...

წავიდნენ ისინი. დავრჩი მარტოდ. კიდე გადავავლე თვალი ჩემს ნაშრომს, დავხე  
 და ღუმელში შევყარე.

რომ ჩავფიქრდი, საკუთარი თავი შემებრადა. დონ-კიხოტის მდგომარეობაში  
 ჩავარდნილად წარმოვიდგინე თავი. ადამიანს რაინდად მომქონდა თავი და ობობას  
 ქსელის გარღვევა არ შემძლებია.

აბა, ვინ თქვა ჩემი მწერლობა! მამამ ხელმოწერა არ იცოდა, მე სოფლის ერთ-  
 კლასიანი დამომთავრებია. შემდეგ რას ვისწავლიდი? ბავშვობა ჩაქვის ჩაის პლანტა-  
 ციებში გავატარე. დიდიდან საღამომდე ჩაის ვკრეფდი ან ვბარავდი, ვთოხნიდი. შე-  
 მდეგ ნოვოროსისის ცემენტის ქარხნებში ვმუშაობდი, 19 წლისა სამხედრო სა-  
 მსახურში გამიწვიეს.

მეფის ფელდფეხელი და ეფრეიტორი იყვნენ ჩემი ბედის პატრონები. შემომ-  
 ტარეს ირანისა და ოსმალეთის ქვეყნები, ასეული კილომეტრები მატარეს ფეხით.  
 უამრავი წვალემა და ტანჯვა...

შემდეგ მენშევიკების საქართველო... ისევ სამხედრო, ისევ ყოველდღიური ში-  
 მშილი და სიცოცხე!

შემდეგ...  
 საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

მაგრამ მე ვერ გამოვიყენე ეს: სწავლისათვის ხელი რომ მომეკიდა, ადრე ვიპო-  
 ვიდი გზას. მე კი წ წელი მილიციაში სამსახურში გავატარე. შემდეგ წამწიეს, დაპა-  
 წინაურეს და რაღაცას დამამხგავსეს, მაგრამ...

მწერალი? ადამიანის სულის ინჟინერი? |  
 არა, ასე არ შეიძლება. ჩემგან მწერალი ვერ დადგება!..

კი, მაგრამ, რომ ვწერ მოთხრობებს, ნოველებს, ლექსებს, პიესებს. რომ იბეჭდე-  
 ბა და მკითხველებიც ჰყავს?

არა, მწერალი მაინც არ შეიძლება გავხდე!..  
 ამას ადასტურებს ამდამდეგი ამბავი: ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოვახ-  
 დინე ჩემი „ჩაით“. მე კი მგონია, რომ კარგია.

უკვე ჩაიფრფლა ღუმელში ჩემი პირმო ნაწარმოები და ამან საშინლად იმო-  
 ქმნა ჩემზე.

ნეტავ წერა-კითხვა არ ესწავლებინათ ჩემთვის. მაშინ ხომ ასეთ ტრაგედიას არ  
 განვიცდიდი?

ეძინათ, შინ რომ მივედი. ბავშვებს რომ გადახედე, რაღაც დამნაშავედ ვიგრ-  
 ძენი თავი მათ წინაშე. თითქოს მათი მძინარე თვალებიც კი მისაყვედურებდნენ,  
 დამცინოდნენ.

„მაგ ჩხაპვას თუ საქმეს ეძახი შენ, სულელი ყოფილხარ“ო, მითხრა ერთხელ  
 ერთმა ჩემმა კარგმა ამხანაგმა და თავი შემაძულა. მაშინ მართლაც მხოლოდ ვჩანა-  
 ნიდი. არსად არ დაბეჭდილიყო ჩემი ნაჩხაპნი. ახლა კი, მგონია, რომ ბავშვებიც, სა-  
 კუთარი შევლებაც ისეთივე სიტყვებით მომმართავენ, როგორც ჩემი ამხანაგი.

მთელი ღამე არ მიძინია. მეორე დღეს გადავწყვიტე, თავი დამენებებინა მწერა-  
 ლთა კავშირში სამსახურისათვის და სხვა ადგილას დამეწყო მუშაობა, მაგრამ იმავე  
 დღესვე შემეცვალა აზრი და უარვყავი ეს გადაწყვეტილება. ამის მიზეზი იყო მ. გო-  
 რჩის „ჩემი უნივერსიტეტების“ გადაკითხვა. ამ ნაწარმოებმა კვლავ იმედი მომცა.

თუ კაცს ნიჭი აქვს და ამავე დროს გამძლეობა და ნებისყოფაც, ის ყველაფერს  
 შეძლებს. სწავლა, ცოდნის მიღება აუცილებელია. ცოდნა ნიჭს გზას უკავავს, მიზა-  
 ნთან მისვლას უადვილებს, მაგრამ შეიძლება ადამიანმა სკოლის გარეშეც მიიღოს

ცოდნა, უნივერსიტეტის გარეშე შეიძინოს უნივერსიტეტის პროგრამით წინებული მეცნიერება.

ჰო და, დავიყინე: სკოლის გარეშე, უნივერსიტეტის გარეშე მიღებული ცოდნით უნდა გავხდე მწერალი... სასაცილოდ ეჩვენოს, შეიძლება, ვინმეს, მაგრამ მე ასე გადავწყვიტე:

— წერა-კითხვა ვიცი, ცხოვრებას ვიცნობ, გამოცდილება მაქვს, მამასადამე, რა შემთხვევაში სჯობს, რომ მწერლობაში ჩემი წვლილი შევიტანო?

გავბრაზდი საკუთარ თავზე.

— რატომ არ ვისწავლე? რატომ არ ჩავეწერე პირველად გახსნილ მუშუაქში? ხომ მეუბნებოდნენ, ხომ მიჩიხის? ახლა საშუალო ცოდნა მექნებოდა. ზოგიერთი ჩემი ამხანაგი ინჟინერი გახდა, ექიმი, ქვექილი... ისინიც ისეთივე უსწავლელები იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებში, როგორც მე. დღეს კი...

არა, დასასჯელი ვარ. დავიწარე. უფრო კი, სამსახურმა შემისწავლა ხელი. არ მინდოდა სამსახურისათვის დამეკლო რამე. თუმცა, ახლა რომ ვუკვირდები, სამსახურში ხელი სრულებითაც არ შემეშლებოდა. ცოლ-შვილიც იყო ცოტა დამაბრკოლებელი. ცოლ-შვილიანი კაცი რაღას ვისწავლი-მეთქი.

ახლა კი ვნანობ...

მაგრამ არა... მეორე გზა არ არის. უნდა ავწიო ის მძიმე ტვირთი, უსათუოდ უნდა ავწიო და მწერალი უნდა გავხდე.

რატომ მაინცა და მაინც ეს პროფესია?

ვერ გიპასუხებთ. ჩემი გარეგნობა, შინაგანი ბუნება და სხვა მონაცემები სრულებითაც არ არის ამ პროფესიის აღმინანის შესაფერისი. ინტელიგენტის სული თითქმის არც არის ჩემში. მიყვარს ფიზიკური მუშაობა, უბრალოება, უფრო დაბალ ფენებში ცხოვრება. ქარხნიდან გამოსული მუშის დანახვა სიამოვნებას მგვრის, მინდა მასავით გამურული ხალათი მეცვას, მასავით ჩარბთან ვიდეგე, ვხეზავდე, ვკლიბავდე. ქარხნის საყვირის ამოძახებას ვუთანხმებდე ჩემს მისვლა-მოსვლას... ან ყანაში ვიდეგე სხვებთან ერთად და ვთოხნიდე... დიას, ყველაფერი ასეთი რამ მიყვარს და ამ დროს მწერლობა კი დამიჩემებია. რატომ მინდა გავხდე მწერალი?

არ ვიცი... პატარა ვიყავი, მეორე კლასში (განყოფილებაში), მაშინ დავიწყე წერა. ვწერდი ყველაფერზე, რაც კი ხდებოდა მაშინ, რასაც ვნახულობდი და განვიცდიდი. ამ ნაწერებს დედას ვუკითხავდი და მას სიამოვნებდა. შემდეგ ხანებში ბევრი ტანჯვა გამოვიარე, მაგრამ წიგნების კითხვა და წერა ვერა გაპირებებამ ვერ მომამშლევინა. ითქმის ავადმყოფობადა გადამექცა.

მწერლობის არც სახელი მაინტერესებს, არც დაწერილში აღებული ფული, მაგრამ მწერალი ვყოფ, კი მინდა. ჩემს ნაწერებს რომ კითხულობდნენ, ძალიან მაინტერესებს. ის, რაც მე მინახავს, განმიცდია და გამომივლია, მინდა ყველამ იცოდეს.

ამიტომ მინდა, ალბათ, მწერლობა.

დავქექი, დავაგროვე ქაღალდი, მოვამზადე საწერ-კალამი, ჩავიკეტე კარები და დავიწყე წერა.

ისევ ვწერ. ისევ „ჩა“ ქვია ჩემს ნაწარმოებს, მაგრამ იცვლება შინაარსი. ვწერ უფრო მშრალად, ნაკლები გრძნობებია შიგ. არ მომწონს, მაგრამ მაინც ასე ვწერ. იმიტომ, რომ ჩემს მსაჯულებს ასეთი ნაწარმოები უფრო მაინჩიათ პოლიტიკურ ნაწარმოებად.

ვწერ დღე და ღამე. ვწერ სხვისი გემოვნების მიხედვით. მინდა მიიღონ დასაბეჭდად და შემდეგ, შეიძლება, სხვა ზერხს მივმართო. ამიტომ მექანიკური აღმინანები გაზოდიან ჩემი გმირებიდან.

დავაპოვებ. წავიდე სახელგამში და მოვილაპარაკეთ. ახლა არავის გაუსინჯავს



არავის მოუთხოვია საჭაროდ განხილვა, ისე მიიღო სახელგამამ და ხელშეკრულება და მიღო. ძლივს გაიმეტა ორასი მანეთი ფორმაში, მაგრამ ამას ვინ ჩივის. დაიბეჭდა და სხვა არა მინდა.

გადასცეს რედაქტორს, პოლიტრედაქტორს წასაკითხად. მომეცა საშუალება გზა და გზა დავაშუალო, შევიტანო ისეთი ელემენტები, როგორც მე მომწონს: გრძნობები, განცდები, მისწრაფებები, და ბოლოს შევაპარე ისიც, რომ წავაწერე ბოლოში: „პირველი წიგნის დასასრული“. ამით ერთგვარი ბოდიში მოვიხადე მკითხველების წინაშე — შევპირდი მეორე წიგნს, და ამავე დროს საპრეტენზიო საქმეც მოვიგვარე: ერთგვარი უფლება დავიჭაფე სახელგამამში, რომ მეორე წიგნიც გამოსულიყო.

დაიწყო ბეჭდვა. ტირის სახელგამის დირექტორი, რომ მას წიგნები ჩაუწვება, ვინ იქილის ლორიას „ჩაის“. სახელწოდება მაინც ჰქონდეს მიმზიდველი.

მე ჭინაზე არ გამოცვალე სახელწოდება მინდა ჰქვიოდეს „ჩაი“.

რამდენიმე წელია მას შემდეგ, რაც გაუეთბეში აქვეყნებდნენ, ესა და ეს მწერალი წერს რომანს „ჩაის“, ესა და ეს დრამატურგი — დრამას „ჩაისი“, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დაწერა. მე კი სწორედ ამიტომ მინდა ჩაი ჰქვიოდეს.

არ გასაღდებაო.

ვნახოთ. მე გვინა, რომ გასაღდება. წაიკითხავენ. მიიღებენ. ახლა აღარ მეშინია ბევრი სუსტი ადგილის ნაცვლად ბევრი კარგი შევიტანე. თუ მიიღეს, მეორე წიგნს უკეთესს დავწერ.

1936 წელი მონადღმეს აწყობას. ისე მუშაობენ ზედ, როგორც საზოგადოებრივი საქმეზე. ძლივ-ძლივობით 1936 წლის ნოემბერში მოათავეს, მაგრამ გამოშვებით არ უშვებენ. ვიღაცა აჩერებს, მაგრამ მე არ ვიცი, ვინაა ის ყოვლისშემძლე.

რამდენიმე თვე გავიდა. 1937 წლის თებერვალში ვგებულობ, რომ წიგნს აჩერებენ. რატომ?

რამაი საქმე?

რომანში, თურმე, ნახსენები ყოფილა სახელი ლევანი, ლევანი კი ხალხის მტრის სახელია. რომანში ნახსენებია აგრეთვე ნოე. ესეც ხალხის მტერს ჰქვიოდაო. არის თეოფილე. თეოფილე მენშევიკი იყო. კიდევ მრავალი სახელია ასეთი.

მაღლიან გამიკვირდა. ვაგბრაზდი: ეს უფიცობაა! ლიტერატურის არცოდნაა! დაცი-ნება! აბა, როგორ შეიძლება, მწერალმა ისე შეარჩიოს სახელი, რომ იმ სახელის პატრონი ვინმე ბოროტი, მავნე და ქურდი არასდროს არ ყოფილიყოს?

ჩემს გაჯავრებას ყურადღება არავინ მიაქცია და მომთხოვეს დამესახელებია ჩემს მეტრ სახელით მოხსენებული ადამიანების გვარებიც, თორემ მკითხველი იფიქრებდა (მათი აზრით), რომ ლევანი ტროცკისტია, თეოფილე მენშევიკია და ა. შ.

მწარედ გამეცინა, და ერთი რამეც მოვიფიქრე...

— მაშ, კარგი. ვეთანხმები თქვენს მითითებებს, მაგრამ ახლა როგორ შეიძლება დაბეჭდილ წიგნში ჩავწერო გვარები? ამიტომ, გამოვიდეს ეს წიგნი ასე, ხოლო მეორე წიგნში ყველა აქ თქმულ სახელს გვარებს მივუწერ-მეთქი.

ცოტათა დაშვებდნენ, მაგრამ თბილისში მაინც გაგზავნეს, საიდანაც მიიღეს გამოცემის ნებართვა და..

1937 წლის 5 მარტს გამოვიდა წიგნი.

ტიროდა სახელგამი: დავილუბე, დავზარაღდი, ჩამიწვება „ჩაიო“. თბილისის სახელგამის სავაქრო განყოფილებამ მხოლოდ ასი ცალი მიიღო გასაზრცელებლად. რასაც შეეშინდა, ჩამიწვებაო.

პირველად მართლაც სუსტად გავიდა, მაგრამ... ორი თვის შემდეგ მეც კი ეძებდლი, მაგრამ ვერ ვპოულობდი. მომდიოდა წერილები. მოხოვდნენ გაგრძელების მალე დაწერას.



ახლა წავხალისდი. სახელგამამც სხვაგვარად გამოიხედა ჩემსკენ და მწერის დაწერა მოითხოვა.

ამ წიგნისათვის ხელნაწერები 1937 წლის მაისში ჩავაბარე. შესავალიც ისეთი დაწერე, რომ წიგნი უნდა გამოსულიყო ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავის, მაგრამ იმდენი დაბრკოლება შეუქმნეს სტამბაში, რომ ძლივ-ძლივობით 1948 წლის 7 ნოემბრისათვის გამოვიდა.

ბევრი ვიძუშავე ამ წიგნზე. ტექნიკურ საქმეებსაც მე ვასრულებდი. როცა შეატყვე, რომ სტამბაში ფერხდებოდა საქმე, თვითონვე დაიწყო სტამბაში სიარული. დღე და ღამე იქ ვიყავი. ვებმარებოდი აწყობაზე, გადატანაზე, დაშლაზე, ზექდებაზე და სხვ. ჩემთან ერთად ძალიან თავდადებულად და ერთგულად მუშაობდა ამ წიგნის გამოცემაზე პოეტი ნესტორ მალაზონია.

ამ წიგნმა ჩემი მკითხველების რიცხვი ერთი-ორად ვაზარდა და ბევრი კარგი მემობარიც შემძინა მკითხველებიდან.

„ჩაი“ საყვარელი წიგნი გახდა ახალგაზრდობისათვის, მეტადრე მოსწავლეებისათვის. ამ წიგნის მთელი ტირაჟი მოითხოვა თბილისმა...

## შტრიხები პორტრეტისათვის

პარმენ ლორის წიგნები რასაკვირველია, ბავშვობაში წავიკითხე. „რასაკვირველია“ იმიტომ, რომ ყველაფერი ღირსსახსოვარი ბავშვობას უკავშირდება. რაკი სიტყვამ მოიტანა, იმასაც ვიტყვი, რომ ჩემი თაობის ხალხს არც დაღწინებული ბავშვობა ჰქონდა და არც წიგნებით იყო განებივრებული. დაახ, ომისა და ომისშემდგომი წლები მაქვს მხედველობაში, როცა პურს, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ტალონებით ვღებულობდით. მხოლოდ წიგნის მაღაზიაში შეიძლებოდა უტალონოდ შესვლა. განსაკუთრებით იმ მაღაზიაში გვიყვარა მისვლა, გამჟი რომ ალექსანდრე გოგუაძე იყო, კეთილი და მოსიყვარულე კაცი. სულ ბოდიშს გვიხდიდა, ომია ბიძებო, ახალი წიგნებით მაინცდამაინც ვერ გავაზარებთო. მართლაც, საბრძოლო ბროშურებისა და პლაკატების გარდა, მაღაზიაში ვერაფერს ნახავდით. პლაკატებზე თმაჩამოყრილი ბნელიანი ჰიტლერი ეხატა, გულში წითელარმიელის ხიშტი ჰქონდა გარკობილი და ფრენჩზე შავი სისხლი ეღვრებოდა...

მგონი, 1944 წელი იყო, როდესაც თაროზე ბროშურების გვერდით პირველი სქელი წიგნი გამოჩნდა. გლაკტიონ ტაბიძის ლექსები იყო დაბეჭდილი ამ წიგნში, დაახლოებით ისეთ ქაღალდზე, დღეს რომ პროდუქტების გასახვევად ხმარობენ.

ახლა თქვენ იფიქრებთ, წიგნს მონატრებული ბიჭები მაშინვე გავიქეციით და ეს კრებული შევიძინეთ... როგორ შევიძინდით, როდესაც 100 მანეთი ღირდა (მაშინდელ ფულზე, რასაკვირველია, მაგრამ მაინც სოლიდური თანხა იყო) და, სულ ცოდილო, მაინცდამაინც არც პოეზიის დიდი ტრფიალი ვიყავით, თუმცა საკუთარი ლექსები სასკოლო კედლის ვაზეთში უკვე გექონდა გამოქვეყნებული... აი, რომანი რომ ყოფილიყო... რომანებს წაუკითხავს არ ვტოვებდით. ბიბლიოთეკაში რიგს ვიკავებდით, ერთმანეთისაგან ვთხოულობდით და, რაზედაც ხელი მიგვიწვდებოდა, ყველაფერს ვკითხულობდით — „სერვანტისის ცხოვრებასაც“, „დეკამერონსაც“, „მთვარის მოტაცებანაც“, უპირველესად კი „ჩაი“ და „მეველდი“ წავიკითხეთ. ბათუმელი კაცის დაწერილი რომ იყო

ალბათ, იმიტომ. თანაც ყველაფერი ადვილად გასაგები იყო, მასწავლებლის შეწუხება არ გვეჭირებოდა, „ლირიკული ტერმეცო“ რას ნიშნავს ან „სენტიმენტალური მოგზაურობა“.. „იველუდი“ მე პირადად, საშვერ გადავიკითხე. ხალხი რიგში იდგა და რომ დაეუგვიანე, კინაღამ გაოლახეს. აო დაგიძალავთ. აშკარად მშურდა, ასეთი კარგი წიგნი ნეტავ მეც დამაწერინა-მეთქი. მისი ავტორი დღეთებრივ ცაცად წარმომედგინა, სულ მისა ენაჩრობდი, თვალი შორიდან მაინც მომეკრა.

ნატვრა მალე ამისრულდა. ერთხელ ჩვენი უბნის ბიჭები „მანთაშეველებს“ ვეჯობ-რებოდით ფეხბურთში „კოუ-კამერა“ არ გვექონდა, ჭინჭებით გატენილ ბურთს დავსდევდით ჭაფუაჩისა და ცხაკიას ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ეზოში). შეკარედ ჩემი სენხია და თანასკოლელი გეყავდა, მოწინააღმდეგის თავდამსხმელს უშიშრად დაუხვდა, ჩვენ მარცხისაგან გადაგვარჩინა, მაგრამ საკუთარი ფეხი ვერ გადაიოჩინა და, სპორტულ ენაზე რომ ვთქვათ, ტრავმა მიიღო.

„მანთაშეველთა“ უხეშობით გაბრაზებულ მაყურებლებს შუახნის ბრვე კაცი გამო-ვეყო და დამაგებული მეკარე მოედხიდან გაიყვანა, სანამ სათადარიგო მოთამაშეს გამო-ვიყვანდით. ჩემმა თანაგუნდელმა შოთა მაკარაშვილმა მკითხა:

— იცი შენ, ვინ არის ის კაცი?

— აბა. საიდან მეცოდინება! — გავიკვირვე მე.

— პარმენ ლორიაა. — ჩურჩულთით მითხრა შოთა, თითქოს სამხედრო საიდუმლო-ებას მანდობდა.

— მწერალი? — არ დაუუჯერე მე.

— კი. ნამდვილად მწერალი პარმენ ლორიაა! — დამიდასტურა მან.

ბურთი აღარ მახსოვდა, იმ ბრვე კაცს მივჩერებოდი, ჩემი წარმოდგენით უფრო დურგალს ან ყანის მუშას რომ ჩამოგავდა, ვიდრე მწერალს. თავს ურწმუნო თომასავით ვაქწევდი, ასეთი კაცი ვერც „ჩაის“ დაწერდა და ვერც „მეველუს“-მეთქი.

თურმე, სწორედ რომ ასეთი კაცი დაწერდა, მაგრამ სანამ კალამს ხელში აიღებდა, ძნელად სავალი გზა უნდა გაველო, ტკბილზე მეტი მწარე დაელია, უნდობლობის ბა-რიერი გადაეღაზა, რწმენა არ დაეკარგა და ეჭვები დაეძლია.

აკი წერს თვითონაც — მიუკიბ-მოუკიბავად, მკაცრად, დაუნდობლადაც კი:

„აბა, ვინ თქვა ჩემი მწერლობა! მაშამ ხელმოწერა არ იცოდა, მე სოფლის ორკლა-საანი დამამთავრებინა. შემდეგ რას ვისწავლიდი? ბავშვობა ჩაქვის ჩაის პლანტაციამში გაუბატარე. დილიდან საღამომდე ჩაის ვკრეფდი ან ებარავდი. ვთოხნიდი. შემდეგ ნო-ვოროსისისკის ცემენტის ქარხნებში ვმუშაობდი. 19 წლისა სამხედრო სამსახურში გამი-წვიეს.

მეფის ფელდფეხელი და ეფრეიტორა იყვნენ ჩემი ბედის პატრონები, შემომატარეს ირანისა და ოსმალეთის ქვეყნებში, ასეული კილომეტრები მატარეს ფეხით. უმარავი წვალება და ტანჯვა...

შემდეგ მენშევიკების საქართველო.. ისევ სამხედრო, ისევ ყოველდღიური შიმში-ლი და სიცივე.

შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მაგრამ მე ვერ გამოვიყენე ეს, სწავ-ლისათვის ხელი რომ მომეკიდა, ადრე ვიპოვიდი გზას. მე კი 6 წელი მილიციაში სამსა-ხურში გავატარე. შემდეგ წააშვიეს, დამაწინაურეს და რაღაცას დამამსგავსეს, მაგრამ...

მწერალი? ადამიანის სულის ძეინერი?

არა, ასე არ შეიძლება, ჩემგან მწერალი ვერ დადგება“.

ყველაფერი ამის შემდეგ რა სულიერი სიმტკიცე, რა დიდი ძალისხმევა იყო სა-ჭირო, ცხოვრებაში ნანახი და განცდილი ქალაღზე გადაეტანა და სხვებისთვისაც მო-თხრო. მართალია, თანამოკალმეებისაგან ვერც მწერლური ოსტატობით, ვერც რაფი-



წინებულ სტილით გამოირჩეოდა, მაგრამ მისი გაურანდავი სტრიქონები სეული სიმართლით იყო დაყურსული, სიუჟეტსაც დეტექტივით ნაღმაველი სული გქონდა, როდის აგფეთქდებოდა... ერთი სიტყვით, წერდა იმას, რაც საკუთარი თვლით ენახა და საკუთარი ყურით მოესმინა.

ასე დაიწერა „ჩაი“, მაგრამ თავდაპირველად ავტორმა სასურველი არიმატი მას ვერ აღმოუჩინა. „კიდევ გადავაგლე თვალი ჩემს ნაშრომს, დავხიე და ღუმელში შევყარე“... ხელმეორედ მიუჯდა „დაზგას“ (საწერ მაგიდას), ჩაკეტა კარი და ისევ ჯიუტად დაიწყო წერა.

„1937 წლის 8 მარტს გამოვიდა წიგნი. ტიროდა სახელგამი, დავიღუპე, დავხარალდი, ჩაწვება „ჩაი“, თბილისის სახელგამას სავაჭრო განყოფილებამ მხოლოდ ასი ცალი ძილო გასავრცელებლად, იძისივ შეეშინდა, ჩაწვებაო.“

პირველად მართლაც სუსტად გავიდა, მაგრამ ორი თვეს შემდეგ მეც კი ვეძებდი, მაგრამ ვერ ვპოულობდი... „ჩაი“ საყვარელი წიგნი გახდა ახალგაზრდობისათვის, მეტადრე მოსწავლეებისათვის. ამ წიგნის მთელი ტირაჟი მოითხოვა თბილისმა.

რაკი ტირაჟზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ პარმენ ლორიას წიგნები მუდამ დიდი ტირაჟით გამოდიოდა და დღესაც გამოდის, მათ თაროებზე გაყვითლება არ უწერიათ. „ჩაის“, „მეკლუდს“, „დელი მურადს“ (მინც ძველი სახელი ჯობდა), სხვასა და სხვას კვლავ ძველებური გატაცებით კითხულობენ ახალგაზრდები, ისე როგორც, მათი დედები და მამები. ბებიები და ბაბუები კითხულობდნენ.

ჩემი აზრით, ძალზე ყურადსაღებია ერთი ბოლოდროინდელი ამბავი. „მეკლუდს“ მიზნდვით გადაღებულ ფილმს (არცთუ ისე საინტერესოდ გადაღებულს) იმდენი მყურებელი ჰყავდა, ხევერ ქოთხულ განზაურებულ სურათს რომ არ ჰყოლია.

რით უნდა ავხსნათ ეს ფაქტი, დაბალი გემოვნებით? არა მგონია! საიდუმლო მინც პარმენ ლორიას მწერლურ ღირსებაში უნდა ვეძიოთ.

ყველაფერი ზემოთქმული შემოქმედებით საკითხებთანა დაკავშირებული, მაგრამ მწერლის პოტრეტში რომ ძარტო შემოქმედებით არ წარმოგვიდგება. პიროვნულ თვისებებსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს.

ცოვრებაში შატონი ააოშენა კეთილი კაცი იყო, მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს სულ თავლად გადმოსდიოდა ათიოდა. კეთილიც იყო და მკაცრიც, სიმართლის პირში მოქმელი. ერთი სიტყვით, მართალი კაცი იყო. ჰიპარად არავის არაფერს ეტყოდა, ყველაფერს მოზომავდა, მისხალ-მისხალ აწონიდა, ამიტომაც ჰქონდა მის სიტყვას ფასი. მას სენდება გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ყოფილი რედაქტორის რუბენ სირაძის ნათქვამი: დანასისხლად გადაკიდებული ნეზობლებს დავაში სოფელი რომ ვერაფერს გახდა, მტრები პარმენ ლორიას ავტორიტეტულმა სიტყვამ შეარიგაო... ვინ იცის, რამდენ მკითხველს მიუმართავს თხოვნით, ყოველთვის დახმარების ხელი გაუწოდებია, ყველა სახლში სასურველი სტუმარი ყოფილა.

კეთილიც და მკაცრიც!..

თავი თუ არ მოგაზნერეთ, ერთ ამბავს კიდევ გავიხსენებ.

სტუდენტი ვიყავი, აღმანახ „ტალღაში“ იუმორისტული მოთხრობა „ბარნაბას მამალი“ რომ დავბეჭდე. მოულოდნელად ზოგიერთმა პასუხისმგებელმა მუშაკმა ამ მოთხრობაში სასაცილო ვერაფერი დაინახა, სინამდვილის დამახინჯება დამწამა და ძალიან სერიოზულად მოითხოვა აღმანახის შეჩერება. პირველი, ვინც გაბედულად აიმაღლა ზმა უცნობი ავტორის დასაცავად, პარმენ ლორია იყო. მისმა ავტორიტეტმა გასჭრა. მეც, გადავრჩი და აღმანახიც.

რალა დავიშლით და, გათამამებულმა, ორიოდ მოთხრობასა და ნარკვევს სწრაფად მოვეყარე თავი და ბათუმის გამომცემლობაში მივარბენინე. სიხარულით, ცხადა, არა-



ვინ გადარეულა, ეს რა მოგვიტანეო, მაგრამ არც უარი უთქვამთ: „თუკი პარმენ ღორია დადებით რეცენზიას დაწერსო“... პარმენ ღორია როგორ არ დაწერდა! ჩემზე ბელნიერი არავინ მეგონა ქვეყანაზე, მაგრამ კაცი ბგობდა და ღმერთი იცინოდაო, ზომ გავიგონიათ? ბატონმა პარმენმა რეცენზია კი დაწერა, თუმცა, მე, პირადად, არ წამიკითხავს, რადგან ათევერად მათხრა, თანაც საკუთარ ოჯახში, გულუხვი გამასპინძლებისა და ახალი რომანით დასაჩუქრების შემდეგ: „სიჩქარე ფეხბურთშია კარგი, მაგრამ მწერლობაში ნურას უკაცრავადო, წიგნის გამოცემა ჯერ შენთვის ნაღრევიო“

მეწყინა, მაგრამ რა უნდა ჯეჟნა, სახლში როგორ დავბრუნდი, აღარ მასსოვს. საღღერძელოში მაინც არ გავეხარებინე, „ნიკიერი ახალგაზრდა ჩანხარო“...

მეორე დღეს, ქუჩაში რომ შემხვდა, თვალი ვერ გავუსწორე. ზელი გადამხვია, დამიყვავა და მამაშვილურად დამარგავა... ჩემი წიგნი ორი წლის შემდეგ გამოვიდა, შეცვლილი და გადამუშავებული. (ორი წელიც რომ კიდევ მომეცადა, უფრო აჯობებდა, მაგრამ ამ სიტყვების თქმა ახლა ადვილია, მაშინ კი...)

რასაც ვწერდი, თითქმის ყველაფერს კითხულობდა. „კომუნისტში“ ჩემი სტატია რომ უნახავს („არა მარტო, ზღვა და შავი ყავა“ ერქვა), მოწონებია და ძალიან თბილი ბარათი გამომიგზავნა... ამ სიტბოს სხვებსაც გულუხვად უწილადებდა. მაგალითისათვის თუნდაც მისი რეცენზია კმარა, პოეტ შოთა ზოიძის ლექსების კრებულს რამ მიუძღვნა


დღეს ბატონი პარმენი 90 წლისა იქნებოდა... რომ დაცლოდა, ალბათ, მადლიერი მკითხველები კიდევ ერთ თბილ იუბილეს გადაუხდიდნენ, პატივს მიაგებდნენ მწერლისა და მოქალაქის ნაშრომ-ნაამაგარს.

მკითხველის სიყვარული მისთვის უმაღლესი ჯილდო იყო.  
აბა, მოვუსმინოთ:

„განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის მკითხველების მოსაზრებანი ჩემს შემოქმედებაზე, მათი პირუთენელი აზრი, მათი სიყვარული ძალასა და ენერჯიას მმატებს და თუ იმ სიმაღლემდე ავიწიე, ვისხენიები ქართველ მწერალთა შორის, ამას, უპირველეს ყოლისა, მათ უნდა ვუმაღლოდე, ამას უნდა ვუმაღლოდე იმ ნოყიერ ნიადაგს, რომელიც აქ, ამ კუთხეში დამხვდა და ჩემს შემოქმედებას შნო და ლაზათი შემატა.

დიდება ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ლამაზ და უხვ სამშობლოს! მის ხალხს დიდება!“

ალექსანდრე სანსონიძე



ჟოკაპ სიგენონი

## მებრა ლიეჟში

ჟანის სამუშაო ოთახში მაგიდა იდგა, მისი მოვალეობა კონვერტებზე მარკების დაწებება, წერილების დახარისხება და სასყიდლებზე წასვლა იყო.

ამ დღით ჟანი უსიტყვოდ მუშაობდა. არავის უყურებდა, მაგრამ კლერკს უთვალთვალებდა, ორმოცდაათი წლის მკაცრი გამომეტყველების მამაკაცს, რომელიც მისი უფროსი იყო, თორმეტ საათამდე არაფერა მომხდარა, თორმეტზე კი მასთან კლერკი მოვიდა.

— თქვენა გაქვთ მცირე სალაროს ანგარიში, შაბო?

ჟანი დილიდანვე ამზადებდა პასუხს:

— მაპატიეთ, ბატონო ოზეი, დღეს სხვა კოსტუმი ჩავაცვი და სახლში დამრჩენია დღიურიც და ფულიც, ნაშუადღევს ჩავაბარებთ ანგარიშს...

ჟანი ფერმკრთალი იყო. კლერკი ამან განაცვიფრა.

— აუად ხომ არა ხართ?

— არა... არ ვიცი... შესაძლოა ცოტა...

მცირე სალარო მარკებისათვის იყო განკუთვნილი, აგრეთვე ინახავდნენ საერთო წვრილმანი ხარჯების, დაკვეთილი ამანათებისა და წერილების თანხასაც, თვეში ორჯერ, — 15-სა და 30 რიცხვებში. ჟანს გარკვეულ თანხას აძლევდნენ და დანახარჯებს იგი დღიურში აღრიცხავდა.

\* \* \*

კანტორის მოსამსახურეები წავიდ-წამოვიდნენ, ჟანი თვალებით ეძებდა დელფოსს. შეამჩნია, თუთუნის სავაჭრო ვიტრინის წინ სიგარეტს აბოლებდა.

ერთად გაუდგნენ გზას. სურდათ, ხალხში გარეულიყვნენ.

— წამო „პელიკანში“, ბიძაჩემთან ვიყავი... ცოტა დრო მქონდა. მო

ვასწარი ხელის ჩაყოფა... ბლომად მომივიდა ჩემდა უნებლიეთ...

— რამდენი?

— თითქმის ორი ათასი...

თანხის რაოდენობამ შაბო შეაშფოთა.

— აი სამიათასი ფრანკი მცირე სალაროდან. დანარჩენს გავინაწილებო.

— არა!

— რა მოხდა, განა ყოველთვის თანაბრად არ ვიყოფთ?

— ეს ფული მე არ მჭირდება!

— არც მე.

მათ უნებლიეთ გახედეს ერთ-ერთი სახლის პირველი სართულის აივანს. ის ადელის სახლი იყო.

— იქ არ ჩაგივლია?

— პოტ-დორის ქუჩით გავიარე. კარი ღია იყო, როგორც ყოველ დღეს. ვიქტორი და ჟოზეფი ჰგვიდნენ...

— კარგად დაინახე იმ საღამოს, არა?

— დარწმუნებული ვარ, რომ თურქი იყო — სიტკა აკანკალებულმა დელფოსმა.

— პოლიცია იყო ქუჩაში?

— არაფერი!.. ყველაფერი ნორმალურად იყო... ვიქტორმა შემამჩნია და მომესალმა...

ასინი „პელიკანში“ შევიდნენ. მაგიდას მიუსხდნენ, მოითხოვეს ლუდი, უცრად ჟანმა მის წინ მამაკაცი შეამჩნია.

— არ შებრუნდე... სარკეში შეხედე... ეს მამაკაცი იყო იმ დამეს... ხომ მხვდი, რისი თქმაც მინდა?..

— სქელი, ჰო, ვიცანი...

ეს იყო სქელი და ძლიერი კაცი, ყველაზე ბოლოს შემოვიდა და ლუდს სვამდა.

— ლეჟელი არ უნდა იყოს.

— ფრანგულ თუთუნს აბოლებს.

— გარსონ!—დაიძახა დელფოსმა,—რამდენი გვმართებს? მგონი, ორმოცდარი ფრანკი, არა?—მსახურს ორმოცდარი ფრანკი გაუწოდა და ორთაში გაუდგნენ გზას. შიშმა აიძულა შაბო, უკან მიეხედა.

— ის კაცი აგვედევნა! ეჭვი არაა, ჩვენ მოგვდევს...

— გაჩუმდი! ბოლოს და ბოლოს შიშს მეც გადმომდებ. რისთვის უნდა მოგვედევს?

— იქნებ თურქი იპოვეს... ანდა იქნებ ის მკვდარი არ იყო...

სამასი მეტრის მანძილზე უხმოდ იარეს.

— შენი აზრით, მივიდეთ უნდა იქ ამაღამ?

— რა თქმა უნდა... არაბუნებრივი იქნებოდა რომ...

— იქნებ ადელმა რამე იცის.

ჟანმა აღარ იცოდა საით გაეხედა, ან რა ეთქვა. ვერ ბედავდა უკან გახედვას ვრძნობდა კი, რომ მხარბუჭიანი კაცი მოსდევდა.

— სახლში დაბრუნდები?

— საჭიროა... დელაჩემი ბრახობს.

მზად იყო, აქვითინებულიყო.

— ხიდზე მოდის... ველარ ხედავ, რომ მოგვედევს?..

— გაჩუმდი!.. ამ საღამოს... ვიყავი...  
— რენე!

— რა გინდა?

— ყველა ეს ფული თან რატომ უნდა ვატარო... მომისმინე!..

დელფოსი შინისაკენ გაიქცა. ჟანი ვიტრინებში იყურებოდა, რომ დარწმუნებულიყო, ისევე მოსდევდნენ თუ არა.

\* \* \*

მეზის წყნარ ქუჩებში რომ გავიდა, უკვე საეჭვო აღარაფერი იყო. თავბრუ დაეხვა და კინაღამ გაჩერდა. მაგრამ, მაინც უფრო ჩქარა წავიდა. შიში თითქოს წინ მიაქროლებდა.

როცა სახლში შევიდა, დელამისმა ჰკითხა:

— რა მოგივიდა?

— არაფერი...

— მთლად ფერმკრთალი ხარ... თითქოს გამწვანებულიც... სად იხეტივალე წუხელ?.. რა საზოგადოებაში იყავი?.. ვერ გამოიგია მამაშენის გულგრილობა, სიმკაცრეს ვერ იჩენს. წამოდი, ჭამე!..

— არ მშია.

— ისე?

— დაძანებე თავი, დელა, თუ შეიძლება!.. ვერა ვარ კარვად... არ ვიცი, რა მჭირს...

მაგრამ ქალბატონი შაბოს გამოძეგვებულა არ შერბილებულა.

— თუ ავად ხარ, ექიმს მოგიყვან.

— არა, თუ დმერთი გწამს...

ნაბიჯების ხმა კიბეზე. სამზარეულოს შუშთან კარში სტუდენტი ქალის თავი გამოჩნდა. მან დააკაკუნა. შეწუხებული სახით შემოიხედა.

ფრანგულიდან თარგმა ირა არეშვიძემ



მოთარ ფუტკარაძე

## რვა ეპიზოდი მერგოლურის ცხოვრებიდან

ნ ა რ კ ვ მ ვ ი

ნათესავი მუავს ერთი, სახლებს აშენებს, ერთნაირად ეხერხება სითხუროობაც და კირითხუროობაც. მისი დალოცვილი მარჯვენის წყალობით ბევრმა ოჯახმა იზეიმა ახალ-მოსახლეობა, ბევრიც საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობანი შეემატა სასოფლო ცენტრებს.

ვკითხვ ერთხელ, როგორ ახერხებ, რომ ყველა სახლი ერთნაირად ღამაში გამოგ-ღის. შეთქი?

— მთავარია, საძირკველი გამოგვიდეს ღამაში, კედლები კა... კედლები თავისთავად აიგება.

სწორედ რომ ღამაში საძირკველის გატრაა ძნელი...

\* \* \*

განსხვავებული პროფესიის კაცია ჩემი ნარკვევის გმირი ოსმან ბუქიძე, მაგრამ სოფელს რომ სჭირდება ნამდვილად ისეთი კაცია. რით დავიწყეთ ოსმანზე თხრობა?

იქნებ, არც ღირს მასზე დაწერა. არც ასეა საქმე, ავერ მიწყვეა გაზეთები, ჭებას რომ ასხამენ ამ გამრჯე კაცს.

შოდა, მოდიოთ, ამ გაზეთების გაცნობით დავიწყეთ.


ვცადოთ:

„ახალსოფლის კოლმეურნეობა არამარტო ხელვაჩაურის რაიონში, მთელს რესპუბლიკაშიც ერთ-ერთი მოწინავეა. აქაური მშრომელები სოფლის მეურნეობის ყველა დარგში სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ გასული წლის სამეურნეო მაჩვენებლებით რაიონის საუკეთესო ბრიგადად ის ბრიგადა გამოცხადდა, რომელსაც კომუნისტი გიორგი მიქელანო ხელმძღვანელობს, ხოლო რგოლად ამავე კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადის მერგოლურ რგოლი. მის ხელმძღვანელს ოსმან ბუქიძეს გადაეცა რაიონის საუკეთესო მერგოლურის წითელი ღენტი.

დაფასეს თანასოფლელებმა მუყაითი მერგოლური. ამას წინათ მას დიდი ნდობა გამოუცხადეს — გონიოს სასოფლო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს“.

„ოქტომბრის გზით“, 4 მარტი, 1980 წ.



„თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერიაო“, — ლაღადებს ხალხური სიტყმედა, მართლაც, გონიერი, შრომაში დაბრძნებული, შემოქმედებითი ადამიანებითაა სოფელი ახალსოფელი. ერთი მათგანია კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადის პირველი რგოლის ხელმძღვანელი ოსმან ბუქიძე.

...მათე სუთწლებში მისმა რგოლმა 196 ტონა ჩაის ფოთოლი მიჰყიდა სახელმწიფოს. 12 ტონიდან სუთწლების ბოლოსათვის საქმეტიარო მოხაველია 19,8 ტონას მიაღწია.

„ოქტომბრის გზით“. 21 ივლისი, 1988 წ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მრძანებულებით რესპუბლიკის სხვა წარჩინებულ ადამიანებთან ერთად ხელვაჩაურის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის მერგოლური ოსმან ხუსეინის ძე ბუქიძე ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდა.

თავად განსაჯეთ, ღირს თუ არა ასეთ კაცზე ნარკვევის დაწერა.

ნამდვილად ღირს და მეც გთავაზობთ მერგოლურის ცხოვრების რვა ეპიზოდს.

### მ კ ი ვ ი მ დ ი კ ი რ ვ ე ლ ი

ღიღნანს გაგრძელდა კოლმეურნეობის საერთო კრება.

განხილავდნენ შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმის, კოლექტიური იჯარის დანერგვას შეჩაიეთაშა.

ვერავინ ბედავდა, პირველს ემუშავა ამ მეთოდით.

— ზოგიერთი უოველ სეზონზე 7-8 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფს. ზოგი კი ამის ნახევარსაც ვერა. რატომ უნდა განაწილდეს ჩვენი ნაშრომი თანაბრად? — ამბობდნენ ზოგიერთები.

ბევრს ეცადნენ სოფლის თავაკეები ურწმუნოთა დაჯერებას, მაგრამ საქმეს არც ამ სიახლის ხელახლა განმარტებამ უშველა და არც ბრიგადული იჯარით მომუშავეთა გამოცდილების განზოგადებამ. მხოლოდ რამდენიმე კოლმეურნემ დაუჭირა მხარი, ერთი და ორი კაცის თანხმობა კი, მოგესხენებათ, საქმეს არ წყვეტს.

სიტუვა მერგოლურმა ოსმან ბუქიძემ ითხოვა.

ჭერ ტრიბუნიდან მოავლო მხერა თანასოფლელებს, შემდეგ ჩაახველა და ღინჯად დაიწყო.

— ამ მეთოდით კარგა ხანია შრომობენ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეთორმეტე ბრიგადის წევრები, რომელსაც თემურ ყურწუბაძე ხელმძღვანელობს. მე ვაზთების საშუალებით ვეცნობოდი მათს საქმიანობას. ვცოდი, ჩვენთანაც მოაღწევდა ეს სიახლე და ახვერ ვაგონილს ერთხელ ნახული ვაჭრობინე — ადგილზე გავეცანი ყურწუბაძისგან გამოცდილებას.

რაც იჯარით მუშაობაზე გადავიდნენ, ბრიგადის წევრები გაცილებით მეტ მოხაველს იღებენ და ხარისხიც ბევრად უკეთესი აქვთ. ისინიც გააქტიურდნენ, ადრე სხვის ზურგს რომ ეფარებოდნენ.

ახლა შრომის ანაზღაურებას არ იკითხავთ?

400-500 მანეთი გამოუდის თითოეულ წევრს თვეში საშუალოდ.

მე მომწონს ეს სიახლე. მით უმეტეს, რომ კოლექტიური იჯარა სხვა არა არის, რა თუ არა ის მეთოდი, ჩვენ რომ დავნერგეთ ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფის დროს მგონი, თავდაპირველად არც ეს სიახლე მოგწონდათ, მაგრამ ახლა ვგონებ, ყველა თქვენთანგანი კმაყოფილია. ჩვენეულ მეთოდთან შედარებით ბრიგადული იჯარის უპირატესობა ის არის, რომ ამიერიდან ჩვენი საქმიანობა კოლმეურნეობის გამგეობასთან

დადებული ხელშეკრულებითაც განმტკიცდება. ეს ორივე მხარისათვის იქნება ხელსაყრელი და ბევრი სტრატეგიული პრობლემა საც დადებითად გადაჭრის.

— თუ ასე კარგაა სოციალური იტალია, სადაც სხვა რგოლი არ დაწერტე პირველად?

— ზო, ჯერ შენ დაიწყე და, თუ გაამართლა, არც ჩვენ დავიხვევთ უკან! — გაისმა ღარბაიხილი.

— რატომაც არა! — არ დაიბნა ოსმანი, — მე უკვე მოველაპარაკე რგოლის წევრებს...

ოსმან ბუქიძემ პირველი ბრიგადის პირველი რგოლის ხელმძღვანელი გურამ ბერიძეც აიყოლია, მისი შრომითი მეთოქე სოციალისტურ შეჯიბრებაში.

— ჩიან ფოთლის შერჩევითი კრეფის რა ახალ მეთოდზე დაპარაკობდა ოსმანი? — კრება რომ დასთავრდა, ვკითხე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ზურაბ კახიძეს.

— სეიფილია ითქვას, რომ ბრიგადული იჭარა პირველებმა ჩვენ დავწერტეთ რესპუბლიკაში — გაიღმა ზურაბმა...

ვეფლას კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ ბოლოს დროს ქართული ჩიან ხარისხი მნიშვნელოვნად დაეცა. ფოთლის მასობრივად შემოსვლის დროს ზომ ბევრგან აგროწიქების უხეში დარღვევით კრეფდნენ დუყებს, ზოგი ამას არც მოსავლის შერჩევითი კრეფის დროს დაგიდეკდა. ამით ორგვარი ზიანი ადგებოდა მეურნეობებს. ჯერ ერთი, უარესადებოდა ხარისხი და, მეორეც, გამოუსწორებლად ზიანდებოდა პლანტაციები, რომ არაფერი ვთქვათ მოსავლის დანაკარგებზე, მნიშვნელოვნად ფერხდებოდა ვეგეტაციის განვითარება.

მერგოლური ერთია, მეჩაიე ბევრი. რამდენს გინდა ერთდროულად კონტროლი გაუწიო?

ჰოდა, ოსმან ბუქიძემ გამოსავლის ძებნა დაიწყო. ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ რგოლის ხელმძღვანელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უჭკობეხი იქნებოდა, მოსავლის აღების პირველ დღეებში დუყები მინც რგოლური წიხით ეკრიფათ.

ვაითუ, მხარი არ დამიჭირონო, ბრიგადირისთვისაც არ გაუნდია ჩანაფიქრი, რგოლის წევრებს მოეთათბირა მხოლოდ. კოლექტივმაც, ვცადოთო, და, მალე გამოჩნდა კიდეც ამ სიახლის სიყეთე — გაუჭკობენდა ხარისხი, გაიზარდა მოსავალი. ოღონდაც, ახლა აღარავინ ცდილობდა, სხვებზე მეტი ფოთოლი ძოეკრიფა და, ნებისთ თუ უნებლიედ, მოსავლის აღების წესები დაერღვია, რგოლის წევრები დღის მონაგარს სადამოს რომ აწონიდნენ, თანაბრად ინაწილებდნენ.

პირველხავე წელს რგოლმა ორმოცდათორმეტ ტონაზე მეტი ჩიან ფოთოლი მოკრიფა, ჰექტარზე საშუალოდ 17 ტონა და თანაც 24 პროცენტამდე შემამიკრა მეორე ხარისხის ნედლეულის ხვედრითი წილი.

რომ საუკეთესო მაჩვენებელი!

არც ესაა საბოლოო, მომდევნო წელიწადს 19 ტონა მოიწიეს ჰექტარზე; წელს კი ძათთვის 24 ტონაც არ იქნება სარეკორდო.

რგოლის ეს წარმატება იმნაც განაპირობა, რომ აღმოგვხვრეს სიმეჩნრე, გააძლიერეს ბუჩქების მოვლა-პატრონობა.

პირველი ბრიგადის პირველი რგოლის ხელმძღვანელი გურამ ბერიძე ვახსენეთ ზემოთ, ოსმან ბუქიძის მეთოქე შრომით პაექრობაში. მერტდა როგორი მეთოქეობა აქვთ — მეგობრული, მეტად სასარგებლო ერთისთვისაც და მეორესთვისაც. ოსმან ბუქიძე მისეული სიახლის დაღებით შედეგებში რომ ნათლად დარწმუნდა, მეთოქე რგო-



ლიც აზიარა ამ სიკეთეს. ორივემ კი მომდევნო სეზონის დასაწყისში, თავიანთი გამოცდილებით, ცდილობდა მთელს კოლმეურნეობაში განაზოგადეს.

ამიტომ იხუმრა ზურაბ კახიძემ, ბრიგადული იჭარა ჩვენს კოლმეურნეობაში დაინერგაო პირველად.

### მ ა კ ი ზ ი ა დ ი მ ე ო რ ა მ

თამარ ყუფუნიას წერილი რომ გამოქვეყნდა გაზეთებში, იმ წუთამდე პირველად გულელებს 24-27 პროცენტი ჰქონდათ მეორე ხარისხისა საერთო ნაკრფში. ეს დაგვემიღწეო საკმაოდ უკეთესი მაჩვენებელი იყო, მაგრამ კიდევ უფრო შეიძლებოდა მისი გაუმჯობესება. ჰოდა, რგოლის წევრებმა მიზნად დაისახეს, მათი მონაგარი არამარტო რაოდენობრივად, ხარისხითაც უკეთესი ყოფილიყო მთელს კოლმეურნეობაში. თქვეს და შეასრულეს კიდევ — ახლა მათს ნაკრფში 22-23 პროცენტი თუ იქნება მეორე ხარისხისა.

— თქვენი რგოლი ყოველ შექტარზე სარეკორდო მოსავალს იღებს, სწევები კი ამის ხანვეარსაც ვერ კრფენ და არც ხარისხი უვარგათ. როგორ ახერხებთ. რომ რაოდენობაც ვაზარდოთ და ხარისხიც გვეტორად გააუმჯობესოთ? — ვკითხე მერგოლურს.

— ჩაის ბუჩქი მეწველ ძროხას ჰვავს, რაც უფრო უკეთა, მოუვლა და უპატრონებ, მეტ მოსავალსაც მოგცემს. — მიხანუხა ცოტალიდენი დუშბილის შემდეგ.

— რამდენ ვეგეტაციას ასწრებს თქვენი რგოლის პლანტაციები ყოველ სეზონზე?

— ადრე ათ-თორმეტჯერ ვკრფდით, ახლა ხუთ-ექვს ვეგეტაციას ძლივს ასწრებს. ხომ იტყვიან — „ხარი ხართან რომ დაბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“ — ასე მოუვიდათ ჩემი რგოლის წევრებსაც.

საერთოდ, მეჩაიე ქალების სავალდებულო მინიმუმი 130 კაცდღითა განსაზღვრულა წელიწადში. ამდენი არა და, 100 დღეც რომ ნორმალურად მოახმაროს ბუჩქებს, გავიხარია, საქმე უკეთ წავიდოდა და არც მაგინებელი მოუშრვადლებოდა ჩვენებურ ჩაის

— არის მოსაზრება, რომ ვეგეტაციების გაზრდა ჩაის ფოთლის მოსავლიანობას შეამცირებსო...

— ასე ნამდვილი მეჩაიე არ ფიქრობს. ამას ისინი ამტკიცებენ, ერთი ხელის მოხმით რომ სწაღიათ მოსავლის ადება და დუყების წამოზრდის მიზნით აქიანურებენ მის ადებას.

რატომ აკეთებენ ამას?

იმიტომ, რომ საქმე გაიიოლონ. რაც უფრო გავზრდით დუყებს და გადავაუხებებთ. ზოგს ჰგონია, წონაშიც მოვიგებთო. აბა, აწონოს, ნაკლები თუ არ გამოვიდეს იმავე რაოდენობის ლორთქო დუყებზე. ახლა, ხარისხის დაქვეითებით რომ ზარალობს? მეცნიერები ამტკიცებენ და პრაქტიკაც ადასტურებს, რომ ვეგეტაციის გაზრდით კიდევ უფრო ძატულობს ბუჩქების მოსავლიანობა, ნედლეულიც ბევრად უკეთესი ხარისხისა გამოდის.

— ვეგეტაციის გაქიანურებას მცირე მექანიზაცია ხომ არ უწყობს ხელს? მინახავს, ხელის აპარატებით გაკრფილი ბუჩქები ფაქტიურად გასხლულს ჰვავს.

— საქმე ისაა, რომ ეს აპარატები თითქმის ყველგან თვითნებურადაა გადაკეთებული და ტუბის მაგივრად ქრის პრინციპით მუშაობს, ისე, როგორც სახსლავი აპარატები. აბა, რომელ ხარისხის დაცვაზე შეიძლება ასეთ შემთხვევაში საუბარი?

— თქვენს რგოლშიც ასეა, ალბათ.

— არა, ჩვენ ფოთოლს მთლიანად ხელით ვკრფთ. მექანიზაცია იმ მეურნეობებში ხაჭირო, სადაც მუშახელის ნაკლებობას განიცდიან. მექანიზაციას თუ ყველგან ფართოდ დავნერგავთ, და არცაა ვინმე ამის წინააღმდეგი, მაშინ სოფლებში წვრილ-წვრილი სამ-



რეწველო საწარმოების გახსნისთვისაც უნდა ვიზრუნოთ, რომ ქარბი მუშახელი დაუსაქმებელი არ დაგვრჩეს.

### ეპილოგი მისამე

ოსმან ბუქიძეს პლანტაციაში მისვლა შეაგვიანდა.

შორიდან შეავლო თვალი მწვანედ მოხასხასე ბუჩქებს შორის ჭილისქუდიან მკრეფავენებს და კმაყოფილმა გაიღიმა — დღესაც უკლებლივ გამოსულიყო ოცდასამივე. დიდი ხანია გაფრთხილება აღარ სჭირდებოდა რგოლის წვეკრებს — დილაუთენია მიიჩქარაიან ჩაის პლანტაციებისაკენ.

ერთი მათგანი გამოარჩია..

— მომილოცავს, გოგუსა, შევიღოშვილი შეგეძინა. წადი, რძალს მიხედე, იქნება უჭირს რამე... შენც გაუყვი ეთერ, დაქნსარები..

გუშისწინდელი ამბავი გაიხსენა:

შულაღვედებოდა, მეჩაიებმა მორიგი კალათები რომ გაავსებს და აწონის მოლოდინში ფარდულთან ჩამწკრივებს.

ის იყო, ოსმანმა კალათები სასწოროზე შემოადგა, რომ აქოშინებული მოვარდა გოგუსა ფუტკარაძე, სახეზე ფერი აღარ ედო.

— რძალს მუცელი ასტივდა. ნიშველე ოსმან, სამშობიაროშია გადასაყვანი ავტომანქანა კი ვერ ვიშოვე. — ვედრებით მიაპყრო თვალები მერგოლურს.

— ჩაი აგეწონა ბარემ. — „უიგულში“ რომ ჯდებოდა, მაშინ შემოცხმა ხმა.

ეთერი იყო.

არაფერი უთქვამს, ბრაზიანი თვალები შეავლო მხოლოდ.

ამიტომ გააყოლა ახლა გოგუსას, დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვა გამოისყიდოსო.

აღრე მორჩინენ კრეფას ქალები. ან სად იყო იმდენი საკრეფი, ვეგეტაცია ახლად იწყებოდა და აქა-იქ წამოზრდილიყო დუყები. ოსმანმა სამი მათგანი შეარჩია და პირველი ბრიგადის მეჩაიეთა რგოლის დასახმარებლად გაგზავნა შარშანაც, ერთბაშად შემოვიდა დუყები მათს პლანტაციებში, აღება კი ვერ მოასწრეს. ამ მიზეზით ხარისხი გაუფუჭდათ და პრემია დაკარგეს.

შოდა, რა შეჯიბრებაა, თუ მეტოქის წარუმატებლობა გაგახარებს და გაჭირვების დროს მხარში არ ამოუდგები, კაცობა ისაა, ხელი გაუმართო, მხარში ამოუდგე. — ასეთია ოსმან ბუქიძის საქმიანობის ძირითადი პრინციპი.

პირველბრიგადელთა დასახმარებლად წასული ქალები რომ თვალს მიეფარნენ, პლანტაციის ჭიშკარს სასუქით დატვირთული ავტომანქანა მოადგა და გაბმული სიგნალი მისცა.

— ის სამი მკრეფავი მაინც არ გაგეშვა, წილში ხომ არ ვავწყვლებით — აბუზღუნდნენ მეჩაიეები.

ნაადრევი აღმოჩნდა მათი გულისწუხილი — ბარებით შეიარაღებული ახალგაზრდები მიადგნენ ავტომანქანას და გადმოტვირთვას შეუდგნენ. ადრევე გაეთვალისწინებინა მერგოლურს, რომ მარტო ქალები ვერ აუვიდოდნენ ამოდენა საქმეს და ბრიგადირისათვის — დავით კომახიძისათვის ეთხოვა დახმარება.

დამხმარე რომ დაიგულეს, ქალებმა მოიძიეს ბარები და ნაკვეთებში სასუქის განაწილება დაიწყეს.

ოსმან ბუქიძის რგოლს სამი ჰექტარი ჩაის პლანტაცია აწარია და, ვიდრე სეზონი დაიწყებოდა, დროულადაც დაამუშავეს, მაგრამ ის 2.000 კვადრატული მეტრი ნაკვეთი, ვიწრო ზოლად რომ მიჰყვება მწვანედ მოხასხასე ფერდობს, ისევ უღიმღამოდ გამოი-

ყურებოდა. ეს პლანტაცია წინა წლებშიც ნაკლებ მოსავლს იძლეოდა. რა არ გააკეთეს, მაგრამ არც წუნწუნის დამატებითაა ღოზამ უშველა საქმეს და არც სხვა აგროლონის ძიებებმა

გადაწყვიტეს, სპეციალისტები ჩაერიათ.

ოსმანმა საკუთარი ხელით ჩაიტანა საანალიზო მიწა ანახეულში.

ნიადაგს კალიუმის მარილები აკლდა, თურმე...

ეს სასუქია, ახლა რომ ცლიან ავტომანქანიდან, თითქმის ძალით წაურთმევია ოთხ ტონა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისათვის.

მალე მორჩნენ საქმეს.

— თბილისიდან მინიატურების თეატრის მსახიობები არიან ჩამოსული ბათუმში. ბილეთები უკვე შევუკვეთეთ, ავტობუსიც გამოწერილია და სადამოსათვის სპექტაკლზე გეპატეთებით, — გამოუცხადა შინმიმავალ მეჩაიებს ოსმან ბუქიძემ.

## ე კ ი ზ ( ო ღ ი მ ე ო ო ) ხ მ

წვიმა სანატრელი გახდა. მართალია, მზიანმა დღეებმა ხელი შეუწყო მოსავლის აღებას, მაგრამ პაპანაქება სიცხეებმა ძალზე შეაწუხა ჩაის ბუჩქები, დააყვანა მორიგი ვეგეტაციის განვითარება.

ავგისტო ისე მიიღია, წვეთიც არ ჩამოვარდნილა ციდან.

უამინდობამ ჩამოარჩინა მეჩაიეები, რესპუბლიკაში სექტემბრამდე 4.000 ტონაზე მეტს შეადგენდა გარღვევა შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონესთან შედარებით. ცხადია, მეტნაკლებად ჩამორჩებოდა ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

მართალია, მეჩაიეებმა ხუთწლიანი დავალება ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ რჩებოდა უმთავრესი, მეთერთმეტე ხუთწლიანი დამამთავრებელი წლის გეგმა-ვალდებულებათა განადღება, დარგის მუშაკებს სიტყვის გატეხა არ სჩვევიათ, ისიც ღირსშესანიშნავი მოვლენის — პარტიის XXVII ყრილობის წინ.

ახლა მესამე ვეგეტაციის მოსავალზე იყო მთელი იმედი.

— საშუალება იქნებოდეს და მოვრწყუავდე პლანტაციებს, — რამდენჯერ უნატრია ოსმანს, მაგრამ სად იყო წყალი, იგი სასმელადაც არ ჰყოფნიდა სოფელს.

სექტემბერი წვიმით დაიწყო.

ახალი ვეგეტაციის მოსავლის შერჩევითი კრეფისათვის რომ ემზადებოდნენ, სწორედ მშინ წამოუშინა.

მართალია, შეფერხდა მოსავლის აღება, მაგრამ წვიმა, თუნდაც ნაგვიანევი, მაინც წაადგებოდა პლანტაციებს, მით უმეტეს, რომ იჩქარეს პირველრგოლულებმა და ვეგეტაციებს შორის შესვენებისას დამატებითი აგროლონისძიებანი განახორციელეს.

როგორც იქნა, მოიცალა ოსმანმა და სახლის რემონტი წამოიწყო. არ ეცალა, მაგრამ მეზობლები შეუჩინდნენ, დრო გვაქვს და გამოგვიყენო.

ბუქიძეებისას ამჯერად კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზურაბ კახიძემ მიმიყვანა, უფრო სწორად, გზად გამატარა. ზოგან უკვე შემოსულა დუყები და მეჩაიეებს აჩქარებდა, წვიმის გადაღების მოლოდინში შერჩევითი კრეფას ნუ აყოვნებთო.

— ზეგ, ალბათ, შენი რგოლის პლანტაციებშიც იქნება საკრეფი... — „ილიხიდან“ ჩამოუსვლელად დაუგდო სიტყვა მერგოლურს და მალდა, ფერდობსმიფენილი პლანტაციებისკენ დასძრა ავტომანქანა.

ბუქიძეებს სოფლის განაპირას, ჭარნალის საზღვარზე უდგათ მშენიერი ოდა-სახლი. ავ თვალს არ ენახებოდა სათუთად მოვლილი ეზო-კარმიდამო, ხეხილითა და ყურძნის ტალავრით დამშვენებული. ერთი შენეღვითაც ეტყობა, გამრჩე ადამიანები რომ ცხოვრობენ აქ...

— საკოლმეურნეო შრომაში ხომ ასეთი მოწინავეა, ყოველდღიურად მისი ოჯახი დაძმარე მეურნეობიდან 7-8 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს, ნახევარ ტონაზე მეტ ხილსა და 250-300 კილოგრამ ხორცს აბარებს სახელმწიფოს. — გამახსენდა, ზურაბ კახიძის ხატკვაში.

...საოჯახო აღზრდის ვათვალისწინებ.

მოზრდილ ფოტოზე მთელი ოჯახია აღბეჭდილი.

სათითოდ მაცნობს ოსმანი თავის ჯალაბს:

— ეს ჩემი მეუღლეა, ლეილა. კარგა ხანს მერჩიელ მუშაობდა და დავლებებსაც, დაღუპარებით ასრულებდა. დაჯილდოებულია ვ. ი. ლენინის საიუბილეო მედლით, ქების სიგელებით. ახლა პენსიაზეა. ეს უფროსი ვაჟია, ასლანი, თელავის პედინსტიტუტის სტუდენტი, ეს კი, სამხედრო ფორმაში რომაა, ვაჟაა, შვებულებით რომ ჩამოვიდა, მაშინ გადავიდეთ ეს ფოტოსურათი... ეს გოგონებიც ჩემი შვილები არიან, მერი და სოფიო. მერამ ბათუმის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა და ახლა გონიოს საშუალო სკოლაში ასწავლის ხატვას. სოფიო მეექვსეკლასელია, ფრიალებზე სწავლობს, ექიმის სურს გახდეს, ხუთი წლისამ აქარის ჩემპიონობა მოიპოვა ტადრაკში...

აღზომის მომდევნო გვერდზე მოხუცი ქალის პორტრეტია.

— ეს დედაჩემია. ფადიმე ბუქიძე, საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანი, პირველი სტანანოვიელი ჩვეის სოფელში...

მეც მსმენია ქალბატონ ფადიმეზე. სოფლის ბიბლიოთეკაში დაცულ ერთ დოკუმენტში ამოვიკითხე მისი გვარი კოლექტივიზაციის პირველშეკვალავთა სხვა გვარებთან ერთად..

...1929 წელს შეიქმნა მიწის დამმუშავებელი ამხანაგობა ანალოფელში, რომელსაც „ლარინი“ დაარქვეს. ეს პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელი სოფლის მცირე ნაწილს მოიცავდა მხოლოდ, ახლანდელი მეშვიდე და მერვე ბრიგადების განკარგულებაში არსებულ ტერიტორიას. ცხადაა, უმნიშვნელო იყო ამხანაგობის წევრთა რაოდენობაც.

ბევრი ახალსოფელი თავდაპირველად სეპტიკურად უყურებდა ამ სახლს, არ სჯეროდა მისი სიკეთისა. ამიტომაც ახალგაზრდა კოლექტივიცა და მისი ხელმძღვანელი წ. ჩხეიძეც ყველაფერს აკეთებდნენ, რათა სხვებისთვისაც მალე დაემტკიცებინათ მათ მიერ გადადგმული ნაბიჯის სისწორე.

მადლიანი გამოდგა ერთიანი შრომა. ხვავმა და ბარაქამ იმატა და 1932 წელს კიდევ ორი ამხანაგობა შეიქმნა ანალოფელში („წითელი მიწა“).

იმავე დოკუმენტში, სოფლის ბიბლიოთეკაში რომაა დაცული, შენახულია პირველშეკვალავთა სახელები. აი, ზოგი მათგანი: სულეიმან ფურცელაძე, ჭემალ ფუტყარაძე, მემედ და შაქრო შარაძე, ოსმან კახიძე, ჭემალ ბერიძე, ინდიშან ტეტემაძე, ფადიმე კახიძე, ოსმან მაკარაძე, ხუსეინ და ფადიმე ბუქიძეები... ხუსეინი, მოგვიანებით, კოლმეურნეობა რომ ჩამოყალიბდა, ბრიგადას ედგა სათავეში, წოლო მისი მეუღლე ფადიმე ბუქიძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ. ერთ-ერთი პირველი ჩაება სტანანოვიურ მოძრაობაში.

ძნელ პირობებში მკვიდრდებოდა კოლექტივი სოფლად. არ იყო ტექნიკა, ნაჯახებით ჩხვადნენ ტყეებს, ძირკვავდნენ ბუჩქებს და ნატყეავარზე ჩაის პლანტაციებსა და ციტრუსის ბაღებს აშენებდნენ, ნაქაობარზე — მინდვრის კულტურას.

შექტარნახევარი ჩაის პლანტაცია და რვანახევარი შექტარი ციტრუსის ბაღი. — ეს იყო ანლაღშექმნილი ამხანაგობის მთელი ავლადილება.

1934 წელს ორი ამხანაგობის ბაზაზე ერთი სასოფლო-სამეურნეო არტელი შეიქმნა და „გზა კომუნისმისაკენ“ ეწოდა. მოგვიანებით მას „ლარინიც“ შეუერთდა და ჩამოყალიბდა მძლავრი კოლმეურნეობა.

უფრო მეტი მადლი მოგვცა კოლექტიურმა შრომამ, წელში ვაიმართა

იზარდა, დაწვეუნდა და გაღაღდა სოფელი.

მაგრამ მოვიდა ომი, გრძელი და მრისხანე...

ომში წასულები მოხუცებმა და ქალებმა შეცვალეს. უფროსებს ბავშვებიც ამოუდ-

გნენ მხარში...

გაიბარჯვა საბჭოთა ადამიანების სიმტკიცემ, ზურგისა და ფრონტის ერთიანობამ...

ოსმანმა თბრობა რომ დაამთავრა, 23-24 წლის ჭაბუკმა შემოაბიჯა ევროში.

— უკვე ჩამოხვედი, შვილო? — წინ მიეგება მოხუღს ოსმანი.

მივხვედი, ასლანი იქნებოდა, ჩემი მასპინძლის უფროსი ვაჟი.

— ოცი დღე დასვენება მოგვცეს შრომითი სემესტრის სანაცვლოდ. — მიუგო ახა-

ლმოსულმა და გადაეხვია.

— სწავლა ჯობნებია თუ მუშაობა? — უკვე კიბზე ამომავალს ჰკითხა ოსმანმა.

— თავის დროზე ორივე კარგია. — არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა ასლანმა და

ახლა დედას გადაეხვია.

— ჰოდა, თუ მახეა, ისადილე და ფუნჯს მოვილე ხელი. ხომ ხედავ სახლის რემონ-

ტი წამოვიწყეთ...

(დასასრული იქნება)

## ტექნიკური პროგრესის გზით

თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის დარგები ვითარდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გამუდმებული ზემოქმედებით. ტექნიკური პროგრესი საწარმოო ძალების ზრდისა და სრულყოფის, წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნის, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის განმსაზღვრელი ფაქტორია. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვით საწარმოო პროცესში ხორციელდება ძირეული ძვრები, იცვლება მისი სტრუქტურა და შედეგები, იზრდება ეკონომიკური პოტენციალი.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში მითითებულია აუცილებლობა იმისა, რომ უნდა უზრუნველყოთ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარება, მისი შედეგების საყოველთაოდ გამოყენება წარმოებასა და მართვაში, მომსახურების სფეროში და ყოფაცხოვრებაში, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების კომპლექსური პროგრამის განხორციელება.

საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ამაღლების პროცესში იზრდება მსუბუქი მრეწველობის ამოცანები და როლი. პარტიამ და მთავრობამ დასახეს ქვეყნის სამეურნეო განვითარების საერთო ორიენტაცია — გამიზნული სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებაზე. ამ მიმართულებას აქვს დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. იგი ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდის, აუცილებელი საქონლით ბაზრის გამდიდრების ეფექტურ სტიმულირებას. რაც უფრო იზრდება ბაზარი საქონლით, მით უფრო იზრდება მყიდველის მოთხოვნები, მისი გემოვნება იცვლება მოდის ზეგავლენით.

პარტია დიდ ყურადღებას უთმობს სახალხო მოხმარების დარგების ტექნიკურ კვლევ-  
აღჭურვას. სკკპ X. XVII ყოილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მუშა-  
ნებაში აღინიშნა, რომ პრიორიტეტულ განვითარებას იძენს მსუბუქი მრეწველობა და  
სხვა დარგები, რომლებიც უშუალოდ მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილები-  
სათვის მუშაობს.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამით, რომელიც სსრ კა-  
ემიის მეცნიერებათა აკადემიამ და მეცნიერებათა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტე-  
ტმა შეიმუშავეს, ქვეყნის მსუბუქ მრეწველობას დაესაბამო ანალოგიური სამეცნიერო-ტექნი-  
კური პროგრესის განვითარების საფუძველზე მიაღწიოს წარმატების ისეთ მოცულობასა  
და სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებებს რაციო-  
ნალური ნორმებისა და ნაკეთობათა მიხედვით.

აჭარის მსუბუქი მრეწველობის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორ-  
ციელდეს მოქმედ საწარმთა შესაძლებლობებისა და რეზერვების მაქსიმალურად გამო-  
ყენებით, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებით, წარმოებისა და  
შრომის ორგანიზაციის დონის ამაღლებით. საჭიროა ძირეულად გარდაქმნათ და გავანა-  
ლიზოთ სამუშაო ადგილები, მუშის შრომა გახდეს უფრო მწარმოებლური, შემოქმედე-  
ბითი, მიმზიდველი. საჭიროა გააუმჯობესოთ ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება, წარმოების  
რენტაბელობა, გაუფართოვდეს პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი.

ოოგორაა დღეს საქმე აჭარის მსუბუქი მრეწველობის ისეთ დიდ საწარმოში, რო-  
გორიცაა სამკოევალო-საწაოთო გაერთიანება?

მიმდინარე წლის განვლილ ექვს თვეში გაერთიანებამ სასაქონლო პროდუქციის გა-  
მოშვების ვეგა 100,2 პროცენტით შეასრულა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა—100,7  
პროცენტით, რასაც მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო სამეცნიერო ტექნიკური პრო-  
გრესის დანერგვამ. წლის პირველ ნახევარში გათვალისწინებული იყო მცირე მექანიზა-  
ციისა და ახალი ტექნოლოგიის საშუალებების გამოყენებით კომპლექსურ-მექანიზებუ-  
ლი ნაკადური ხაზის დანერგვა. პროდუქციის მიერ მოცულობას უნდა შეედგინა ერთი  
ილიონი მანეთი. ნაკადური ხაზი ათვისების პროცესშია. შრომის ნაყოფიერება გადიდ-  
დება 7 პროცენტით. მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი 45 ათასი მანეთი იქნება.

ახალი ტექნიკის დანერგვის პროგრამით გათვალისწინებული იყო წლის განმავლობა-  
ში 19 მექანიზმის დამონტაჟება. ცხრამეტევე წლის პირველ ნახევარში დამონტაჟდა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის  
დანერგვას. ძირითადად ეს უნდა იყოს სამუშაო ადგილების ორგანიზაციისა და მოხმა-  
რების სრულყოფა, დაგეგმვის, აღჭურვილობის, განათების, მასალებით უზრუნველყო-  
ფის პროგრესული მეთოდების დანერგვის გაუმჯობესება.

ჩამოთვლილი ღონისძიებები ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას,  
ასორტიმენტის განახლებასა და გაფართოებას. დღის წესრიგიდან არ იხსნება ხარ-  
ისხის საკითხი, რადგან წლის დასაწყისიდან, მიღებულია 8 რეკლამაცია უხარისხო საქო-  
ნლის მიწოდებისათვის. უხარისხო პროდუქციის გამოშვების ძირითადი მიზეზია ტექ-  
ნოლოგიური დისციპლინის დარღვევა. ხარისხზე, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმე-  
დებს ნედლეულის დაბალი ხარისხი, არამდგრადი შეფერილობა.

1985 წლის მუშათა საერთო რიცხვში, მექანიზებული წესით მომუშავეთა წილი 59  
პროცენტს შეადგენდა, მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში იგი 63,5 პროცენტამდე  
გაიზარდა.

შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში მოპოვებული გარკვეული წარ-  
მატებების მიუხედავად, ხელის შრომის დონე მაინც მაღალი რჩება. რაც აფერხებს  
შრომის ნაყოფიერების ზრდას. ხელით შრომის დონე განსაკუთრებით მაღალია ძირითად

წარმოებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაჩვენებლით გაერთიანება 1932 წელს სსრკ-ს ველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საშუალო დონეს ჩამორჩებოდა 7,6 პროცენტით. სამკერვალო საამქროში ხელის სამუშაოს მექანიზებამ შეადგინა 80 პროცენტამდე, მაშინ, როცა ამ მაჩვენებლის გადიდება შეიძლებოდა 90 პროცენტამდე.

ასევე შესაძლებელია მოსამზადებელი და გამოსაქრელი საამქროების სრულყოფა შრომატევადი სამუშაოების კომპლექსური მექანიზაციით, მასალის დაფენისა და გამაჭრის სქემების ორგანიზაციის ოპტიმიზაციით, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გამოყენებით

მძიმე ხელის შრომის ლიკვიდაციის, ხარისხის ამაღლების, მუშახელზე მოთხოვნილების შემცირების მიზნით საჭიროა სასაწყობო და სატრანსპორტო სამუშაოების მექანიზირება სერიული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ბაზაზე, საჭიროა აგრეთვე დანიერგოს მანიპულატორები, მოსამზადებელ საამქროში შეიძლება აგრეთვე ქსოვილის ხარისხისა და რაოდენობის შემოწმების დროს გამოყენებულ იქნას მექანიზებული დაზვერები. საჭიროა მომწოდებლებთან შეთანხმებით ერთობლივი კვლევითი მუშაობის მოწყობა ნედლეულის ხარისხის ამაღლების მიზნით.

განვიღო ხუთწლეულში ძირითადი საწარმოო ფონდების ამოღების დონე უცვლელად დაბალი იყო და შეადგენდა 20 პროცენტს, ლა ეს მაშინ, როცა განიხილება საკითხი მოქმედი საწარმოების ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ძირითადი საწარმოო ფონდების ექსპლოატაციიდან გეგმიურად ამოღების შესახებ. სამკერვალო გაერთიანებებში ამას უმნიშვნელოდ რომ აკეთებდნენ, ამიტომ დაგროვდა მცირეფეფქტური მოწყობილობა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ ვახსენოთ საწარმოო ნარჩენების გამოყენება, ქსოვილის ნარჩენების გაერთიანებაში 11-12 ტონა გროვდება. წლის განმავლობაში ქსოვილის არარაციონალური ნარჩენების საკითხი გადაწყვეტის სტადიაში რჩება.

გაერთიანების ტექნიკური კვლავაღჭურვის პრობლემა განიხილა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ. დრო არ ითმენს. ოპერატიულად უნდა გადავწყვიტოთ საკვანძო-სამეურნეო ამოცანები და დავაჩქაროთ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი.

**ანა ალვანდიანი,**

საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჭარის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.



## სიმართლე მთავარია

ამ რამდენიმე ხნის წინათ ბათუმში თავის ამომრჩევლებს შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინური, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოთარ თაქთაქიშვილი.

გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორს „ჟორჯის“ რედაქციის თხოვნით ინტერვიუ ჩამოართვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **ლამარა გოლჰაძემ**.

— ბატონო ოთარ, თქვენ ეს-ესაა დაბრუნდით კომპოზიტორთა VII საკავშირო ყრილობიდან. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აჭარის შემოქმედებითი ინტელიგენციის, მთელი საზოგადოებრიობის სახელით გულწრფელად მოგილოცოთ სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის მდივნად არჩევა. პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით ყრილობის მიმდინარეობა საკმაოდ ფართოდ გაშუქდა, მაგრამ, მაინც, საინტერესოა თქვენი უშუალო თაბეჭდილებები.

— სხვა ყრილობებთან შედარებით, VII ყრილობა ხანმოკლე იყო, სულ ოთხ დღეს მოიცავდა. მაგრამ 218 ავტორის ნაწარმოები აუღერდა. კონცერტებში მონაწილეობდნენ დედაქალაქის საუკეთესო შემსრულებლები. რად ღირს თუნდაც სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ეგვენი სვეტლანოვის დირიჟორობით, სახელმწიფო საგუნდო კაპელა მინინის დირიჟორობით. თავისთავად ამ კოლექტივების კონცერტების გამოცხადება ნიშნავს ხალხმრავალ დარბაზს. პოდა, ამანაც განაპირობა წარმატება.

პირველ დღეს ყრილობას დაესწრნენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები და მათი თანდასწრებით ჩვენ პირუთენელად ვიმსჯელებდით საჭირობოროტო საკითხებზე. ისინი ყურადღებით გვისმენდნენ. ალბათ, მომავალში ბევრ რამეში დაგვეხმარებიან, თუმცა დახმარება მთავრობისაგან ჩვენს კომპოზიტორთა კავშირს არასოდეს აკლდა.

საქართველოს დელეგატები განსაკუთრებით ფართოდ წარსდგნენ და ნამდვილად ისახელებს თავი. მე მგონია, არც ერთ რესპუბლიკას არ ჰქონდა გატანილი ამდენი ნაწარმოები! მათი ავტორები გახლდნენ უფროსი თაობის კომპოზიტორები: ჩვენი სახელოვანი ანდრია ბალანჩივაძე, ალექსი მკვათარიანი, საშუალო თაობისა — სულხან ცინცაძე, ბიძინა კვერნაძე, სულხან ნასიძე, თქვენი მონა-ამორჩილი და უფრო ახალგაზრდა თაობის კომპოზიტორები — გია ყანჩელი და სხვები.

კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში, ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში თუ სხვაგან ჩვენს ნაწარმოებებს მსურველ ტაში და დიდი მოწონება ხვდა წილად და, ამით ბედნიერი ვარ.

— ბათუმში თქვენი ეს ჩამოსვლა სადემუტატო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, ვიცით, რომ ხშირად ხვდებით ამომრჩევლებს, თუნდაც ახლანდელი შეხვედრები ბათუმში, ქობულეთის რაიონში. მაგრამ მინდა მოგაგონოთ, თქვენი მოგზაურობა იაპონიაში, ამერიკაში, გერმანიის დემოკრატიულ და ფედერაციულ რესპუბლიკებში, ინდონეზიაში,



ესპანეთში, მრავალ სხვა ქვეყანაში, სადაც თქვენ ფართო პროპაგანდას უწევთ, მუსიკალურ კულტურას, როგორც კომპოზიტორი, როგორც შემსრულებელი, როგორც ლექტორი. იქნებ გაიხსენოთ მომენტები, რომელთაც, შესაძლოა, რაიმე გავლენა იქონიეს თქვენს შემოქმედებაზე?

— უპირველეს ყოვლისა, ის მინდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის ყველაზე დიდი შთაბეჭდილებები მაინც ჩემს მშობელ ხალხთან შეხვედრების, მშობლიურ მხარეში მიღებული შთაბეჭდილებებია.

ასეთი მკაფიო შთაბეჭდილება დამტოვა ხუცუბანში ყოფნამ. იქ გაიხსნა სამუსიკო სკოლა, რომელიც კოლმეურნეობამ უზრუნველყო ინსტრუმენტებით, ბიბლიოთეკით, თვით შენობა მისი შეკეთებულია. კლასები ძალიან რივანია. ახალი ლიტერატურა შექმნილი. მშვენიერი საკონცერტო „ესტრია“ დგას პატარა, მაგრამ ძალიან სიმპათიურ დარბაზში. და ისე კარგად შეკრული პედაგოგიური კოლექტივია! აი, ეს სამაგალითო ამბავია და, მე მგონია, სხვა კოლმეურნეობებმაც უნდა მიზამონ ხუცუბნელებს. ალბათ, ყველას აქვს საშუალება, რომ ასეთი კერა გახსნას თავისი ბავშვებისათვის, თუ არა მუსიკა, რა აკეთილშობილებს ისე ადამიანის სულს! ასეთი სკოლის გახსნის ფაქტი იმდენად შთამბეჭდავია, რომ მე აუცილებლად დავსვამ ამ საკითხს თბილისში.

რაც შეეხება ჩემს პირად გამოსვლებს, კონცერტებს, ლექციებს სხვადასხვა ქვეყანაში, ცხადია, ეს ძალიან სასიამოვნო და სასარგებლოა, ვინაიდან მე ვარ ეროვნული კომპოზიტორი, ჩემი მუსიკა ქართულია, როცა ასეთ მუსიკას წარმატება ხვდება ხოლმე საზღვარგარეთ, ეს ძალიან დიდ იმპულსს მიძლევს. აქ ორი მომენტია — საკუთარი ნამუშევრის ტრანსპორტაცია, ასე ვთქვათ, სხვა ქვეყანაში, რაც, თავისთავად, დიდი ამბავია. მშობლიური კულტურის შორს გატანა და გაცნობა ფართო ასპარეზზე ხომ მთლად საპატიოა!

მე არ მეგონა, თუ „გურულ სიმღერებს“ იაბონიაში ესოდენ დიდი წარმატება ექნებოდა. იქ ძალიან უყვართ კლასიკური მუსიკა. უყვართ საგუნდო სიმღერები. მაგრამ ეროვნული, განსხვავებული მუსიკის ასეთი მოწონება პირველი მოსმენისთანავე ჩემთვის გასაკვირი იყო.

— გაიგეს კიდეც?

— გაიგეს და მერე როგორ! გაამეორებინეს შემსრულებლებს. მერე, როცა მოვიდოდი, მომიტანეს ფირფიტა, რომელზეც თვითმოქმედ გუნდს ჩაუწერია გურული სიმღერა. ეს ძალიან დიდი საქმეა.

ასეთ რაკურსში თუ შევხვდებით კომპოზიტორების და სხვა მოღვაწეების გაცვლას, ეს დიდად სასარგებლოა. სასარგებლოა, ვთქვათ, საკუთარი ნიჟის, ნამუშევრის გამოშვებება სხვაგან. მაგრამ მით უფრო სასიხარულოა, როდესაც აუდიტორია ეცნობა არა მარტო ცალკეულ ავტორს, არამედ ამ ავტორის საშუალებით ქართულ მუსიკას, ჩვენს ეროვნულ კულტურას.

— ბატონო ოთარ, ცნობილია თქვენი მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი ლიტერატურასთან, შემოქმედია ჩამოგიტავალით საქამოდ დიდი სია იმ ავტორებისა, რომელთა ნაწარმოებზეც შექმნილია თქვენი მუსიკა: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტონი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, სიმონ ჩიქვანი, ირაკლი აბაშიძე... ხომ არ იყო ისეთი შემთხვევა, რომ სანვითი ხელოვნება, ვთქვათ, ფერწერა, ქცეულა თქვენი შთაგონების წყაროდ, და, საერთოდ, რას იტყვით მხატვრობისა და მუსიკის ურთიერთობაზე?

— ეს ძალიან საინტერესო თემაა. მე მგონია, რომ ფერწერა და მუსიკა ძალზე მონათესავეა და ხშირად მუსიკოსი სულდგმულობს, შთაგონებას იღებს ფერწერული ნაწარმოებისაგან, ან ქანდაკებისაგან. პირიქითაც ხდება ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ჩემ

შეგვიძლია ისეთი პარალელები გავავლოთ მსოფლიო ხელოვნების ისტორიიდან, რომ ძალზე თანამებრუნებელი იქნება.

ვთქვათ, სულ სხვადასხვა საუკუნეებში ცხოვრობდნენ ბეთაოვენი და მიქელანჯელო, მაგრამ ბევრი ოამ აქვთ სხვაგვარი. ერთ ეპიზოდში მცხოვრები ფრანგი კომპოზიტორი დებიუსი და ფრანგი იმპრესიონისტები კი ავსებდნენ ერთმანეთს. უფრო მეტიც, ემილიო დეკადადო თავიანთი შემოქმედებით, წინ ასწევდნენ ერთმანეთს. პოეტები მალარმე, ველოები სულიერ მამად ევლივიზიონდნენ არა მხოლოდ იდროიდელ პოეტებს, იდროიდელ კომპოზიტორებსაც, ფერმწერლებსაც.

ერთი სიტყვით, ხელოვნება ასოციაციური მოვლენაა და ერთმანეთის შინაარსით ყოველთვის უხვად საოგებლობს ხოლმე.

რაც შეეხება ჩემზე ფერწერის გავლენას, უნდა მოგახსენოთ, რომ მე ყოველდღე ვცხოვრობი ფერწერის გავლენით. სწორედ ფერწერისა, ვიდრე ქანდაკებისა. თუმცა მე თავდაპირველად მიყვარს ძაიოლის ქანდაკება, ბურდენის ქანდაკება, ძალიან დიდი თავყვანისმცემელი ვარ ამ ორი ავტორისა. როდესაც მიყვარს. როდენი, რომელსაც ისეთი მონათესავე შტოც აქვს, საქაოთველოში ვადმოზიდიდელი, როგორც დიდი იაკობ ნიკოლაძეა.

ფერწერა ჩემთვის იგივე მუსიკაა. ამას წინათ ლადო გუდიაშვილის იუბილე იყო. გაიხსენებთ ჩვენი საყვარელი ლადო, მისი დაბადების 90-ე წლისთავთან დაკავშირებით. მე ბევრი ვიფიქრე მაშინ ლადოზე და, აი, ასეთნაირად განსვავე: ის მელოდიები, რომელნიც მე ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებებიდან მესმის, შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად. ერთი არის პეროვანი, ფაქიზი, ამალღებული, მსუბუქი, რომელიც დაკავშირებულია ყვავილთან, შველთან, ქალწულთან, ელასტიკურ და პლასტიკურ ხაზებთან. ეს არის აკვარელის მსგავსი მელოდია. და მეორე — საშინლად დატენილი, ტრადიკული, ძალიან მჩქეფაო და, ამავე დროს, უსაზღვროდ შთამბეჭდველი! ეს არის მისი პირველი პერიოდის მხატვრობა. ყველაზე მძაფრად ეს მაინც „ფიროსმანის სიკვილი“ პოეებს კულმინაციას. ეს მეორე ხაზია გუდიაშვილის შემოქმედებაში — ტრადიკული, დრამატული მელოდია, რომელიც დიდად განსხვავდება ამ პლასტიკური და მდორედ მომდინარე მელოდიისაგან. მაგრამ, მის შემოქმედებაში, ვთქვათ, იმავე გრაფიკაში ხშირად ხდება ხოლმე ამ მელოდიების შეერთება, შერწყმა ორი საწყისისა — ერთის მხრივ ტრადიკული მელოდიისა და მეორეს მხრივ კეთილის გამომსახველისა, პეროვანისა და მათ შორის ბრძოლისა.

— ისევ ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. მოგეხსენებათ, პარტიის XXVII ყრილობაზე მაღალი შეფასება მიეცა ხელოვნების ყველა დარგს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. პოლიტიკურ მოხსენებაში აღნიშნულია: „ვაშენებდეთ კომუნისმს — ეს ნიშნავს განუხრებლად ვწრდიდეთ შეგნების მოწიფულობას, ვამდიდრებდეთ ადამიანის სულიერ სამყაროს“. როგორ გესახებათ ამ საქმეში ზემოთხსენებული დარგების როლი?

— ხელოვნების როლი ყოველთვის მაღალია, რა პერიოდშიც არ უნდა იყოს ადამიანების ცხოვრებაში. მაგრამ გარდატეხის პერიოდში მით უფრო. გაიხსენებთ ომი. გაიხსენებთ, რა მუსიკა აქედრდა მაშინ. ერთის მხრივ ტრადიკული, ომის გამოუვალ სიტუაციას, დანაკლისს, ცრემლს და ვაებას რომ გადმოსცემდა და მეორეს მხრივ — ამალღებული, ოპტიმისტური, პეროიკული, პატრიოტული მუსიკა. მაშინ დაიწერა შესანიშნავი ნაწარმოებები, სულიერი სიძლიერით და სულიერი ამალღებულობით სავსე. ეს გარდატეხის პერიოდი იყო, ტრადიკული პერიოდი იყო და ამავე დროს ძალიან პეროიკული.

ახლაც, როგორც ჩვენც ვვრძნობთ, გარდატეხის პერიოდი. რასაკვირველია, სხვა-ნაირი, განსხვავებული ომის პერიოდისაგან, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენი ტექ-

ნიკუტი აღტურვლობა ძალიან ჩამორჩა. ჩვენი სოფლის მეურნეობა, ალბათ, გაცილებით მძლავრი, ძალიან მდიდარი უნდა იყოს, მაგრამ არ იცვლება წინსვლის ტემპები. ტიკულად კი უნდა შეიცვალოს! უნდა ამაღლდეს ადამიანის სული და მისი თავგანწირვა. აი, ეს ძალიან აზრია XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში!

ადამიანი თავის თავში ეძებს რაღაც უმაღლეს ძალას, რომელიც მას ახლავს ხოლმე ასეთი გარდატეხის პერიოდებში და უცებ იბოვის თავის თავში იძოდნა ძალას, რასაც ვეოც კი წარმოიდგენდა. აი, სუსტი ქალი ომის დროს აკეთებდა იმას, რასაც სამი ვაჟ-კაცი ვერ მოახერხებს მშვიდობიანობის დროს. ასეთი რამ ხდება, როდესაც სულიერად იძაბება ადამიანი.

მე მგონია, რომ აქეთკენ უნდა მოვუწოდოთ ადამიანებს და თუ აქეთკენ უნდა მოვუწოდოთ და სხვა რეზერვები ჩვენ არა გვაქვს, ამ შემთხვევაში ხელოვნება ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ძალიან, ყველაზე დიდი ძალა. ეს უნდა მოვახერხოთ, ეს ჩვენი ვალია და მე ვიცი, რომ ჩემი მეგობარი კომპოზიტორები, მწერლები, მხატვრები დაძაბულად მუშაობენ, რათა ხორცი შეასხან იმ პროგრამას, რომელიც XXVII ყრილობა დადგის.

— თქვენი ბედნიერი ავტორი ბრძანდებით; თქვენი ნაწარმოებები ჩვენი ქვეყნის და, არა მარტო ჩვენი ქვეყნის, საუკეთესო კოლექტივების რეპერტუარშია.

მინდა შევახსენო მკითხველს, რომ „აბესალომ“ ეთერის შემდეგ პირველი ქართული ოპერა, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სცენაზე რომ დაიდგა, თქვენი „მთვარის მოტაცება“ იყო. თქვენი საგუნდო ნაწარმოებები რეპერტუარში აქვს საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდ გუნდს. ბათუმელებს გვქონდა ბედნიერება ჩვენს ქალაქში გვეხილა გუსტავ ერნესაქის განთქმული ვაჟთა გუნდი, რომელიც ასრულებდა თქვენს „საერო შიმნებს“. ახლახან პრესამ გვაუწყა, რომ სლოვაკიის ქალაქ კომიტეში დაიდგა თქვენი „მინდია“. იგი ერთგვარი ნაიუბილეო სექტაკლი აღმოჩნდა: კოშიცე მეთე საოპერო თეატრია, სადაც „მინდია“ განხორციელდა.

სხვა შემსრულებლებზე აღარ ვილაპარაკებ, ვიტყვი მხოლოდ ჩვენს, აჭარის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრზე, რომლის შექმნასა და ჩამოყალიბებას, რესპუბლიკის კულტურის მინისტრად თქვენი მუშაობისას, ძალზე დიდი დავწლი დასდეთ. 1978 წლის 8 ხოვმბერი აჭარისა, და არამარტო აჭარის, მთელი ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღია, როგორც ამ ორკესტრის დაბადების დღე, თქვენ იმ საზეიმო უამს ჩვენთან იუავით და დიდი სიუვარულით გზა დაულოცეთ მას. იმ დღეებში კი პირველად შეხვდით ამ კოლექტივს, როგორც ავტორი. რა შთაბეჭდილება დატოვა მან თქვენზე, გაგიჩნდათ თუ არა სურვილი მასთან შემდგომი კონტაქტებისა და, საერთოდ, როგორ გეხანებათ მისი მომავალი?

— ამ ორკესტრის დაარსებასთან დაკავშირებით მე მინდა ჯერ სხვა მოტივებით დავიწყო. მე ვთქვი, რომ ბათუმს სჭირდება გაცილებით უფრო მძლავრი ჯგუფი შემოქმედითა, რომლებიც საეიზიტო ბარათად მოევიწიებიან ზღვისპირეთის მრავალ სტუმარს და მომავალში კიდევ უფრო მეტს. ზღვისპირეთი, საერთოდ, ყოველთვის მდიდარია ხელოვნებით. ბათუმი ხომ, პირდაპირ ზურმუხტია ჩვენს ქართულ სამკაულთა შორის. მე მგონია, რომ სიმფონიური ორკესტრის გახსნა ბათუმში ძალიან საჭირო საქმე იყო. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია იმ მიზნამდე, რომელიც მე მაშინ მესახებოდა.

ძალიან მოუხდებოდა ბათუმს მუსიკალურ-დრამატული, თუნდაც ოპერეტის თეატრი. ჩამოსული მეზღვაურები მოიხმენდნენ ქართულ მუსიკას, საბჭოთა მუსიკას. აქ შეიძლება რაღაც კლუბის გახსნა, სადაც მოვიზიდავდით უცხოელებს, საბჭოთა ტურისტებს. ერთი სიტყვით, ბევრი რამის გაცეთება შეიძლება. საჭიროა, ასე ვთქვათ, პორტატული უანრებით დაწყება, ვიდრე კაპიტალურით. რეალურნი რომ ვიყოთ, ოპერის გახსნა ბა-



თუში ძალიან ძნელი იქნებოდა. მაგრამ მუსიკალური კომედია, ან მუსიკალურ-დრამატული თეატრი, სადაც შენაცვლებით წავიდოდა სხვადასხვა სპექტაკლი, რეალურად ამისთვის ჯერ კაპელა უნდა განმტკიცდეს. საჭიროა გუნდი, რომელიც შეძლებდა პროფესიული ნაწარმოებების შესრულებას. რუსეთში ასე მოხდა სვეშნიკოვის კაპელის ჩამოყალიბება. ჯერ სიმღერებით დაიწყო, შემდეგ პროფესიულ ნაწარმოებებსაც მიწვდნენ და ახლა ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, აღიარებული კოლექტივი:

ახლა უშუალოდ აჭარის სიმფონიურ ორკესტრზე. ჩემზე მისმა კონცერტმა ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა. მიიღეთ ეს, როგორც გულწრფელი და პირდაპირი თქმა და არა სტუმრის ქათინაური. მით უმეტეს, რომ სტუმრის პოზიციასაც ვერ დავადგები.

ამ შემადგენლობაში ბერლიოზის „ფანტასტიკური სიმფონიის“ აღდგენა ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, მაგრამ დამაჯერებლად აღდგინდა. ძალიან ნიჭიერად იმუშავა ტარიელ დუგლაძემ. ძალიან ნიჭიერად!

კმაყოფილი ვარ ჩემი კონცერტის შესრულებით. ეს იყო პირველი შესრულება მე არ დავსწრებივარ რეპეტიციას, არც გამისწორებია არაფერი. კარვად გააკეთეს. კმაყოფილი ვარ.

რაც შეეხება ორკესტრთან ჩემს კონტაქტებს, ტარიელ დუგლაძესთან ერთად მოვიფიქრეთ გავმართოთ ჩემი სავიოლინო მუსიკის სადამოების ციკლი. ვთქვამთ, მარინე იანიშვილმა რომ სამი სავიოლინო კონცერტი შეასრულოს ამ ორკესტრის თანხლებით, მე მგონია, მაყურებელიც ამას ინტერესით მიიღებს.

ასე რომ, მე ველი ამ ორკესტრის გამოსვლას თბილისში სრული იმედით, რომ მას წარმატება ხვდება.

ცხადია, ორკესტრს კიდევ ბევრი აკლია. ცხადია, უკეთესი უნდა იყოს ინსტრუმენტარულში, კარგი იქნებოდა შემადგენლობის გაფართოებაც. ეს ადვილად მისაღწევი საქმეა. მთავარი ის გახლავთ, რომ ბირთვი არსებობს, ძირითადი გაკეთდა და გაკეთდა მოკლე დროში, სულ რაღაც 7-8 წელიწადში. მას რომან მატსოვის ხელი ეტყობა, ეტყობა, რასაკვირველია, ხელი გიორგი გოცირიძისა, რომელმაც წამოიწყო ეს საქმე და შემდეგ ტარიელ დუგლაძისა, რომელიც ძალიან გააზარდა და ნამდვილად ნიჭიერი დირიჟორია.

— თქვენ, აჭარაზე შეყვარებულს და აჭარის ბუნებით მოხიბლულს, არაერთხელ ვითქვამთ, შეუძლებელია, ამ მხარეს თავისი კომპოზიტორები არ შეყვდესო. ამჟამად საქართველოში იცნობენ მხოლოდ ერთ ნიჭიერ ბათუმელ კომპოზიტორს — სოსო ბარდახაშვილს. აჭარის სიმფონიური ორკესტრის არსებობა რამდენად შეუწყობდა ხელს აჭარის სკომპოზიტორო სკოლის შექმნას?

— უძველად შეუწყობდა, მაგრამ კომპოზიტორის ძალა ისაა, რომ ცარიელ მწიკრ ადგილზეც შეიძლება გაშალოს თავისი შესანიშნავი ყვაილი! იცით, კომპოზიტორი ის ხელოვანია, რომელიც მთელს მსოფლიოში ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ, აი, ამ ადგილზეა დამაჯერებელი მთელი გულით და სულით. ეს ფენომენი, შემოქმედებითი ფენომენი ძალიან ძლიერია და ამიტომ შეიძლება იფეთქოს იქ, სადაც სრულიად არ მოვლი!

ბათუმს, აჭარას ყველა პირობა აქვს, რომ თავისი წილიდან წარმოშვას ასეთი შემოქმედი. აჭარის ხალხური მუსიკა, მოგვხსენებთ, ძალიან საინტერესოა. ეს ხომ უნიკალურია — ოთხხმიანი ხალხური სიმღერა. ქართველი კაცის ყურისთვის, რომელი მუთხის შვილიც არ უნდა იყოს იგი, ეს სიმღერები უცხო არ არის. მაგრამ, იცით, რა-ლაცნაირი, სულ სხვა პეფი აქვს, როცა მათს ფართო სარბიელზე გატანას ხელს ჰკიდებს ამ პანგებს ბავშვობიდანვე, აკვირიანვე შეთვისებული კაცი. ეს რაღაც საოცარი,



ქვეცნობიერი გრძნობა, აუხსნელი, სიტყვით უთქმელი, რომ აუცილებლად სწორედ აქედან უნდა წამოვიდეს.

ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი რუსი კომპოზიტორი, რომელიც საფრანგეთში დაიბადა და საფრანგეთში აღმოცენდა მისი შემოქმედება. არ ვიცი ფრანგი კომპოზიტორი, რომელიც ცხოვრობდა, ვთქვით, გერმანიაში, გერმანელ კომპოზიტორად იქცა. თუმცა ის კი ვიცი, რომ ცარიელ ადგილზე, სადაც მუსიკალური კულტურა არ ყოფილა ძალიან განვითარებული, როგორც, მაგალითად, არგენტინაში, წარმოიშვა შესანიშნავი კომპოზიტორი, ან ესპანეთში, ავიღოთ კობეზონი. ნაკლებად იცნობენ ამ კომპოზიტორს მსოფლიოში, მაგრამ ეს არის შესანიშნავი ავტორი საორგანო მუსიკისა, საერთოდ, მშვენიერი კომპოზიტორი. არადა, არავითარი სკოლა არ ყოფილა მაშინ ესპანეთში.

ჩვენ უკეთეს პირობებში ვართ. აპარელ მუსიკოსს შეუძლია კარგი სკოლა გაიაროს თბილისში. აი, ახლა ჩემთან სწავლობს, მაგალითად, ვახტანგ მეგრელიძე, ნიჭიერი ბიჭია. მე მგონია, გულდავულ იმუშავენს და მოიტანს აქ საინტერესო იდეებს, მოიპოვებს წარმატებებს. ასე რომ, ამ მხრივ, მეგრა, აქარას ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს.

— თქვენს შემოქმედებაში, თუ არ ვცდები, მხოლოდ „მუსუხში“ და „პირველ სიყვარულში“ გამოიყენეთ აპარული ფოლკლორის ნიმუშები. ამასთან ცნობილია თქვენი დამოკიდებულება აპარისადმი. ვიმეორებ, არაერთხელ გამოვინახავთ თქვენი დიდი სიყვარული და პატივისცემა ჩვენი მხარისადმი საქართველოს კულტურის მინისტრად ხანგრძლივი სლუპოვის დროს. ხანგრძლივად ხასწავდებოდნენ ლარსებზე, იგივე სიმფონიური ორკესტრი, თოჯინების თეატრი და მრავალი სხვა თქვენი შესაშური მეცადინეობის შედეგად. ამ ხასწავლოდ აპარის მწრომელებს რადიოთი მივხვალვით თქვენი საფორტპიანო აიესია „ნავი“. სომ არ მივიღოთ, ბატონო ოთარ, ეს ერთგვარ მინიშნებად, რომ ნაღის აგმდვთ აპარებთ აპარულ მელოდებზე, მისი ზღვის ხმაურზე უკვე დიდი ხომალდის აგებას?

— ო. ეს ძალიან კარგად არის ნათქვამი და ვალიარებ, რომ აპარის წინაშე ვალში ვარ. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ამასწინათ ვფიქრობდი, რამდენა რამ მაქვს ჩემს მუსიკაში ბათუმთან დაკავშირებული. აუცილებელი არ არის ფოლკლორის გამოყენება, იცით, ეს მხოლოდ ერთი მხარეა ჩემი შემოქმედებისა.

— ჰოდა, საინტერესოა თქვენი, როგორც ავტორის დამოკიდებულება თქვენზე მუშაობისადმი ხალხურ მუსიკაში.

— ძალიან მტკივა გული, რომ თანდათანობით დავიწყებას ეძლევა ეს შესანიშნავი განძი. ავიღოთ, მაგალითად, ქართლ-კახური სიმღერა. დაახლოებით ერთი და იგივე ვითარება პროფესიული კოლექტივების რეპერტუარში, თვითშემოქმედებაში.

გურულ სიმღერაზე ხომ უკვე ზედმეტაა ლაპარაკი! ყველაზე რთული და ადრე ოჯახებში აყვარებული მუსიკა თანდათანობით იკარგება. მას ცვლის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი თანამედროვე მუსიკა იმ ხალხურ მუსიკაზე, რომელიც ქართველმა ხალხმა შემოინახა და შექმნა. იცით, იმისათვის მიემართავ ფოლკლორს, რომ შევუნარჩუნო მის შემოქმედ ხალხს, იმისათვის, რომ ესტრადაზე ავაქლერო და, ბოლოს, იმისათვის, რომ, ნუ ჩამომართმევენ ამას ტრიახად, შეიძლებოდეს მისი მსოფლიო არენაზე გაჩანა

მოგხსენებათ. თვითშემოქმედი გუნდის გამგზავრება სადმე ძალიან დიდი მოვლენაა. მაგრამ ეს მაინც მცირე ესტრადაზე, ფოლკლორულ დარბაზებში ხდება. აი, სპეციალურ დარბაზში, სიმფონიურ დარბაზში რომ მოხდეს ქართული მუსიკის პოპულარიზაცია, ეს უფრო დიდი მოვლენაა, ჩემის დრმა რწმენით. ამიტომ ვცდილობ ისეთ ჟანრში ავაქლერო ქართული ფოლკლორი, რომელიც სიმფონიურ ჟანრთან უფრო ახლოსა. ასე იყო „გურული სიმღერების“ შექმნის დროს. ასე იყო „მეგრული სიმღერების“, „სატრფილო

სიმღერების "შექმნის დროს. სხვანაირად, უფრო რთული, მაგრამ იგივე გზა "ქართლის  
ხანგებში", "საერო ჰიმნები", სადაც ძველი საგალობლები მაქვს გამოყენებული.

მაგრამ ეს არ არის მარტო ფოლკლორთან კავშირის მცდელობა, რაც ამოწურავს  
ადამიანის ურთიერთობას ამა თუ იმ მხარესთან, მის ფოლკლორთან. მე, შესაძლოა,  
ქართული ფოლკლორი არ გამომიყენებია ისე ხშირად, მაგრამ საკმაოდ ხშირად მიწერია  
ქარის, ბათუმის სილაშხის გავლენით, იმ ადამიანებასადმი თბილი დამოკიდებულებით,  
რომლებიც ასე გულითადად, გულწრფელად ჩხვლებიან და, მგონია, ვუყვარვარ კიდევ.  
და, ამ გავლენით ბევრი რამ დამიწერია. მაგალითად, მეორე სიმფონია.

ერთხელ დიხხას დაეყავი ბათუმში და მერე, როცა სავილინო კონცერტზე ვმუ-  
შაობდი, ეს იყო სოხუმში, თქვენ წარმოიდგინეთ, ბათუმი, მისი სანახები მედგა თვალ-  
წინ. აი, ასეა კომპოზიტორი. იგი გულით ატარებს სიყვარულს და ამ სიყვარულით სა-  
ზრდოობს მისა შემოქმედება. მაგრამ, მინც, თქვენი შეკითხვა მართებულია. მე ვალში  
ვარ აჭარის წინაშე და აქაურ ფოლკლორზეც უნდა ვიფიქრო.

— ბატონო ოთარ, მე დიდი სიამოვნებით ვიგონებ 1977 წლის მარტს, როცა დიდ  
თეატრში ვესწრებოდი „მთვარის მოტაცების“ პრემიერას. მემაცებოდა, რომ ქართულ  
ოპერას ასეთი დიდი წარმატება ხვდა წილად. პრემიერის წინა დღეებში, გახსოვთ, აღ-  
ბათ, თქვენც ავად იყავით, საეპოვოც კი იყო თქვენი პრემიერაზე დასწრება. სპექტაკლის  
სემდეგ კი თქვენც ავადმყოფობის ნიშანწყალიც არ გეტყობოდათ. ძველი ბერძენები ამ-  
აიბენ: „მუსიკა კურნავსო“. ეთანხმებით ამ აზრს? თუ ზო, მსგავს მაგალითებს ხომ  
ვერ დავვისახელებდით?

— ოღონდაც, ვეთანხმები, იმიტომ რომ ეს ქვეშაირტება! მუსიკა კურნავს, ნამდვი-  
ლად კურნავს. მუსიკას ისეთი ძალა აქვს, რომელიც ჯერ გამოუცნობია, აბსოლუტურად  
გამოუცნობი. ჯერ-ჯერობით ვერც შეცნეირებმა დაამუშავეს ეს საკითხი საკადრისად და  
ვერც მუსიკოსებმა.

მახსოვს, ერთხელ, ავადმყოფი მივედიოდი მოსკოვს. უცებ რადიოთი მომესმა „შენ  
ხარ ენახი“, ჩუმად ისმოდა. საოცარი ზეგავლენა მოახდინა იმ გარემოში, ჩემს მამან-  
დელ განწყობილებაზე. რალაცნაირად ავენთე, განვიწმინდე და... გამოვჯანმრთელი კიდევ.  
აი, რა შეუძლია მუსიკას.

მეორე შემთხვევა: ახალგაზრდობაში, კონსერვატორიამდე, აღარ მახსოვს, სკოლაში  
ესწავლობდი, თუ საავიაციო ტექნიკუმში, ძალიან გადატვირთული კი ვიყავი, მუსიკასაც  
დიდ დროს ვანდობდი და იქაც ვმეცადინებდი. ჰოდა, დადლილი მოვდიოდი. ანახ-  
დად გამახსენდა დეორჯაყის მე-9 სიმფონიის მეორე თემა. არასოდეს დამავიწყდება ეს  
მომენტი: ისე გამომაიციტხლა ამ მუსიკამ, რომ შინ მხიარული და ენერგიით სახეე მი-  
ვედი.

ცნობილია, რომ ძველ სპარტაში მუსიკას იყენებდნენ აღზრდისათვის. იქ კილოებად  
იყო დაყოფილი მუსიკის გავლენა ადამიანზე. ეს კილო ამისათვის, ის კილო — იმისათ-  
ვის. ეს პირველი ცდა იყო, ალბათ, იმისა, რომ მუსიკა გამოიყენებინათ ადამიანის გა-  
მოჯანსაღებისათვის, მისი სულიერი ძალების შთაბერვისათვის.

რაც შეეხება ქართულ ხალხურ სიმღერას და ენერჯის აღსადგენად მისი გამოყე-  
ნების პრობლემას, ეს ყველაზე კარგად გურიამია მოწესრიგებული. იქ, მაგალითად,  
სუფრასთან აქეთ სიმღერების მონაცელოების წესი — როდის რა უნდა თქვან, ანუ  
როდის რა უნდა იმღერონ. ვთქვათ, ეს ნადის მუსიკა, გუნდის შეყვრა, სამუშაოდ გას-  
ვლა, შემდეგ რიტმის მიცემა, რიტმის აჩქარება, დასვენება, გადაძახილები, ისეე რიტმი...

ეს ხომ საოცარი რამ არის! ეს ექსპერიმენტულად დადგენილი და ალაღად, სიმა-  
რტილიდან წამოსულა რალაც მუსიკალური სქემა იმისა, თუ ორგორ უნდა გამოაჯანმრ-  
თელონ, როგორ მისცენ ახალი შემართება და ენერჯია ადამიანებს, რომლებიც დაულა-

ლავად შრომობენ. ეს, ცხადია, დიდი თემა გახლავთ, საგანგებო მეცნიერული შესწავლის საგანი!

— ფართო საზოგადოებისათვის პირველი თქვენი ნაწარმოები ცნობილი გახდა 1944 წლის თებერვალში. ეს იყო საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. თქვენ მაშინ სტუდენტი იყავით. ამ ნაწარმოებში გამოიხდა როგორც მოქალაქეობრივი პოზიცია, ისე ღრმა ეროვნულობა. შავონდება, ადრეულ წლებში, ერთ-ერთ ინტერვიუში კითხვასზე, „როგორ უნდა წერდეს კომპოზიტორი?“ თქვენ ასე უპასუხეთ: „როგორც მე ვწერ“.

— ბართლა ასე თამამად ვუპასუხე?

— დიან, ეს პრესაში იყორ... ახლა, როცა 40-მა წელმა განვლო, ჩვენთვის, თქვენი მსმენელებისათვის, ამ ნათქვამის აზრი გამოიკვეთა. ჭლებს მანძილზე თქვენი შემოქმედებითი პოზიცია არ დაგითმიათ, არ გადავიხვევით ერთხელ დასახული გზიდან. გვიჩვენებთ მოქალაქეობრივი პრინციპებისადმი დიდი ერთგულება.

შოდა, იგივე კითხვა მინდა დაგისვით დღეს; მაინც როგორი უნდა იყოს ხელოვანი?

— ახალგაზრდობაში ნათქვამ სიტყვას, ცხადია, ვეღარ გავიშვებ. ეს ახალგაზრდობას ეპატიება. ახალგაზრდა შემოქმედი აღნაგავა ენერგიით, სიბრტულით, აღტაცებით, აღტინებით... და, რასაკვირველია, ვერ ვიტყვი, „როგორც მე ვწერ, ისე დაწერეთ“. იმიტომაც, რომ ჩემი ახალგაზრდა კოლეგებისაგან, ჩემი მოსწავლეებისაგან ველი აზრის გაგრძელებას, გაუმჯობესებას და გაღრმავებას, და თუ ასე არა, რად მინდა მაშინ ან პედაგოგიური მოღვაწეობა, ან მთელი ჩემი შემოქმედება!

ოაც შეგება იმას, თუ როგორი უნდა იყოს ხელოვანი, უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ ხელოვანი ძალიან მგრძობიარე უნდა იყოს. ხელოვანი უნდა იყოს მართალი და ძალიან თავმდაბალი. ეს არის მთავარი თვისებები, ჩემის აზრით. მსახური უნდა იყოს ხელოვნებისა, უსაზღვროდ უნდა ეტრფოდეს მას და თავისი თავი უნდა მიანდეს მხოლოდ კენჭად იმ ზღვაში, რომელსაც ხელოვნება ჰქვია! თუ მას ხელოვნება თავის თავზე გაცილებით მეტად უყვარს, მაშინ მიადწევს რაღაცას, ეს ერთი.

მეორე, ეს არის სიმართლე. ერთხელ თუ უღალატებ ჭეშმარიტებას, მერე ვეღარ დაადგები ნამდვილ გზას. სიმართლე მთავარია — აქაც უნდა მივბამოთ ხალხურ მუსიკას. ხალხურ მუსიკაში არც ერთი ყალბი სიტყვა არ თქმულა. იქ არ არის ტყუილი! არსად არ შეუქია ხალხს ისეთი ადამიანი, რომელიც შესაქები არ იყო. არც ერთი ამბავი არ მოუყოლია სიცრუით! დიან, ხალხური სიმღერა მართლოდენ თავისი მელოდრიული სილამაზით კი არ არის მისაბამი, არამედ თავისი სიმართლითაც, თავისი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ხელოვნებისადმი.

აი, ასეთი უნდა იყოს ხელოვანი, ჩემის ღრმა რწმენით, რასაკვირველია, ხელოვანს ბევრი რამ აწუხებს. შეუძლებელია, რომ დღევანდელი ხელოვანი ისეთივე იყოს, როგორც ერთი საუკუნის წინათ, ობი საუკუნის წინათ. ხელოვნება ბევრ რამეს ითვისებს, ისევე როგორც ადამიანის გონება. მასში ხდება უზარმაზარი მოვლენების აკუმულაცია. ჩვენ არ შეგვიძლია წუნი დავდოთ თანამედროვე ფერწერას იმის გამო, რომ, ვთქვათ, იგი ნათელი არ არის, როგორც თავის ღრობზე რემბრანტი იყო, ან რაფაელი, ან მიქელანჯელო. მაშინ ცხოვრებაც სხვანაირი იყო. ახლა ცხოვრება ძალიან რთულია. ბევრი ფაქტორი ვერ ხვდება ერთმანეთს. ვხედავთ საშინელ პოლიფონიურ გადახლართვას გრძნობებისა, პრინციპებისა, ქვეყნების ინტერესებისა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ძალზე გაიზარდა, მისი გონებრივი არსენალი დაპატარავდა, ხალხები მეტად დაუხლოვდნენ ერთმანეთს, შემცირდა ღრო და მანძილი მათ შორის. ამიტომ დღევანდელი შემოქმედი უფრო სინთეტურად ფიქრობს, უფრო მეტს იტევს თავის სულში, ვიდრე ადრე.

ოლონდ, ხელოვანს ერთი რამ უნდა ახსოვდეს ყოველთვის: ისეთივე ამაღლებული

და ისეთივე სილამაზის მსახური უნდა იყოს, როგორც ადრე იყვნენ ხელოვანი ადამიანები. მათაც ადგათ ჯაფა. მაშინაც ვრცელდებოდა და ერთმანეთს ეჯახებოდა ადამიანთა ინტერესები, მათი გონიერი ჰორიზონტები, თანდათან უფრო ტრადიციული ხდებოდა ომები, უფრო იზრდებოდა ამ ომების მასშტაბები და ასე შემდეგ. მაგრამ ჩვენი წინაპარი, ჩვენი კლასიკოსები ინარჩუნებდნენ სულის სიწმინდეს, სილამაზისადმი მსახურების დაუღვარ მისწრაფებას.

აი, ეს უნდა გავიმეოროთ ჩვენ. აი, ეს არის მთავარი!

და მესამე, მე მგონია, არანაკლებ მნიშვნელოვანი: რაკი დაპატარავდა მსოფლიო, რაკი ერთმანეთს შეეჯახნენ ადამიანების ინტერესები, რაკი შესაძლებელი გახდა დედამიწის ფიზიკურად დანახვა, როცა საათზე ნაკლებ დროში ადამიანი კოსმოსური ხომალდით მთელ დედამიწას შემოუვლის, უფრო საშიში გახდა ეროვნული თვისებების გათქვეფა... ეროვნული თვისებების გათქვეფა მოასწავებს საუკუნეების გადაგდებას სანაგვე ყუთში. ეს იქნებოდა ძალიან დიდი შეცდომა, ძალიან დიდი ტრადიციული მოვლენა.

ეროვნული საწყისები ხელოვნებაში ეს ის სილამაზე და მრავალფეროვნებაა, რომელიც ჩვენთვის ახალისებს იტალიურ ფერწერას, ფრანგულ მუსიკას. ამას დღესაც ასე აღვიქვამთ იმ თვისებების მიხედვით, რომლებიც ყველაზე გასაკვირია ჩვენთვის, რადგან ამ თვისებებში ჩამოყალიბებას კომპოზიტორი კლასიკოსი ახერხებს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ის ტრადიციებს ინარჩუნებს.

— ბატონო ოთარ, მინდა „ქოროხის“ მკითხველთა სახელით, უღრმესი მადლობა მოგახსენოთ საინტერესო საუბრისათვის. აქვე მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ თქვენთვის არცერთი შეკითხვა წინასწარ არ მოგვიცია და თქვენი პასუხები კიდევ ერთხელ მიუთითებს თქვენს ცინცხალ ნიჭზე, ერუდიციასზე... მინდა დაგლოცოთ, გისურვოთ დიდი შემოქმედებითი წარმატებები.

— დიდი მადლობა. კმაყოფილი ვარ, რომ ასეთი კულწრფელი საუბარი გაიმართა ჩვენს შორის.



## დიმიტრი ერისთავი

საკმაოდ ნაყოფიერი იყო დიმიტრი ერისთავის მოღვაწეობა ქართულ მწერლობაში, როგორც ბელეტრისტმა, მან ადრე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება და მისი მოთხრობები ლიტერატურული კრიტიკის მსჯელობის საგანი გახდა.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის წლებში საქართველო სწრაფად დაადგა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების გზას, რომელსაც მოჰყვა რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის წარმოშობა. მრეწველობის განვითარებამ ხელი შეუწყო ქალაქის მოსახლეობის ზრდას და ახალი სამრეწველო ცენტრების გაჩენას, რამაც გამოიწვია მშრომელთა საშინელი სიღატაკე. კაპიტალისტური ურთიერთობის მეშვეობით სოფელმა სახე იცვალა და დაიწყო გლეხების ფენებად დაყოფა. აი, ეს მოვლენები ასახა უმთავრესად დ. ერისთავმა თავის მოთხრობებში. მის დაკვირვებულ თვალს მხედველობიდან არ გამოჰპარვია ის მნიშვნელოვანი ცვლილებანი, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარებამ მოუტანა დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, გურიის სოფლებს. ამ თვალსაზრისით დ. ერისთავი, როგორც ბელეტრისტი, გვერდში ედგა ე. ნინოშვილს, დ. კლდიაშვილს, შ. არაგვისპირელს, ანასტასია ერისთავ-ხოშტარაის და ლალიონს (მამულიაშვილს).

90-იანი წლების მწერლების შემოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩა გამოჩენილ რევოლუციონერსა და კრიტიკოსს ა. წულუკიძეს, რომელმაც 1898 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ჟურნალ „კვალი“ მოათავსა წერილი სათაურით „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“. დასახელებულ წერილში ა. წულუკიძემ ე. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, დ. ერისთავი, შ. არაგვისპირელი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარაია და ლალიონი საქვეყნოდ აღიარა ეპოქის შესაფერ მწერლებად. „მოიგონეთ უკანასკნელი წლების მოთხრობები: ე. ნინოშვილისა, მელანოსი, დ. ერისთავისა, დ. კლდიაშვილისა, შ. არაგვისპირელისა და სხვათა, გავისხენოთ რა სინამდვილით და ზოგი ხელოვნურადაც ზატავს ცხოვრების სურათებს, რა სიმარტივით და ნათლად აღნიშნავენ დიდმნიშვნელოვან ფაქტს! სწორათ თუ რომელიმე მოთხრობის დაფასება გვიჭირს, ამის მიზეზი თვით ჩვენს მიერ ცხოვრების უცოდინარობაა... რა შეგვიძლია მოვთხოვით ბელეტრისტს? სხვა არაფერი, თუ არა სინამდვილის სწორი ასახვა ცოცხალ მხატვრულ ფორმებში. თუ ასეთი მოთხოვნით მივმართათ ოთხმოცდაათიანი წლების ბელეტრისტებს, ჩვენს თვალწინ სხვა სურათი გადაიშლება. გადაიკითხეთ ეგნატე ნინოშვილის შინაარსიანი მოთხრობები. განა ცხოვრებიდან ამოვლავილი არ არიან „ჩვენი ქვეყნის რაინდის“, „მოსე მწერლის“, „სიმონას“, „გოგია უიშვილის“ და სხვა მოთხრობების ტიპები? თუ გინდათ გააგონო ჩვენი საზოგადოების მაჯისცემის მდგომარეობა, აიღეთ 1895 წლის ჟურნალ „მომამის“ მე-4 და მე-5

გაგრძელება. იხ. „კორონი“, № 4.



ნომრები, სადაც თქვენ ნახეთ ლალიონის მოთხრობას „ფირალი დავლაძე“. ამავე უძველეს ნაღში მოთავსებულია დ. ერისთავის „ვისი ბრალია?“ დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელიც ჩვენს სოფელში არსებული არართული, მაგრამ უღარესად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობის ბრწყინვალე, ფსიქოლოგიურ გამოხატულებას წარმოადგენს, — წერს ა. წულუკიძე.

დ. ერისთავის მოთხრობების კრებული „ნაქეთების“ სახელწოდებით გამოიცა ქუთაისში 1891 წელს. მასში დაბეჭდილია მოთხრობები: „უბრალო ამბავი“, „უბედური ქმარი“, „მსხვერპლი სიყვარულისა“, „ციხეში ჯვრის წერა“, „ორი სურათი“, „მწყერობა“, „ახალგაზრდა ქალის დღიურიდან“, „ბოზო გოგო“, „ძველ კილოზე“ და „დრამა ვაგონში“.

„უბრალო ამბავში“ წარმოდგენილი არიან ერთი სოფლის შვილები ვანო სადრაძე და ლუკა ლასხაძე, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ ფენას ეკუთვნიან. ლუკა სოფლის ღარიბი გლეხის ივანე ლასხაძის ქვრივის, სალომეს, შვილია, რომელსაც ქმრის გარდაცვალების შემდეგ, სიმწრით ზრდის ბედისაგან დაჩაგრული ლეღა. ვანო სადრაძე კი თავადისშვილია, რომელსაც არ შეუძლია ლუკას გარეშე ყოფნა იმ დროსაც კი, როცა იგი გიმნაზიაში სწავლობს. განუყრელი მეგობარი ვანო, ლუკას კითხვას ასწავლის, ცოდნის მიღების სურვილს აღუძრავს და ამ პროცესის დასახატავად მწერალი კრიტიკის პარცეცხლში ატარებს გიმნაზიაში გამეფებულ სასტიკ რეჟიმს და სწავლების სქოლასტიკურ მეთოდებს.

ვანო სადრაძის სახით დ. ერისთავმა დაგვიხატა ახალი ტიპი, რომელიც წარმოიშვა ხალხოსნური მოძრაობის ვაგონით. ვანოს იდეალი სასარგებლო და პატიოსანი შრომაა, მაგრამ ცხოვრების სწორ გზაზე დადგომაში ვანოს ხელს უშლის თავისი კლასი.

მოთხრობაში „ძველს კილოზე“ დ. ერისთავმა დახატა ვანო დათაძის ტიპი, რომელიც ვერ ეგუება გიმნაზიაში გამეფებულ აუტანელ რეჟიმს, იგი ნიჭიერი და ნაზი აგებულების ყმაწვილია, რომელიც მთელი არსებით გატაცებულია ხატვით, მაგრამ ლათინური ენის აუთვისებლობის გამო გიმნაზიიდან ირიცხება. მშობლები მას ქუთაისში ლეგიონის თავისუფალ ჯარისკაცად ჩარიცხავენ. სუსტი ორგანიზმის მქონე ვანო ვერ იტანს ყაზარმული ცხოვრების წესებს და ფიზიკურად იღუპება.

„ნაქეთებიდან“ მკითხველის ყურადღებას იპყრობს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი ქართველი სტუდენტების საქმიანობა, რომელიც მიმართულია ქართველთა სათვისტომო ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის. მოთხრობაში დახატულია მეოცნებე ჩაუბოხნის ტიპი ნიკო, რომელსაც რუსეთში ქლეჭი შეეყრება და კვდება.

დ. ერისთავი ხატავდა გასული საუკუნის მიწურულს საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო მოვლენებს, ცხოვრებისეულ დეტალებს და მიმზიდველ სიუჟეტზე აგებდა თავის პატარა-პატარა მოთხრობებს.

„უბედურ ქმარში“ მწერალმა დაგვიხატა ცოლ-ქმრული ურთიერთობის ნიადაგზე წარმოქმნილი ტრაგედია, ახალგაზრდა ვანოს სპეციალური სიყვარულით უყვარს თავისი ლამაზი ცოლი ელენე, რომელმაც ქმარს უღალატა და სხვაზე გაცვალა. ვანომ ვერ აიტანა ასეთი დამცირება და რევოლუციით თავი მოიკლა. ავტორი ფსიქოლოგიური დაძაბულობით წარმოგვიდგენს ვანოსა და ელენეს მდგომარეობას. ელენეს საქციელი შედეგია გარკვეული სოციალური წრის შემოქმედებისა, რომლის მეშვეობით ქალი სცდება ცხოვრების სწორ გზას, რასაც დ. ერისთავი დამაჯერებლად ხატავს.

ბურჟუაზიული ცხოვრების სინამდვილემ და გონებრივმა უთანასწორობამ, რომელმაც განსაკუთრებით თავი იჩინა სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარების ეპოქაში, სოფლად ბევრი მორალურად გაუმართლებელი შემთხვევები წარმოქმნა, მოთხრობაში „მსხვერპლი სიყვარულისა“ წარმოდგენილია ტიპი გახრწნილი და გადავარებული მამაკაცის



მეორე შეცდენილი ქალისა, რომელიც ვერ აიტანს აუტანელ შეურაცხყოფას და ბედს შეუვარდება.

დ. ერისთავმა თავის შემოქმედებაში განსაკუთრებულად ადგილი დაუთმო სიყვარულის თემას. ავტორის აზრით სიყვარული უაღრესად ბუნებრივი, ფაქიზი გრძნობაა, იგი მორალურად ამაღლებს ადამიანს, გამბედაობასა და ნებისყოფას ჰმატებს. ამიტომ სპეტაკი და ურყევ სიყვარულს, დ. ერისთავის აზრით, შეუძლია გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება და ადამიანმა გამარჯვებას მიიღწიოს. სწორედ ასეთი აზრია გატარებული ეტიუდში „ციხეში ჯვრის წერა“. მასში მწერალმა სასტიკად გაამართახა გაღატაკებული თავადანაშრობის ამპარტავნობა და წოდებრივი კუდაბზიკობა. ნაწარმოებში აშკარად ჩანს, რომ ავტორი დაწარულების მხარეზეა. „ბოროტმოქმედება უფრო სწორად იმ ქვეყნებსა და სახელმწიფოში ხდება, რომელთაც გონებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა მეტი-სმეტად დაბალ ხარისხზედ დგას. ვის შეუძლია დავაარწმუნოს, რომ ის ბედკრულები, რომელნიც ასე ხარბად საპყრობილის ფანჯრიდან იხედებიან, არ გამოდგებოდნენ... ხაზოგადოების სასარგებლო წყვრებად“. ხსენებულ ეტიუდში დახატულია თავადის ასული კატო, რომელსაც წოდებული გულით უყვარს ღარიბი ოჯახიდან გამოსული სოციალისტი, კატოს ჰეციხავენ ოჯახის წევრები და ახლობლები, მაგრამ სიყვარულის ძლიერი გრძნობა კატოს უბიძგებს იქეთვე, რომ ციხეში მკლამ სატრფოსთან იქორწინოს. მწერალი კარგად ხატავს ციხეში ჯვრისწერის სცენას, როცა ეტლს, რომელშიც ახალშეერთებულნი იხსნენ, ორივე მხრიდან ამოუდგებიან თოფიანი ჯარისკაცები. „კარგი მყურები გვეყავს, ჩემო ძვირფასო, უთხრა გზაში ახალგაზრდა კაცმა ცოლს მწარე ჯავრის კილოთი და მიუთითა სალდათებზე. — „იქაც კარგი სიმამრ-სიდედრი მოგველის, — ტანჯვა და მკაცრი ყინვები“ — მიუგო კატომ და ქმარს გულზე მიეყრდნო“.

დ. ერისთავის, როგორც შემოქმედის, გულისყური მიპყრობილი იყო ცხოვრების ცალკეული დეტალებისა და ადამიანთა განცდების დახატვისაკენ. ეტიუდში „მწყვრობა“ მწერალმა წარმოგვიდგინა ერთ დროს სილამაზით განთქმული მოხუცი ქალი. ალათი თავის დროზე ბევრ ახალგაზრდას უტოკებდა გულს, მაგრამ მან ამოიჩინა შრომისმოყვარე გლეხი გიორგი, რომელიც გმირულად შეეწირა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომს. ალათის დაუკაცი ქმარი გიორგი გორდელაძე მუხანსატატეს მისადგომებთან შეუპოვრად ერკინებოდა მოწინააღმდეგეს და სხეებთან ერთად ბრძოლის ველზე დაეცა. ახლა ბევრს აღარ ასსოვს გორგი გორდელაძე, მაგრამ მოსიყვარულე ცოლის ალათის გულიდან ვერაფერმა ამოშალა ქმრის სიყვარული.

მიუხედავად იმისა, რომ დ. ერისთავი თავის ნაწარმოებში სოფლისათვის დამახასიათებელ მოვლენებსა და სურათებს წარმოგვიდგენს, ეტიუდში „ახალგაზრდა ქალის დღიურიდან“ რევოლუციამდელი ქალაქის ცხოვრებაა დახატული. ნაწარმოებში წარმოდგენილია მასწავლებელი ქალი, რომელსაც სამუშაო ვერ უშოვნია და შინამასწავლებლად დამდგარა ზნედაცემული ვაჟის ოჯახში.

დ. ერისთავი მოთხრობებისა და ეტიუდებისათვის სიუჟეტებს იმ გარემოდან იღებდა, სადაც თვითონ უხდებოდა ხანგრძლივად ცხოვრება და მუშაობა. ოჯახური დესპოტიზმი და მისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები მკაცრად გაკრიტიკებული მოთხრობაში „ბოზა გოგო“. ნაწარმოებში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ბუნების სურათების აღწერა და მოქმედ პირთა ხასიათების გახსნაც. ესკიზში „ღრამა ვაგონში“ წარმოდგენილია მეფის ხელისუფლების გაიძვერა მოხელის ვერაგობა. ქმარს უნდა სიცოცხლეს გამოასალმოს თავისი ცოლი და მისი ქონება კარიერისათვის გამოიყენოს.

ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ ფურცლებზე ხშირად უთმობდა ადგილს დ. ერისთავის ეტიუდებს. კერძოდ, დაბეჭდა „დამქნარი ყვავილი“, „სოფლის მასწავლებელი“, „რახლოს იყო ბედნიერება“ და „ღვთის ნაპერწყალი“, ეს ნაწარმოებები დიდაქტიურ



ლიზა („დამკვნარ ყვავილში“) თავის დროზე მომხიბვლელი ასული იყო, უმარავე თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ არავის ყურადღებან არ აქცევდა. „უამთა მსკლელობამ“ დააქკნო მისი სილამაზე.

დ. ეოისთავი, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოს სოფლის ცხოვრების ყოველ დეტალს, დიდი იმედით და სიყვარულით შეჰყურებდა სოფლის მასწავლებელს, რომელიც თავისი ქვეყნისათვის საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა. დასახლებულ ვტიუდში ავტორმა დაგვიხატა სოფლის მასწავლებლის მათეს უანგარო სამსახური. იგი სამრევლო სკოლის მასწავლებელია, ნახევრად ქონძებშია გახვეული, მაგრამ თავისი შეგირდების გულისათვის ყველაფერს ითმენს. მათე ცხოვრობს სოფლის მღვდლის გალიასავით პატარა, ფიცრულ ოთახში, რომლის კედლებში ქარი ზუზუნით შედის. ნახევრად მშვიერი მათე ცივ ლოჯინში გახვეულია და ნორმალური ცხოვრების პირობებზე ოცნებობს. გათენდება თუ არა, მის წინაშე გადაიშლება მწარე სინამდვილე. ჭლექისაგან დაავადებული მათე მაინც მთელი არსებით საყვარელი მოზარდებისაკენ მიეშურება.

დათიკო უგვაროშვილი უკანონო შვილია მართასი („რა ახლოს იყო ბედნიერება“), მას დიდი ჭაპანწყვეტით ზრდის დედა. დათიკო გულდაწყვეტილია იმით, რომ მამა არა ჰყავს. მართამ სტუმარი ქოხში შეიპატეა, ხოლო დათიკოს გარეთ თამაში უბრძანა. კარებზე მოყურებულმა ბავშვმა გარკვევით გაიგონა დედის სიტყვები: „რა გულქვა და უწყალო აღამიანი ხარ!.. შენი სისხლი და ხორცია, შენი!“

გავიდა დრო. თხუთმეტი წლის დათიკოს რკინიგზის ინჟინერი ხელზე მოსამსახურედ აიყვანს, იგი საბარგო მატარებლის უმცროსი კონდუქტორიც გახდება. გაიცინობს რკინიგზის ოსტატის ქალიშვილს ანიკოს და შეუყვარდება. ოსტატი ქალს არ აძლევს, ვიდრე დათიკო „ობერკონდუქტორი“ არ გახდება. იგი ელოდება სოფლიდან მეტროკას, მაგრამ ამაოდ, რადგან დათიკო უკანონო შვილია. გულმოკლული ვაჟი მატარებელს შეუვარდება. ამრიგად თვითმპყრობელობის უმსგავსო კანონებმა შეურაცხყოფილ დედას ერთადერთი ნუგეშიც დაუკარგა.

თავადი სანდრო დიდგულაძე გენერლის შვილია („ქორწილი“). იგი უსაქმური და ზნედაცემული ფეოდალური კლასის ნაშეირია. მას თავისი ცხოვრების უმეტესი წლები დროს ტარებასა და ქალების მოტყუებაში უტარებია. სანდრო უკვე ხანში შესულიცაა, მაგრამ ცოლად ირთავს მომხიბვლელი სილამაზის ქალიშვილს ნუცას, რომელმაც ქონებით საესე ოჯახს მზითვად ოცი ათასი მანეთი მოუტანა.

მწერალს დახატული აქვს გენერლის ოჯახში მოწყობილი მდიდრული ქორწილის სურათი, მძალაი წოდების საზოგადოების ზნე-ჩვეულებანი. გაჩირადნებულ დარბაზში ყველა ღიმილით შეჰყურებს ჩვიდმეტი წლის სარძლოს, რომელსაც ვილაც ფეხებთან დაუდებს ბარათს. ნუცა ფრთხილად იდებს ხელში წერილს, გამოეთიშება საზოგადოებას, გადის გვერდით ოთახში და კითხულობს:

„წინაშე სანდრო! მე მითხრეს, რომ ცოლი შეგიერთავთ. მომილოცავს. ესლა რაღად მოგაგონდებათ ის უბრალო არსება, რომელსაც ასე გაგიყვებით უყვარდით და რომელმაც შემოგწიარათ თავისი უმანყოფა, ახალგაზრდობა, ჰატონსება, ყველაფერი, რის შემოწირვაც შეუძლია ცხოვრების ცეცხლით ანთებულ ქალის გულს... მე თქვენთვის ახლა საქირო აღარ ვარ, რასაკორეელია, ძველ ტანისამოსს გადააგდებენ... კნიაზო! ღარიბი, ობოლი ქალის მოტყუილება, გაუპატიურება რა დიდი საქმეა თქვენისთანა ვაჟბატონისათვის, რომელსაც არც გული აქვთ და არც სინდისი... მე გამოვიტირე ჩემი ბედნიერება,

ცხოვრებისაგან აღარას მოველი და აღარას ვითხოვ თქვენგან... მაგრამ არ დავიწყებთ, თქვენო ბრწყინვალეებ, რომ თქვენ მამა ხართ ჩემი შვილისა და მოვალეც ბრძანებით უპატრონოთ თქვენს სისხლსა და ხორცს... იცოდეთ, სასოწარკვეთილი დედა არაფერს არ შეუშინდება და ყველაფერზე მზად არის“.

მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდება ამ წერილის წამკითხველი პატარასი, რომელიც მამამთილს საცეკვაო დარბაზში გაჰყავს, რათა მექორწილებს რძალი ბედნიერ არსებად მოაჩვენოს.

დ. ერისთავის შემოქმედება, შედარებით სრულყოფილ სანეს ღებულობს მოთხრობებში „ნაწყვეტი დაუსრულებელი რომანისა“ და „ვისი ბრალია“, რომლებიც ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1911 და 1912 წლებში ოზურგეთში.

სახესებრ სამართლიანად წერდა „ლიტერატურული საქართველო“ (1958 წ. № 10): „დიმიტრი ერისთავის პროზაულ ნაწარმოებთა შორის თავის დროზე პოპულარობა მიიპოვა მოთხრობამ „ნაწყვეტი დაუსრულებელი რომანისა“ (1911). მეორე მოთხრობამ კი სახელწოდებით „ვისი ბრალია“ (1912 წ.) მწერალს საკმაოდ გაუთქვა სახელი“.

„ნაწყვეტი დაუსრულებელი რომანისა“ ფსიქოლოგიური შინაარსის მოთხრობაა, რომელშიც იგრძნობა ავტორის მხატვრული შესაძლებლობა და შინაგანი განცდების ორბიტაში მოქცეული ადამიანის დანატვის უნარი. მოთხრობის მოქმედ პირად წარმოდგენილია თავადაზნაურთა წრიდან გამოსული ალექსი, რომლის მშობლებს თბილისში, მამადავითის აღმართზე, აქვთ პატარა სახლი, იქვე მოსახვევში, ტლახით შეღესილ მიწურში ზაქარია თერძის დუქანია, რომლის ხავსმოდებული კედლები და მჭიდისოდენა ფანჯრები შესაბრალისს შთაბეჭდილებას ტოვებენ მხახველზე.

თერძის ქალი თამარი და ალექსი გიმნაზიელები არიან. მათ ერთმანეთი შეყვარებითა და ცოლ-ქმრობის პირობაც დაუდვიათ. ალექსის სიყვარულს ავტორი შემდეგნაირად აგვიწერს:

„თვრამეტი წლის ძლივს ვიქნებოდი, გიმნაზიას ვასრულებდი და თამარას საყვარულით დამთვრალი სრულიად ვნებარებდი, სიხარულით ცას ვეწვოდი... მასხოვს წყნარი მაისის დღესაგით ნათელი დამეები, საიდუმლოებით მოცული ჩვენი შეყრა, ყმაწვილური თავდაოწყება, დაუსრულებელი ფიცი... მისი გიმეროვით შავი თვალები ცეცხლივით მწვავდა და კოკობი ტუჩები ტრფობის უკვდავ ნექტარს მასმევდა... რა გამოუთქმელი ნეტარების გრძნობით გამსქვალულნი ვიყავით ორთავნი ამ წამებში!.. გვირდოდა რომ დასასრული არ ჰქონოდა ამ ნეტარებას“.

მაგრამ შეყვარებულთა ბედნიერებას წინ ეღობება გვირგვინობის ზღუდები. ალექსიმ გიმნაზია დაამთავრა და სწავლა რუსეთში უნდა გააგრძელოს. თამარი წინასწარ გრძნობს, რომ მასსა და ალექსის შორის გვირგვინობას ჩაუდვია ცივი ლოდი, რომლის გადალახვა მის სატრფოს არ ძალუძს. თამარი ხედავს ალექსის სისუსტეს, უსუსურობას და შემდეგ სიტყვებს ეუბნება: „ვინა არ ვიცი, შენ ვინა ხარ და მე ვინა? — დიდებულნი გვარის შვილი და ვილაც საცოდავი თერძის ქალი... მამაშენი თავის დღეში მაგის ნებას არ მოგცემს!“.

ალექსი მერყევი ინტელიგენტის ტიპია, რომელსაც არ შეუძლია ცხოვრებისეული წინააღმდეგობების გადალახვა, სიმხალე მას ყოველთვის უკან ექაჩება. ამიტომ იგი იძულებული ხდება თამართან შეუღლება უნივერსიტეტის დამთავრებამდე გადასდოს. ალექსი არწმუნებს სატრფოს, ჩვენი დაშორება არავის შეუძლიაო, მაგრამ ამ სიტყვებს სიმტიცეში თვითონ არაა დარწმუნებული, რადგან თვალწინ უდგას მკაცრი მამა და ტუჩებამრეზილი ნათესავები.

დ. ერისთავი ასე წარმოგვიდგენს ალექსის სულის მღელვარებას: „განწირულობის საშინელი საწამლავი ნელ-ნელა მიძვრებოდა ძარღვებში და მართმევდა სულის უკანას-

კნელ სიმტკაცეს. გავხდი, მადა დამეკარგა, აღრათფერი ქვეყანაზე აღარ მინტერესებდა, მთელ დამეებს თეთრად ვათენებდი უნაყოფო გმინვასა და საშიშ მოჩვენებათა შორის ხან წარმომიდგებოდა, რომ მძიმედ გულში დაჭრილი, სიკვდილის პირად ლოგინზე ვებდე, თამარი კი ჩემს წინ დაჩოქილი, სანთელივით დამდნარ უსიცოცხლო ხელებს მხრელედ მიკოცნიდა და განწირულის ხმით დამტიროდა. ხან მეჩვენებოდა, ვიდომ თამარო მდინარეში გადავარდა, თუმცა ხალხი მიეშველა, მაგრამ გვიანდა იყო, სიკვდილს ვერ გადაარჩინეს. ხშირად შეშინებული, ხომ არ გავკვიდ-მეთქი, ზეზე წამოვიტრებოდი, დავეცემოდი მუხლებზე დედაჩემისაგან დატოვებული პატარა ღვთისმშობლის ხატის წინ და ცხარე ცრემლების ღვრით შევსთხოვდი, ესწავლებინა ჩემთვის გზა და მოეცა ღონე ამ განსაცდელისაგან გამოსვლისა“.


თამარი და რუსეთში მყოფი ალექსი ერთმანეთს წერილებით უკავშირდებიან, მაგრამ შემდეგ თამროს წერილები წყდება, რადგან მამამ იგი ვიღაც სირაჯს მიათხოვა.

უნივერსიტეტდამთავრებული ალექსი ცოლად ირთავს სათნოებით სავსე მაროს. ერთ საღამოს ალექსი და მისი მეუღლე თეატრში არიან. ალექსი მოპირდაპირე ლოჯიაში შენიშნავს ოფიცრის გვერდით მჯდომ თამარს, რომელიც კვლავაც ისეთივე მომხიბვლელია, როგორიც ქალიშვილობაში იყო. ძველი სიყვარული ალექსის ხელმეორედ გაუღვივდება და ოჯახზე გულაცრუებულია. მეუღლემ იცის ქმრის აფორიაქების მიზეზი, მაგრამ ყველაფერს ითმენს. ალექსი გრძნობს თავის შეცდომას და სინანულს გამოთქვამს, განსაკუთრებით იმის შემდეგ, როცა გაიგებს, თამარის დაცემის მიზეზს. ცხოვრების სწორ გზას აცდენილი თამარი დასცინის ალექსის განახლებულ გრძნობებს და წარსულის მოგონებებს.

„მე ეხლა ვგვევარ დაუდგრომელს ცელქ პეპელას, რომელიც ერთი ყვავილიდან მეორეზე გადადის, რომ უფრო სურნელოვანი და ტურფა მონახოს... თავდავიწყებით ვეწაფები წუთიერ სიამოვნებას — განცხრომას, ვცდილობ ეს სოფელი უდარდელად გავატარო, ვაღმერთებ სიმდიდრეს და მისგან მინიჭებულ ფუფუნებას და განცხრომას... ბაქოს მილიონერები ფეხქვეშ მეგებიან... თქვენ კი რა უნდა მომცეთ ყველა ამის სამაგიეროდ? სიყვარული? ხა, ხა, ხა! რა უნდა და გაცვეთლი, მოსაწყენი რამ არის ეს გრძნობა!“

როგორც ჩანს, თამარის სისპეტაკე, კეთილშობილური ღირსებები და სიყვარულის ნაზი გრძნობები გააუხეშა უკუღმართმა ცხოვრებამ, რომელსაც საფუძვლად უდევს ფული და ანგარება.

(დასასრული იქნება)



ზოთა ქუჩიძე

## საქმის კაცი,

ანუ ლევან ხიდაშელი როგორც ხასიათი

### წიგნი II

ცნობილია, რომ მეცნიერული მოღვაწეობის უძაღლესი ღირებულება ჭეშმარიტი ცოდნაა, მისი არეალის გაფართოება. სოციოლოგები ამბობენ, რომ ამ პროცესს — მეცნიერულ მოღვაწეობას თან ახლავს თანამდევნი მოვლენები: პატივმოყვარეობა, საკუთარი ავტორიტეტისა და ძალაუფლების დამკვიდრებისაკენ მისწრაფება, მატერიალური ინტერესი და მისთანანი. ამ მოტივების განსხვავებული კომბინაცია, მათი ურთიერთშეფარდების განსხვავებული საშუალებანი განაპირობებენ თვით მკვლევარის, მეცნიერის პიროვნების განსხვავებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპების წარმოქმნას. ბუნებრივია, თუ თანამდევმა ფაქტორებმა იმძალადეს, ისინი დაჩრდილდნენ მთავარს მეცნიერულ მოღვაწეობაში, გასაქანს მისცემენ უარყოფითს თვისებებს პიროვნებაში.

სამწუხაროდ, ლევან ხიდაშელის ცხოვრება ისე წარიმართა, რომ პატივმოყვარეობა გახდა მისი ქცევის, მისი ხასიათის წამყვანი, განმსაზღვრელი ნიშან-თვისება. მთელი მისი ფიქრი და საზრუნავი საკუთარ პერსონას, მის განდიდებას დასტრიალებდა. ამას ხელი შეუწყო ცხოვრების პირობებმა. პროფესორის შვილს თავის გამოჩენის მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, ვიდრე სხვებს, მან არ იცოდა, რა იყო სხვებისათვის ზრუნვა, პირიქით, სხვები ზრუნავდნენ მისთვის. ასე რომ, პატივმოყვარეობის მიკრობი ჯერ კიდევ ბავშვობაში შეეყარა და მალე მთელ ორგანიზმს მოედო — ყველგან და ყველგანში პირველობას ესწრაფვოდა. თუ ღმერთი გაუწყრებოდა და რაიმე საქმეში პირველი ვერ იქნებოდა, მართალია, დაიბოღმებოდა, მაგრამ მაშინვე მიატოვებდა, განერიდებოდა, როგორც, მაგალითად, ფეხბურთის მიანება თავი. არ მცალია, მაგისი დრო ახლა არ მაქვსო, მოიმიზეზა, სინამდვილეში კი არ უნდოდა ხალხს ეთქვა, ხიდაშელს ითარ გორდამე სჯობს, უკეთ თამაშობსო.

რას იზამ, ასეა — პატივმოყვარეობას თან სდევს ბოღმა და შური, შური კი, დაიდ ქართველი მეცნიერის ტბელ აბუსერისძის სიტყვით, სხვა არა არის რა, თუ არა „ყოველთა ბოროტთა დასაბამი და ძვირად მომწყვედველი ნათესავისა კაცთასა“. ქედმაღალსა და ყოყონას ყოველთვის გულში ლახვარივით ესობა სხვისი წარმატება, ვერ ეგუება იმ აზრს, რომ არა მარტო თვითონ, სხვაც ყოფილა ნიჭიერი, სხვაც ყოფილა რაიმე გამოჩენილი. ლევან ხიდაშელიც არ იყო ამ მხრივ გამოჩენილი. მისი სტუდენტობის მეგობარი ნოდარ ერგაძე იხსენებს: „ვერ იტანდა, როცა სხვისი მოხსენება უფრო მეტ ხმაურსა და კამათს გამოიწვევდა. პირველობა უყვარდა“. მეგობრებმა ისიც გაიხსენეს,

თუ როგორ გამომწვეველ დატოვა დარბაზი ჯერ კიდევ პირველკურსელმა ლევან ხიდაშელმა, როცა დაინახა, რომ ცნობილ მოსკოველ პროფესორ ნესტოროვს ლექციის დროს უფროსკურსელი სტუდენტები შეკითხვებს აძლევდნენ, თვითონაც ლაპარაკობდნენ მეტალურგიულ პროცესებზე, მას კი, ხიდაშელს, არაფრით არ შეეძლო თავის გამოჩენა — პირველ კურსზე სპეციალურ საგნებს არ სწავლობდნენ. ხიდაშელს ის-ღა დარჩენოდა, ამ არასასიამოვნო სანახაობას ვასცლოდა, მაგრამ წასვლის წინ ბიჭებს ჩაულაპარაკა, „არა უშავს, ჩვენი დროც დადგება“.

ვერც იმას ეგუებოდა, თურმე, ლევან ხიდაშელი, რომ პროფესორმა გორდელაძემ მასზე მეტი იცოდა და შური კლავდა, გული ბოღმით ეცხებოდა. „სტუდენტობის დროსაც ვგრძნობდი, — უთხრა მან ვაჟა დვალისშვილს, — რომ გორდელაძეზე მძლავრად ვიდექი. შეიძლება ის მაშინ ჩემზე კარგი სპეციალისტი იყო, გეთანხმები. მე რომ მისდენი პრაქტიკული გამოცდილება დამეგროვებინა, სულ სამი წელიწადი მჭირდებოდა. სამაგიეროდ, მე მასზე ძლიერი ვიყავი, როგორც პიროვნება... ისეთი თვისებებით ვიყავი ძლიერი, რომლებსაც იგი ვერასოდეს ვერ შეიძენა“. ამ აღსარებამ და ღვარძლმა, გულში რომ ჰქონია ხიდაშელს კაცისა, რომელიც სწორად დიდი კმაყოფილებით ამბობდა, „ჩვენზე უკეთესი ბიჭები გვეზრდებიან და პირველ რიგში ლევან ხიდაშელს ასახელებდა“, სურდა იგი საპროფესოროდ მოემზადებინა, — გააოცა და ერთიანად შესძრა ვაჟა დვალისშვილი. იგი ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ასეთი გულბოროტი და ღვარძლიანი იყო მისი მეგობარი.

ასეთივე ქედმაღალი, ყოყონა და შურიანი გახლდა ლევან ხიდაშელი ყოფაცხოვრებაშიც. როცა ახალგაზრდობილი ნათია საცეკვაოდ გაიწვია და შეაქო, კარგად ცეკვაოვო, ქალიშვილმა უთხრა, ეგ დღეს ხუთჯერ მოვისმინე, რა არის, რომ ყველა ბიჭი დიალოგს ამ სიტყვებით იწყებთო. ესღა აკლდა ლევან ხიდაშელს! ეს როგორ კადრეს, როგორ გაუტოლეს იგი ვიღაც ბიჭ-ბუჭებს, როგორ არ გამოარჩიეს მათგან! იგი ბრაზისაგან გაფითრდა — „მე მეექვსე ბიჭი არა ვარ, მე ვარ ლევან ხიდაშელიო“.

ზოგჯერ ხიდაშელის ქედმაღლობა, ყოყონობა და შური ძლიერ მახინჯი ფორმით ვლინდებოდა, როგორც ეს მოხდა ოპერის თეატრში. მან ვერ აიტანა, რომ მისი თანმხლები ქალიშვილი აღტაცებით მისჩერებოდა გასტროლიორ მომღერალს, ლამაზ ქაბუქს, მაშინ კი მთლად გადაიარა, როცა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ გოგონამ სთხოვა, „დაველოდოთ, მაინტერესებს ცხოვრებაში როგორიაო“. ხიდაშელი, აბა, რის ხიდაშელი იყო, რომ ასეთი დამცირება ვინმესთვის ეპატიებინა! წავიდა, ტორტი იყიდა, ავტორაფების წერით ვართულ მომღერალს გაუწოდა და... პირდაპირ სახეში სთხლიშა. ასე რომ, ლევან ხიდაშელს არც თავხედობა აკლდა, ქედმაღლობის ეს ღვიძლი ძმა, ბოროტებას რომ ესამანება.

ლევან ხიდაშელის კიდევ ერთ თვისებას უნდა გავუსვათ სახი — ესაა მკაცრი რაციონალიზმი, ასე რომ ახასიათებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქას. იგი იცოცხვებოდა ჰერეტს ყველაფერს, განუსჯელად ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამს, ამა თუ იმ მოვლენას, ფაქტს იმის მიხედვით აფასებს და სწონის, რამდენად სასარგებლოა იგი პირადად მისთვის, მისი აღზევებისათვის. ხიდაშელის რაციონალიზმი და პრაგმატიზმი იქამდე მიდის, რომ იმასაც კი ანგარიშობს, აკოცოს თუ არა საყვარელ ქალიშვილს. გახსოვთ, ალბათ, ტარიელი რომ ნესტან-დარეჯანს შეეყარა, გრძნობამ აიტანა, მზეთუნახაის ალერსი მოუნდა, მაგრამ ვერ შეკადრა — „მწადდა, მაგრამ ვერ შევქმართე შემოქმედება, შემოხვევაო“. ხიდაშელიც აღმოჩნდა მსგავს მდგომარეობაში — ჯვრის მონასტრის ეზოში მარტოღმარტო დარჩა ნათიასთან და ისიც გრძნობამ აიტანა, მაგრამ არ აკოცა საყვარელ ქალიშვილს, არ აკოცა არა იმიტომ, რომ ვერ შეკადრა, ან გაბედულებამ უღალატა, მას არც კადნიერება აკლდა და არც გაბედულება... ამ მწვევე ემოციურ სი-




ტუაციაშიც იგი მშრალი რაციონალისტი და პრაგმატიკი დარჩა, იმაზე ფერხედარად ალერსი ხელს შეუწყობდა თუ აგებდა მათს სიყვარულს და, ბოლოს, დაასკვნა: „შეიძლება, არ შეიძლება, არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება“. არც აიოცა და ვარაუდი გაუშარ- თლდა: ქალიშვილმა ირწმუნა, რომ მათი სიყვარული წმინდა იყო, ლევანს იგი უყვარდა, უყვარდა გულწრფელად და ამ დიდ ადამიანურ გრძნობას პატივს სცემდა.

მშრალი რაციონალისტი იყო ლევან ზღაპერი ქარხანაში, კოლეგეციტან ურთიერ- თობაშიც. უკვე ვთქვით, რომ იგი ხელს უმარბოვდა ყველას, ვისაც კი რაიმე დახმარება ესაჭიროებოდა. მათს ლხინშიც მონაწილეობდა. მაგრამ ამას აკეთებდა ათა იმიტომ, რომ კეთილი იყო და სიყვითე გულში არ ეტეოდა. არა, ამ შემთხვევაშიც იგი პრაგმა- ტისტად რჩებოდა. მას თვით სიყვითე კი არ გვრიდა გამოყვითებას, არამედ თავისი პერ- სონის განდიდება. ეს თავად აღიარა ვაჟა დვალისშვილთან საუბარში: „მუშებს თავს ვეე- ლებოდი, მათი ავადმყოფი ბავშვებისა და ცოლების ექიმებზე დავრბოდი. არაყს მათთან ერთად ვსვამდი ლუფხანაში. საუბარშიც მათ კილოზე ვუქცევდი. შენ თუ გგონია, ეს ძალიან მსიამოვნებდა“. დიახ, არ სიამოვნებდა, მაგრამ მანაც აკეთებდა, რამეთუ ეს მისი აღზევებისათვის იყო საჭირო.

კაცმა რომ თქვას, საკეთე ხომ მაინც სიკეთეა, ანგარებით სჩადის მას მავანი თუ არა. „მართალია, — ნათქვამია ამის თაობაზე ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში“, — არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმოდნენ მარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებო, მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედა ჰყიდიან. ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე, თუნდ გამოვიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს, დაე, საქმე საქებური იყოს... ამ სიტყვებს მღვდელი ამბობს და მან კეთილმოქმედის გულისწადი- ლის განჩრეკა დმერთს მიანდო, ჩვენ კი, ცხადია, ასე ვერ მოვიქცევით. ერთი კი არის: თუ ხიდაშელი სულხან-საბას „მალვით მადლის“ მიმდევარი არ იყო, არც თავისი სიკეთის აფორებდა უყვარდა, ერჩივნა სხვებს ელაპარაკათ მასზე, ხოლო თავად თავმ- დაბლობანა ეთამაშა. ნოდარ ერგაქეს თუ ხუმრობით უთხრა, საამქროს კრებამ სიასლე რომ მოიწონა, „ეგ ჩემი დამსახურებაა, ისეთი სიტყვა ვთქვი, საერთო გეგმა მგონი მთელ ქარხანაში დანერგონო“, სამაგიეროდ პარტიუტროს მდივნის მადლობის გამოზნა- ტველ ეესტს ისეთი ეესტით უპასუხა, თითქოს უთხრა, მადლობად არ დირს, „სამაგი- სო არაფერი გამიკეთებიაო“, ე. ი. ამ შემთხვევაში თავმდაბლობა ამჯობინა, რადგან ეს უფრო წადგებოდა, ხელს შეუწყობდა მისი ცხოვრებისეული გეგმის ხორცშესხმას.

პატივმოყვარეობას, მშრალ რაციონალიზმსა და პრაგმატიზმს ხიდაშელში გარდუჯე- ლად უნდა ჩაეკლა ადამიანების გულწრფელი სიყვარული და ჩაკლა კიდევაც. არათუ გარეშენი, ხიდაშელს მეგობრებიც კი არ უყვარდა, თუმცა პატივს სცემდა მათ, ნათ- სავებთან წასვლას სიკვდილი ერჩია, მშობლებთან, ახლობლებთან ურთიერთობაც უტირ- და. იგი თვითონაც გრძნობდა, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლებოდა. „დედაც მიყვარს, მამაც, ძმაც, რძალიც და ძმისშვილებიც, მათთან ერთად ცხოვრება კი არ შემიძლია“. — აღიარებდა იგი და ერთს სული ჰქონდა, სანამ რუსთავში ცალკე ბინას მისცემდნენ, რომ მათ მოშორებოდა.

მართალია, იყო ერთი ადგილი, სადაც ლევან ხიდაშელს გული მიუწყევდა, — ნინ- დაქების „სალონი“. აქ თავს იყრიდნენ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „უსაქმური და კრეტინი ხალხი“, ფუქსავატი გოგობიკები. რამდენადაც მრულოდნელოდ უნდა გვეჩემ- ნოს, ამ „სალონიში“ იგი თავს მეშვიდე ცაზე, ლაღად გრძნობდა, სიამოვნებდა, რომ მისი უპირატესობა აქ აშკარა და უდავო იყო, ყველანი ელაქტებოდნენ, ფეხქვეშ ეგებოდ- ნენ. ამაყ და დამცინავ ხიდაშელს სხვა რაღა უნდოდა! სამწუხაროდ, იგი ვერც კი გრძნობდა, რომ ამ სულიერად დატაკ ადამიანებთან მისი ურთიერთობა მისსავე სულ- ერ სიღატაკესაც მოწმობდა. რას იზამ, ასეც ხდება. ხალხს დიდი ნაწია შეუმჩნევაო.



რომ არიან ადამიანები, რომლებიც სხვის თვალში ბეწვს ხედავენ, თავიანთ თვალში კი დვირესაც ვერა. ერთხელ ხიდაშელმა რეზო ქავთარაძეს რესტორანში ნამაკაცთა ახსნაზე მიუთითა და უთხრა: „ისინი საქმაოდ ცნობილი ადამიანები არიან. კაოვი თახამ-დებობებიც უკავიათ. აბა მიდი და მავათ ლაპარაკს დაუგდე ყური, მავათ მისწრაფებებს გაეცანი. იდეალები, მუსიკა, ლიტერატურა, ფერწერა, მთელი ლამაზი სამყარო მავათ-შიღმა რჩება. რაღაც ამაღლებული რომ თქვა, შეიძლება დაგციხონ კიდევ“. კაოვი და პატროსანი, ვთქვათ ასეც იყო, მაგრამ საკითხავია, თვითონ მისთვის არსებობდა კი „ლა-მაზი სამყარო?“ მინდაძეების „სალონი“ რა იდეალებზე ლაპარაკობდნენ?

ერთი სიტყვით, ლევან ხიდაშელი ის არ იყო, რა სახეც ვდო. ამ ქვეყნად ვიღვით დადიოდა. როცა სჭირდებოდა, უსირცხვილოდ ტყუოდა. რეზო ქავთარაძეს ეუბნებოდა: „ერთ დროს მართლაც ვოცნებობდი მეცნიერებაზე. დიდი ხანია ამ სურვილმა გამიარა. ჩემი საქმე არ არის ლაბორატორიაში ჯდომა და ცდების ჩატარება“, სინამდვილეში კი საკანდიდატო დისერტაციას წერდა, ხოლო ქარხნის მთავარ ინჟინერს მისეილ ვიორგ-ძეს უთხრა, მართალია, დისერტაციას ვიცავ, მაგრამ „ქარხნიდან წასვლა არც კი მიფი-ქრია, აზრადაც არ მომსჯელიაო“, მაშინ როცა ქარხნის დატოვება მართლაც უნდოდა, ოღონდ სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ. ასეთივე ორპირი და ცრუ იყო იგი პირად ცხოვრებაშიც.

არა მგონია, მკითხველი არ დამეთანხმოს, რომ ლევან ხიდაშელს ფაქტობრივად მარტო თავისი თავი უყვარდა და პირადი აღზევება, სახელის მოხვეჭა, როგორც სწორად შენიშნა ლინა ხიხაძემ, მანიაკურ მისწრაფებად ექცა — მზად იყო მისთვის ყველაფერი შეეწირა. იგი უკიდურესი ინდივიდუალისტი გახდა და თვითონ გამოეთიშა საზოგადო-ებას, არავის და არაფერს არ უკავშირებდა თავის თავს. უგემური „მე“ რომ წიხ წე-მოსწია, „ჩვენ“ სულ დაიფრეა. არ უნდა შეგვეცდინოს იმ ფაქტმა, რომ ლევან ხიდა-შელის, როგორც სპეციალისტის, საქმიანობა ობიექტურად სასარგებლო იყო საზოგადო-ებისათვის, ემთხვეოდა კოლექტივის ინტერესებს. როცა ამა თუ იმ ადამიანს ზნეობ-რივად ვაფასებთ, უნდა გავითვალისწინოთ, არა მარტო თვით საქციელი და მისი შედეგები, არამედ პიროვნების მიზანი, შინაგანი მოტივები, მისი დამოკიდებულება თა-ვისივე მოქმედებისადმი. ბანდიტი რომ ბანდიტს მოჰკლავს, ნუ ვიფიქრებთ, თათქოს საზოგადოებისათვის სურდა საშიში პიროვნება მოეცილებინა, რათა ხალხს უშიშრად ეცხოვრა — მას სულ სხვა მიზანი ამოძრავებს: მოსპოს მეტოქე. ხიდაშე-ლი თუ წელზე ფეხს ადგამდა და თავდაუზოგავად შრომობდა, მხოლოდ პირადი აღზე-ვებისათვის. მან კარგად იცოდა, რომ სხვანაირად ჩვენს საზოგადოებაში მიზანს ვერ მიაღწევდა, სახელოვანი კაცი ვერ გახდებოდა. მისი მთელი უბედურება ის იყო, რომ არ ჰქონდა კომუნისტური მსოფლმხედველობა, არ ყოფილა იდეური კაცი, რაიმე ამაღ-ლებული იდეალისათვის მებრძოლი.

ცნობილია, რომ თითოეული ადამიანის ზნეობრივი გაწვრთნილობა, მორალური სა-სუხისმგებლობა სრულად ვლინდება კონფლიქტურ სიტუაციაში, როცა პიროვნების წი-ნაზე დგება ალტერნატივა — ან ასე, ან ისე. ცხადია, სწორ არჩევანს ის ვადაეუბნებ, ვინც ზნევეთილია, ვისთვისაც მოქალაქეობრივი მოვალეობა რაღაც აბსტრაქცია კი არა, შინაგანი მოტივია, ვისაც ღრმად შეუვინა დიდი ილიას შეგონების სიმართლე, რომ „თვითთვის ინტერესი საყოველთაო ინტერესზეა ზედ-გამობმული“ და მტკიცედ სჯოა, სწამს, რომ გადამწყვეტ მომენტში სწორედ ისე უნდა მოიქცეს, როგორც ამჯობინა, და არა სხვანაირად.

ლექსო არჩემაშვილის ტრავმამ საგონებელში ჩაავდო და ზნეობრივი ალტერნატივის წინაშე დააყენა ლევან ხიდაშელი. არა, იგი სრულებით არ შეუწუხებია დაინგალიდებუ-ლი მუშისა და მისი ოჯახის ბედს, ამ უმძიმეს ტრაგიკულ მომენტშიც იგი მხოლოდ თა-



ვის თავზე, თავის მომავალზე ფიქრობდა. „დაიღუპა, ყველაფერი დაიღუპა“ იყო პირველი, რამაც თავში გაუქვდა ხიდაშელს, როცა ტრაგედიის ამბავი შეიტყობდა. ბედნიერად კი ამის შემდეგ გმირობას? „დაიღუპა, ყველაფერი დაიღუპა“ ჭიუტად და მოსოტონურად ჩასძახობდა ვიღაც ყურში და რაღაც უნდა ეფრონა გმირობის გადასარიენად. მისი გონება გამალეებით მუშაობდა, ხსნას ეძებდა და იპოვა კიდევ — ყველაფერი მუშაობდა უნდა დაბრალდებოდა, მით უმეტეს, რომ ხიდაშელს ამის გამო საყვედურს ვერაფერი ვერცხვოდა — იგი სრულ სიმართლეს იტყოდა, ლექსო ხომ დამენათევი და ნამთვრალევი იყო! მართალია, არჩემაშვილს. ამ შემთხვევაში პენსიას შეუშინებდნენ, სრულ ავლფას აღარ მისცემდნენ, მაგრამ ეს სრულებითაც არ აწუხებდა ლევან ხიდაშელს, თუმცა ხალხის დასაჩახად და სინდისის მოსაწმენდად ფული გაუგზავნა, მაგრამ უკანვე დაუბრუნეს, ისედაც მადლობელი ვაიო.

მეოცედა, თავიანთი ნაქები ცვლის უფროსის რა დიდი იმედი ჰქონდათ ამხანაგის ბედით გულდამწვარ მუშებს! როგორ სჯეროდათ, რომ იგი საკითხს მუშის სასარგებლოდ გადაწყვეტდა! „ფოლადის გადმოხეთქას ლუქელს დაბოლოებს, დაჯერებით ამბობდა ვასო ხარაიძე, — ვაჟაკი კაცია, საყვედურს არ შეუშინდება და არჩემაშვილის ბავშვებს არ გასწირავს“. შეიძლება სხვა დროს ლევან ხიდაშელს მართლაც არ გაეწირა ლექსო და მისი ოჯახი, საყვედურის მართლაც არ შეშინებოდა, მუშების გული რომ მოეგო და ქებით ცაში აეყვანათ თავიანთი ცვლის უფროსი, შეხეთ, რა ღვთისნიერი ხელმძღვანელი გვეყავსო, მაგრამ ახლა ამას ვერ იზამდა, საექვრდ ვერ გახდიდა გმირობას. ხიდაშელის გულისთქმა, მისი საქციელის შინაგანი მოტივი სწორად გამოიძნო რეზო ქავთარაძემ და ეს პირში უთხრა თავის მეგობარს: „შენ რომ ზოგიერთ რამეზე თვალი დაგებუჭა, უფრო კეთილ საქმეს არ გააკეთებდი? მაგრამ შეგეშინდა, დიხ, შეგეშინდა, რომ გმირობაზე აღარ წარგადგენდნენ“. ლევანს მკვდრის ფერი დაეღო. არ ეგონა, თუ მიუხედავოდნენ, რატომ გასწირა ლექსო, მით უფრო, თუ გაუბედვარდნენ და ასე უბოღიშოდ პირში ეტყოდნენ სიმართლეს.

ოცთხნის შემდეგ, როცა აღსარება გაანდო ვაჟა დვალისვილს და გააცნო თავისი ცხოვრებისეული გეგმა, რას ესწრაფოდა, რა აინტერესებდა და რა იყო მისთვის ძვირფასი, ლევან ხიდაშელმა თვითონ აღიარა, რომ ლექსო წინსვლის გზაზე გადაეღობა. „ყველაფერი ჩემი გეგმით მიდიოდა, — უთხრა მან მეგობარს, — დიდმა წვალებამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ახლა, როცა თითქმის ფონს ვიყავი გასული, ერთმა დამენათევა და ნამთვრალევა კაცმა კინაღამ ყველაფერი წყალში ჩამიყარა. რეზო ქავთარაძეს რა ენაღვლება, აბა თვითონ გადაუტანა ამდენი რამე, მაშინ ენახავდი, რა ჰმაზე ამღერებდა. მაგრამ ხომ გაგიგონია — სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“.

სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო...

ამას ამბობს კაცი, რომელსაც არასოდეს სხვისი ჭირი გულთან არ მიუტანია, არასოდეს სხვისი გაჭირვება გულწრფელად არ გაუზიარებია!

ყველა მიხვდა, რომ ლევან ხიდაშელი ის არ იყო, რაც ეგონათ. უპირველეს ყოვლისა, მუშებს გაუტყდათ გული. ყველაფერს იფიქრებდნენ, მაგრამ მათი ცვლის უფროსი თუ ასე უღვთოდ გაიმეტებდა ლექსოს, აზრადაც არ მოუფიქროდათ. განსაკუთრებით დააღონა ხიდაშელის საქციელმა ოსტატი ვასო ხარაიძე. მის წარმოდგენაში იგი „რადაც საოცარი, ზღაპრული პიროვნება იყო“, ახლა კი თავს ისე გრძნობდა, თითქოს უძვირფასესი რამ დაკარგა, „ვერ გავგო, რა უფრო სწყინდა, ლექსოს დასახიჩრება თუ ის, რომ ლევანზე რწმენა შეერყა. მის სათაყვანებელ კაცს რაღაც უზარმაზარი ჩრდილი დაეცა“. არანაკლებ მძაფრად განიცადეს ხიდაშელის ანგარება მისმა მეგობრებმა. თუ აქამომდე რეზო ქავთარაძეს ეჭვი ეპარებოდა მის პატიოსნებაში (ზოგჯერ ისეთ რამეს გააკეთებდა!), ახლა უკვე საეჭვო არაფერი აღარ იყო. თვალი აეხილა ვაჟა დვალისვილ-



საც. ხიდაშელის გრძელმა აღსარებამ, იმის აღიარებამ, რომ არჩევაშვილი გმირობის  
გადასარჩევად გასწიოა, ძეძირუხუნი იგი. ლევანი მისთვის აღარ წაოთადგებდა ძრავაშვილს.  
უცნობიან განტოლებას — ყველაფერი ხანული გახდა და სხოლოდ ის უკვიოდა, „ეს  
ბოროტი ადამიანი როგორ იყო ჩემი სათაყვანებელი მეგობარი, ჩემი კერპი“.

ხდება ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში — უეღუტრებას უეღუტრება ეძატება, წეც-  
ლომას შეცდომა მოსდევს, თითქოს ჯაჭუტრი რეაქციაო. საწარმოში რომ წაიბოროტოც,  
ვითომ ეს არ კმაროდა, ხიდაშელს პიოად ცხოვრებაშიც დაუხსლტდა ფენი — სივრცის  
მარინე მინდაძე გაუბატოტრა. და როცა ადრე დილით შინ მარინეს ბაბა ეწვია, „გოგონა-  
ბაში ელექტრონული მანქანის სისწრაფით გაიბავოიმა აბას ოა ძრავებოდა. აოსეა-  
შვილის აბიავი ამ უბედურებასთან მონავონარი იქნებოდა“. მაგრამ მარინეს გულისათვის  
თავის გეგმებს ხომ არ დაღუბავდა! ხიდაშელი ის კაცი არ იყო, გაჭირვება ოომ ძღვეს  
და ფაონშაღს ჰყრის. „თუ ამ ჩინიდან გამოვძვეოა, — ფეკრობდა იგი, — მეოე ქე  
ვიცი! ისეე ძველებურად გავშლი ფრტებს“. გამოსავლი ერთი იყო — მარინე უნდა წე-  
ერთო და შერთო კიდევ, თუშეცა ის კი არა, ნათია უყვარდა, და კიდევ ორი ადამიან-  
ნი გააუბედურა.

არ იყო მსხვერპლი, რომელიც ხიდაშელს არ გავლო პატივმოყვარეობისათვის, პი-  
რადი განდიდებისა და აღწვევებისათვის. მას არაფრად არ უღირდა სხვათა ზედი!

ადამიანი კი მაშინ ხდება ნამდვილი ადამიანი, როცა წინ ლამპრად წაიძვავოებს  
სხვათა სიყვარულს. მოყვასის გულწრფელი სიყვარული, თანავრძინება და დანაშოვნა  
უმიღლესი სიყვთეა. არავის არ შეუძლია საზოგადოებისაგან გასართოვებით, ცალკე იც-  
ხოგროს. გვინდა თუ არ გვინდა, ყოველდღე გვიხდება ურთიერთობა სხვა ადამიანებთან  
და, თუ ერთმანეთს პატივი არ ვეცით, ერთმანეთის ჰირი და ლხინი არ გავიზარდო,  
მარტო ჩენთვის ვიზრუნეთ და საკუთარი „მე“ სამყაროს ცენტრად მივიჩნიეთ, როგო-  
რღა მოვთავსდებით საზოგადოებაში, რას დამსგავსება ჩენი ცხოვრება? ყველამ გუ-  
ლში უნდა ჩაიბეჭდოთ დიდი ილიას სიტყვები: „სხვა შეხთვის და შენ სხვისთვის. აი,  
გზა ცხოვრებისა“. ვინც ამ გზიდან გადაუხვევს, მიზნად დაისახავს ადამიანებზე ამაღ-  
ლებას და არა მათი ბედნიერებისათვის ზრუნვას, ლევან ხიდაშელის ბედი არ აცდენა.  
ნუ მოგვატყუებს ის ფაქტი, რომ ხიდაშელმა ჩინიდან გამოსვლა მოახერხა, მიზანსაც  
მიადწია: გმირობასაც მიანიჭებდნენ და მარტენის საამქროს უფროსიც ვაზდებოდა,  
დისერტაციასაც დაიცავდა, მაგრამ რად დაუჯდა ეს წარმატება, ვახდა კი ბედნიერი?

როცა მოვლენები სასიკეთოდ შეტრიალდა, გამოუვალ ჩიხს თავი დააღწია. აუვან  
ხიდაშელს ხასიათი გამოუყვთდა, ძველი რწმენა დაუბრუნდა, ისეე ლაღად იგრანო  
თავი. სიამოვნებდა იმის წარმოადგენა, თუ რა ხმაური მოჰყვებოდა მის დისერტაციას,  
რომელსაც საღოქტორო დისერტაციის ტოღფასს ვახდიდა სოციალისტური შრომის  
გმირისა და მარტენის საამქროს უფროსის ტიტულები. მაგრამ ეს რწმენა და სიხარული  
ხიდაშელს მალე გაუწელდა — იგი ხომ თითქმის სულ მარტრ დარჩა. ძუშეზი თეღს  
არდებდნენ, მეგობრები შემოეცალნენ, ნათიაც დაკარგა და განვილი ექვსი წლის მან-  
ძიღზე პირველად იგრძნო მარტოობის სიმძიმელი, პირველად მოუნდა ეღაც გვეოღოთ  
ჰყოლოდა. მაგრამ ვინ? ახლავა მიხვდა, რომ „თავის მიზანს შესწირა მეგობრები და  
თავმოყვარეობა, სიამაყე და სიყვარული. შესწირა ნათია“.

ასეთ დღეში ლევან ხიდაშელი იმიტომ აღმოჩნდა, რომ დაივიწყა მთავარი — კოგო  
ინეინერი, თუნდაც მეცნიერი, კარგი ადამიანიც უნდა იყოს, ჰქონდეს საზოგადოებრივი  
იდელი, თავისი შრომა მიანდეს არა პირადი განდიდების საშუალებად, არამედ პატ-  
რიოტულ-მოქალაქეობრივ მოვალეობად ხალხის, საშობლოს წინაშე, ამყობდეს იბით,  
რომ მისი შრომა, როგორც მიაიკოვსკიმ თქვა, ერწყმის რესპუბლიკის შრომას. როცა  
ადამიანს გულს არ უთბობს მოყვასის სიყვარული, კმაყოფილებას არ ანიჭებს სხვის-

თვის მიგებულ სიკეთე და ამ სიკეთეს სახელზე ჰყიდის, იგი კარგავს სოლიდარობის გრძნობას და გულცივი ეგოისტი ხდება. ასეთი კაცი ბედნიერი ვერ იქნება, სამეფო-ოლადი ბედნიერება შეიძლება მოვიპოვოთ საზოგადოებაში და არა მის გარეთ. „მხოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შეწყვენა კბადავს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელი ხალხისას, ისე კერძო კაცისას“ — შეგვაგონებდა ბრძენი ილია და არავის არ აქვს უფლება ეს შეგონება დაივიწყოს ან უგულვებელყოს.

„მე შენ მეტოდები, გესმის?“ — უთხრა ვაჟა დვალისეილმა ლევან ხიდაშელს, მისი გრძელი აღსარება რომ მოისმინა, და განაგრძო: „შენ საბრალო, უბედური ადამიანი ყოფილხარ. არ მეგონა, თუ ასეთი პატარა კაცი იყავი“. და ძნელია არ დავეთანხმოთ ვაჟა დვალისეილს. აქტიური, ენერგიული, ნიჭიერი, მხოლოდ თავისი შრომით გამორჩეული ხიდაშელი პატარა და უბედურ კაცად აქცია ტექნიციზმმა, იდეური ცხოვრებისაგან განდგომამ, ეგოისტურმა მისწრაფებებმა. მისი მსოფლმხედველობა, იდეური შეგნება ამკარად ჩამორჩა მისსავე ტექნიკური ცოდნის დონეს. ამის გამო ერთმანეთს ვერ შეუხამა პირადი შემოქმედებითი აღმადრენა და ზნეობის მოთხოვნები. ჩვენი საბჭოური ცხოვრების უმთავრესი პრინციპები: ჰუმანიზმი (ადამიანის პატივისცემა და მისთვის უანგარო ზრუნვა), კოლექტივიზმი (მეგობრობა, ურთიერთდახმარება ანუ შეწყვენა), სოლიდარობა ხიდაშელისათვის უცხოა და ეს ქმნის კონფლიქტს. ამის მიუხედავად, იგი ჩვენს ბანაკშია, ჩვენს საქმეს, ქვეყნის სასარგებლო საქმეს აკეთებს. კიდევ მეტი — ჩვენ გვეპირდება ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, საქმის კაცები, როგორც ლევან ხიდაშელია, ოღონდ ზნეობრივად განწყენილნი, კომუნისტური იდეალებით გამსჭვალულნი. ჩამოაცილებთ ლევან ხიდაშელს ზნეობრივი მანკიერებანი და ჩვენს წინაშე წარმოდგება შესანიშნავი ადამიანი, ნამდვილი საქმის კაცი. ამიტომ უნდა დავეთანხმოთ გურამ გვერდუთელს — ხიდაშელს „ვერ მივატოვებთ, ვერ გავეწიარებთ“.

ცხოვრებამ დასაჯა ლევან ხიდაშელი პატივმოყვარეობისა და ქედმაღლობისათვის, ისეთი ზნეობრივი თვისებებისათვის, რომლებიც არ შეეფერებოდა საბჭოთა ადამიანს, და იგი მარტო თავის ანაბარა დატოვა. ეს მარტოობა, როგორც ვთქვით, მძიმე ტვირთად დააწვა მის სულსა და გულს, თვალი აუხილა და მიასვენდრა, რომ ისე არ ცხოვრობდა, როგორც საჭირო იყო, როგორც დრო მოითხოვდა. ნათიას საანგარიშო კონცერტმა ქალიშვილისათვის მიყენებულმა სულიერმა ტრავმამ იგი საბოლოოდ გამოაფხიზლა. ავტომანქანის გიჟური რბოლა, რომლითაც რომანი მთავრდება, ისე უნდა გავიგოთ, რომ ხიდაშელი ისწრაფვის გაეცალოს ძველს, უარყოს ცხოვრების ის ნიჩი, ამდენი უსიამოვნება რომ მოუტანა არა მარტო მას, არამედ სხვებსაც. ამას ისიც ადასტურებს, რომ დაშავებულ ხიდაშელს ელანდება თავისი მეგობრები — რეზო, ნოდარი, ვაჟა, უხარია, რომ ისინი მასთან არიან, არ მიატოვეს, ელანდება ნათია, რომელსაც ეფიცება, კიდევ უფრო მიყვარხარო.

კურთხეულ იყოს ეს მოლანდება — ხიდაშელის ცხოვრებაში გარდატეხის, მისი ზნეობრივი გარდაქმნის მაცნე!

იმედი ვიქონიით, რომ ლევან ხიდაშელი გადარჩება და დაიწყებს ახალ ცხოვრებას, მაღალი საზოგადოებრივი იდეალითა და ადამიანის სიყვარულით გაცისკროვნებულ ცხოვრებას.

ჩვენც ვაჭვროდეს და გვწამდეს, რომ „კაცი ვერასდროს ბედნიერად ვერ იგრძნობს თავს, თუ მისი ცხოვრება და საქმიანობა ადამიანების სიყვარულით არ აოს გაყვნიებული“.





რუსიელ შამელაშვილი

ილია კრიტიკის რაობისა და დანიშნულების შესახებ

1861 წელს ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ „ციცის“ აპრილის ნომერში დაბეჭდა პირველი საპოლემიკო სტატია სათაურით „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილი“-ს თარგმანზედა“, რომელიც მოწმენდილ ცაზე მების გავარდნას ჰვადდა, მოწინავე საზოგადოებამ იგი გაზაფხულის მათუწყებელ გრვეინვად აღიქვა. აქ წინა პლანზე დაყენებულია ქართული ორთოგრაფიის საკითხები, დამოკიდებულება ე. წ. ძველ ასოებთან, თარგმანის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, მწერლის სტილი... ილიამ ენის სისწორე, სიტხადე და სიმარტივე ჩათვალა მწერლის სტილის განმსაზღვრელად. ამ წერილმა დასაბამი მისცა ე. წ. „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოში გასული საუკუნის 60-70-იან წლებში. გარდა ამისა, აღნიშნულ სტატიაში გამოთქმულია საღი მოსაზრებანი ლიტერატურის ისტორიის არაერთ საკითხზე.

რა თქმა უნდა, ძველი თაობის წარმომადგენლები დუმილით როდი შეხვდნენ აღნიშნულ სტატიას. მათ უპასუხეს „ორიოდე სიტყვას“... მოპასუხენი იყვნენ „ციცის“ თანამშრომლები, რომლებიც ილაშქრებდნენ იმ სიახლეთა წინააღმდეგ, რასაც ახალგაზრდა ავტორი ვეთავაზობდა, სახელდობრ ბ. ბელინსკის მოსაზრებათა გადმოტანა საქართველოში არქაისტებს დაუშვებლად მიაჩნდათ. ილიამ ზომ ქართული ლიტერატურის ისტორიაში პირველმა დაამკვიდრა ხელოვნების ბელინსკისეული განსაზღვრა! სწორედ მან გადაუშალა ქართველ მკითხველთ ხელოვნების რეალისტური პრინციპები, რასაც უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიისათვის.

1861 წლის „ციცის“ ივნისის ნომერში, ილიამ დაბეჭდა თავისი ცნობილი „პასუხი“, რომელიც წარმოადგენს უძვირფასეს მასალას როგორც მწერლის ესთეტიკური მრწამსის გასაგებად. ისე ქართული კრიტიკული აზრის შესასწავლად.

ამ საპოლემიკო სტატიას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს მ. ბელინსკის სიტყვები, რითაც ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა თავისი შეხედულებების სულიერ ნათესაობას რუსეთის განმანათლებელთა იდეებთან. ილია ოპონენტებს უკუიწინებს ცნებების არასწორად შარებას, ფაქტების გაყალბებასა და თეზისის შეცვლას

„პასუხში“ ილიამ საბოლოოდ გააშვილა და ჩამოხსნა ნიღაბი კონსერვატორულ ძველ თაობას და ახალი სხივი შეჰმატა პირველ საპოლემიკო წერილში განვითარებულ იდეებს, მის რეალისტურ-პროგრესულ შეხედულებებს. აქ მთელი სისრულით წარმოაჩინა



ნა ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვათა ხელოვნების რეალისტურული თეორია.

ჩვენ ილიას პუბლიცისტიკიდან გვაინტერესებს მხოლოდ ერთი კონკრეტული საკითხი — როგორ არის მასში მოცემული კრიტიკის არსი და დანიშნულება.

დაბეჭდვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1861 წლის ივნისამდე ქართულ სინამდვილეში არა თუ სიტყვა „კრიტიკის“ მართებული და ამომწურავი დეფინიცია, არამედ თვითონ ეს ცნებაც („კრიტიკა“) კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა. ილია იყო პირველი იმეორალი, ვინც გაბედულად შემოიტანა ლიტერატურის ისტორიაში ეს სიტყვა და თანაც პირველად მოგვცა ამ ცნების ბრწყინვალე, ამომწურავი, უნაკლო დეფინიცია, მეცნიერულად სწორი და პრაქტიკულად მისაღები განსაზღვრა.

სანამ კრიტიკის ილიასეულ დეფინიციას შევეხებოდეთ. მანამ უნდა მოვიგონოთ ვ. ი. ლენინის მოსაზრება საგნის, ცნების დეფინიციაზე. ვ. ი. ლენინი წერდა: „რას ნიშნავს განსაზღვრა? ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ამა თუ იმ ცნების მიყენებას მეორე უფრო ფართო ცნებისადმი“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 177).

ილია ჭავჭავაძე „პასუხში“ პირდაპირ მიუთითებს: „სხვათა შორის ჩემს კრიტიკოსებს არ ესმით, რა არის კრიტიკა“... ილია მოწინააღმდეგეებს ედაგება არა წვრილმან საკითხებზე, არამედ პრინციპულ პრობლემებზე. („პასუხი თ. ილია ჭავჭავაძის“ „კრიტიკოსას“).

ილიას მიერ „კრიტიკის“ დეფინიციას წინ უძღოდა ალ. სავანელის განმარტება: „კრიტიკა არის ბერძნული სიტყვა, რომელიც ნიშნავს ჰსჯასა, განსჯასა. ამისთვის კრიტიკა ისტორიული თვალსაზრისით არის უკანასკნელი მოღვაწეობა ჰსწავლისა... კრიტიკასა შრავალნი მიიღებენ არა ჰსჯად, განსჯად, არამედ საიკცხავად ანუ დასაძრახავად თხზულები-სა — ცნება ტყვილი და არცა ღირსი კრატეკისა, ვინაჲდან სავანი მისი არის ვანდიდება წესებით ჰსწავლებისა და ხელოვნებისა მშიშარისა, ხარაკტერი მისი უნდა იყოს პირუაენელობა და კეთილი“ (ყურნ. „ცისკარი“, 1857, № 4). აქ, მართალია, კრიტიკის ზუსტო დეფინიცია არაა მოცემული, მაგრამ ის კია შენიშნული, რომ კრიტიკისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს ობიექტურობა.

ილია კი წერს: „კრიტიკა“ — ამის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ და არც ძალიან საპიროა რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა რომ ყოფილიყო, რადგანაც ეს დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მაგ მხრით განვითარებულნი ყოფილან. სადაც სახელია, იქ უსათუოდ სავანიც უნდა იყოს. ეგ სიტყვა ეხლა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი, ცოტადენ განათლებული, ხმარობს თავის ენაში. მამასადამე, არც ჩვენთვის არ არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს. „კრიტიკა“ არის განხილვა, განჩხრეკა, გარკვევა, გარჩევა და დაფასება ერთად“ (იქვე, გვ. 34, ხაზი ჩვენია — რ. შ.). ეს უაღრესად საყურადღებო მოსაზრებაა, რომელსაც ილია იქვე ასე აკონკრეტებს და უბრალო და ძალიან მარტივი ენით მკითხველს კლდე უფრო ნათლად უხსნის. როცა რომელიმე სავანს ვაფასებთ, ჯერ აღინიშნება მისი ღირსება (რა თქმა უნდა, თუ ასეთი აქვს), შემდეგ ვამბობთა ამდენი ღირსო, ვ. ი. სავანის შინაგანი და გარეგანი ღირსებები წარმოიჩინება, მისი ავი და კარგი და მხოლოდ ასეთი ოპერაციების შემდეგ იწონება ეს სავანი „მართალ სასწორზე“, ვ. ი. ზუსტ სასწორზე, აფთაქის სასწორზე. ეს არ არის ე. წ. პურის ასაწონი სასწორი, რაზეც თვითონ ილია შენიშნავს სქოლიოში. ეს არის გონების სასწორი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომელიც არასოდეს იტყვის ჰოს, როცა გული ეუბნება „არას“. ილია თავის მოსაზრებას კრიტიკის რაობასთან დაკავშირებით ასეთი საილუსტრაციო მაგალითით ნათელყოფს: „მეც სწორედ ეგრე მოვიქვე: ჯერ კახლოვის ნიჭიერება განვიხილე, მერე მისი პოეზიის მიმართულება, მერე

მისი „შეშლილი“, შემდეგ თარგმანი და ბოლოს ვსთქვი, რომ არც კაზლოვი ვარგა-ქეთ-  
ქი, არც მისი „შეშლილი“ და არც „შეშლილის“ თარგმანი. მე კაზლოვზე ახალგაზრდა  
მითქვამს-რა, მე ისა ვსთქვი, რასაც მთელი განათლებული რუსეთი ამბობს. ეგეთ არ  
მოქცეულან ჩემი კრიტიკოსები... ზოგიერთები...“ მისცვიყვიას აპროტო იემს სიტყვებს;  
ის — კი არ იციან, რომ სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა, და კრიტიკაც, მარტო მა-  
გაზედ აწენებელი, სამასხაროდ ხდის კრიტიკის წმინდა მნიშვნელობას... როგორც ჩანს,  
კნ. ბ. ჯორჯაძისას და უფ. გ. ბარათოვს მარტო სიტყვები უძებნიათ ჩემს სტატიაში და  
არა აზრი“ (გვ. 35). ამა ამბობს ილია გულორჯელად, სიტყვანე შიძალების გარეშე.

ილიასეული თეზა: „სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა“, აგრეთვე „სადაც აზრი  
არ არის, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია“, დღესაც ძალაშია.

მაგრამ ეს საკითხის მეორე მხარეა. ჩვენ, უპირველეს ყოვლია, გვინტერესებს ცნე-  
ბა „კრიტიკის“ ილიასეული განსაზღვრა, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ და რომე-  
ლიც, ჩვენი ღრმა რწმენით, სწორი და ამომწურავია.

ქართულ სინამდვილეში, როგორც აღინიშნა, სიტყვა „კრიტიკა“ ილიამდე აქტიურ  
ხმარებაში არც იყო. პროფ. რ. სირაძე აღნიშნავს, რომ ეს თეტიკა, კრიტიკა  
და მრავალი სხვა ტერმინი პირველად გამოჩნდა ჩვენი მწერლობის გარდამავალ ხანაში  
(მე-19 საუკუნის დასაწყისში) 1815 წელს დ. ბატონიშვილის მიერ ანსილიონის „ესტეტი-  
კებრი განსჯანის“ თარგმანში. როგორც ტერმინი კრიტიკა, ისე ხელოვნება  
„მხატვრული შემოქმედების“ მნიშვნელობით ჩვენში საბოლოოდ ილიამ გაავრცელა,  
მოგვცა მისი გააზრება და ქართული აზროვნების ახალ მოთხოვნებს, ახალ თეორიულ-  
ლიტერატურულსა და ესთეტიკურ პრინციპებს შეუფარდა (რ. სირაძე, ძველი ქართული  
თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, გვ. 34-35).

„კრიტიკა“ არ ჩანს სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“, არც ნიკო ჩუ-  
ბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“, მაგრამ გვხვდება ამავე ავტორის „რუსულ-ქართულ  
ლექსიკონში“. საანალიზო სიტყვის რამდენიმე ფორმა დადასტურებულია დავით ჩუბი-  
ნაშვილის „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ (თბილისი, 1901, გვ. 285).

ქართულ აკადემიურ ლექსიკონში „კრიტიკის“ საილუსტრაციო მასალად მოყვანილია  
ილიას შემდეგი გამოთქვამი: „კრიტიკა ბუნებითად ისეთი რამ არის, რომ ერთსა და  
იმავე დროს, ერთსა და იმავე საგნის კვლევაში ჰოსაცა და არასაც ამოქმედებს მართ-  
ლის გამოსარკვევად და გამოსაჩენად“. ილიას ეს მოსაზრება მეტად ფასეულია ამჟამ-  
დაც, როცა, სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა კრიტიკა ცალ-  
მხრივად ესმით.

ბერძნული ტერმინი „კრიტიკა“ სიტყვასიტყვით ნიშნავს მსჯელობას, კრიტიკოსი —  
გადამწყვეტს, მსაჯს (მსაჯულს). კრიტიკოსის როლი მართლაც მოგვაგონებს მსაჯულის  
მოვალეობას. ეს უკანასკნელი სასამართლოს პროცესის დროს მსჯელობს ამა თუ იმ  
მოვლენის ან, ვთქვათ, მოქალაქის შესახებ. არკვევს იმას, თუ რა მოქმედებას ჰქონდა  
სინამდვილეში ადგილი; ამის შემდეგ აძლევს მოპასუხეების მოქმედებას შესაფერ „შე-  
ფასებას“, გამოაქვს განაჩენი. ლიტერატურული კრიტიკაც გულისხმობს ლიტერატურუ-  
ლი ნაწარმოების მოქმედი პირების ბუნების გამორკვევას, ნაწარმოების იდეურ-მხატვ-  
რულ ანალიზს, მისი ესთეტიკური ზეგავლენის გარკვევას და ბოლოს დასკვნის გამოტა-  
ნას (იხ. ს. გაჩეჩილაძე, ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 7).

კრიტიკა ყოველდღიურ სიტყვახმარებაში ამასაც აღნიშნავს: სუსტი მხარეების ძებ-  
ნას, გაკილვას, ნაკლის ჩვენების საფუძველზე უარყოფითს შეფასებას; კრიტიკა არის  
აგრეთვე ჟურნალისტიკის დარგი, რომელიც არჩევს მხატვრულ ნაწარმოებს, არკვევს მის  
ნაკლსა და ღირსებას, შეფასებას აძლევს მხატვრულ ნაწარმოებს. ილია წერდა: „ჩვენს

განათლებულ საზოგადოებაში ხშირად ისმის გულის ტკივილი, რომ ჩვენს ლიტერატურაში რას კრიტიკა აკლიაო“.

კრიტიკას ფილოლოგიაში ეძახიან აგრეთვე ტექსტის ანალიზს, ლიტერატურული ძეგლის, ისტორიული წყაროს უტყუარობის, მისი წარმომავლობისა და მასში მომხდარი ცვლილებების რკვევას.

ქართულში გვაქვს აგრეთვე ფორმა კ რ ი ტ ი კ ა ნ ი, რაც ნიშნავს წიგნის ენაში: ყველაფერში ნაკლის მძებნელს, წვრილმანების გამოძიებულს, მიეკრძაობით და მამა-სებელს, არაობიექტურ კრიტიკოსს.

ილია ხმარობს ფორმას „კ რ ი ტ ი კ ო ს ი“. იგი წერს: „ბელინსკი და დობროლიუბოვი სახელგანთქმული სკრიტიკოსები იყვნენ“.

ილიასთან დასტურდება ფორმა „ერთს ალაგას კნ. ბ. ჯორჯაძისა ბრძანებს, რომ ჩვენ პასუხს აღარ გავსცემთო, თორემო, ეხლავ რომ კრიტიკები გავმართოთ, სხვა ვონიერ და სასარგებლო სტატიებს ალაგს წაართმევსო“ (თხზ., ტ. 3, გვ. 36).

ილია ლიტერატურას თვლის ხალხის ჭკუის, ხალხის გონების, გრძნობის, ფიქრის, ჩვეულებისა და განათლების ხარისხად. ამიტომ ამ საუნჯის ჰაიპირად შეფასება მიუტოვებელი შეცდომაა.

ილია ბ. ჯორჯაძის მისამართით შენიშნავს: „რაც არ იცით და, პირდაპირ გეტყვით, რაც არ გესმით, რათ ამბობთ, ეს ესე არ უნდაო? მართლდა ძალიან დაუსუსხავს ჩემს კრიტიკას, რომ მარტო თვალი დაუკვირებია ჩემს ლექსისათვის ჩვენს თეორეტიკოსსა და გონება კი არ მიუყოლებია“ (თხზ., ტ. 3, გვ. 42).

ილია ებრძვის „წინდაუხედავ მ ა ს ხ ა რ ა ო ბ ა ს“ ლიტერატურაში, „ენაზედა და ენის უკეთეს თვისებაზედ! მაგრამ თავის მოყვანილ სტყვებითვე გავამართლებ მაგ-გვარ ქცევას: „მიუტყვე, მამაო, რამეთუ არ იციან, რას იტყვიან“ (იქვე. გვ. 43).

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ კ რ ი ტ ი კ ი ს ილიასეული განმარტება, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კ რ ი ტ ი კ ი ს ბადალი, თანასწორი მნიშვნელობის სიტყვა არა გვაქვს ქართულშიო. ამ შემთხვევაში, ალბათ, ილია გულისხმობდა ახალ სალიტერატურო ქართულს, რადგან კ რ ი ტ ი კ ა ს ძველი ქართული ტერმინით ერქვა გ ა ნ მ რ ჩ ე ვ ლ ო ბ ა (იხ. ა. ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ., 1971, გვ. 207). ამ საკითხზე ჩვენ შეკითხვით მივმართეთ ძველი ქართული ენის სპეციალისტს პროფ. კ. დანელიას, რომელმაც დაადასტურა, რომ ტერმინი გ ა ნ მ რ ჩ ე ვ ლ ო ბ ა ძე. ქართულში ხშირად იხმარებოდა, მაგრამ ამ სიტყვის აბსტრაქტული ფორმა განმ-რჩ-ევ-ელ-ობ-ა მე-12 ს-მდე არ გვხვდება. გ ა ნ მ რ ჩ ე ვ ლ ო ბ ა დასტურდება ბიბლიაში, ეფრემ მცირესთან, იოანე პეტრიწთან, „ეკლესიასტში“... ასე რომ, მე-11-12 სს. და აქეთა პერიოდის ქართულში გ ა ნ მ რ ჩ ე ვ ლ ო ბ ა ზოგადი შინაარსის ტერმინია და ნიშნავს განსჯის, შეფასების, განხილვის უნარს, რომელიც შეიძლება ვლინდებოდეს არა მარტო ლიტერატურული ფაქტების, არამედ ნებისმიერი მოვლენის მიმართ. საინტერესოა, რომ ის მხოლოდ ლიტმცოდნეობის ტერმინი არაა.

ილიამ კრიტიკის დეფინიციისათვის გამოიყენა ოახი კომპონენტი (განხილვა, განჩხრეკვა, გარჩევა და დაფასება), მაგრამ არა იზოლირებულად, არამედ ერთად. ამ ოთხი კომპონენტიდან ერთი მხარეც რომ დაეკლოთ (მაგ., დაფასება ან გარჩევა), მაშინ სრულფასოვან კრიტიკასთან არ გვექნება საქმე. კრიტიკის დეფინიციისას თანამედროვე ლექსიკოლოგები ძირითადად ილიას მოსაზრებიდან ამოდიან; მაგ., ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ ქართული აკადემიური ლექსიკონიდან მოყვანილ განმარტებაში ამ ცნების დამახასიათებელ ნიშნებად მიჩნეულია: გარჩევა, განსჯა, გამოორკვევა, განხილვა, შეფასება. ერთი სიტყვით, ამ განმარტებით ილიასეულ დეფინიციასთან სიახლოვე აშკარაა.

ილიას აზრით, „კრიტიკაც, მარტო მაგაზედ (ე. ი. სიტყვაზე — რ. შ.) აშენებული:

სამასხაროდ ხდის კრიტიკის წმინდა მნიშვნელობასა“ (იქვე, გვ. 35). აქ ნათლად ჩანს კრიტიკის დანიშნულებაც.

„პასუხში“ ილია, მართალია. ძირითადად ენის საკითხებს ეხება, მაგრამ გზადაგზა კრტიკის დანიშნულებაც კერდება. მისი დასკვნა კი ასეთია: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“ (გვ. 43).

ილიას აზრით, ნაწარმოების განხილვა, რაც კრიტიკის ერთ-ერთი მიზანია, ლანძღვაში არ უნდა გადაიზარდოს: „ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას ამტკიცებ: დაუმტკიცებელი და უსაფუფელო ქებაც კი ლანძღვად საწყენია პატიოსანი კაცისათვის. მე რაც ვსთქვი, ის დავამტკიცე კიდევცა, როგორც შემძლო; რომ დავამტკიცე, ამის მოწმედ მომყავს ის ფაქტი, რომ არც ერთი ჩემი კრიტიკოსები არ არღვევენ არც ერთს ჩემს აზრსა. რაც დამტკიცებულა, ის მართალია; რაც მართალია, ის ლანძღვა არ არის“ (თხზ., ტ. 3, გვ. 47). აი, როგორ ლოგიკურად მსჯელობს ჩვენი დიდი მწერალი! მამასა-დამე, დებულებას ფაქტები უნდა მოსდევდეს საილუსტრაციოდ, საბუთად. აქ შეიძლება გავიხსენოთ შექსპირის სიტყვები: „თქმა დამტკიცება როდი არის, საჭიროა საბუთი რამე თვალსაჩინო წარმოადგინო“.

საბუთიანობა კრიტიკისათვის უმთავრესი არგუმენტია. ეს ნათლად ჩანს ილიას წე-რილში, მიმართული ნ. მარის წინააღმდეგ, რომელმაც განაცხადა, რომ ერთ მანუსკრიპტს შევისწავლო, ლონდონში შენახულს, და დავამტკიცებ „ვეფხისტყაოსანი“ ნათარგმნი ძეგლიათ. გავიდა 7-8 წელი, მაგრამ მკვლევარმა სიტყვა ვერ შეასრულა, რის გამოც ილიამ შენიშნა: „რა საკადრისია, კაცს ჯერ საბუთი არ ენახოს, ან გაეჩხრიკოს და არ იცოდეს, მართლა ამისთანა საბუთი არის სადმე თუ არა, აიღოს და ეს მთელს ერს შეუ-გინოს მისი სამართლიანად სახელოვანი კაცი, შებღალავოს იგი თითქმის წმიდათაჟმილად, რომელსაც შეიდას-რვასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შეჰზარის, შეურ-ყიოს ძირი იმ დიდებულს სახსოვარს, რომელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული“ (თხზ., ტ. 8, გვ. 123).

ილიას გაგებით, კრიტიკისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს მოვლენებისადმი დია-ლექტიკური მიდგომა, ფაქტების ურთიერთკავშირში განხილვა. დროისა და ადგილის გათვალისწინება. ამას ნათლად შეამჩნევს ყველა, ვინც კარგად ჩაუკვირდება „პასუხსა“, „ორიოდ სიტყვას“ (მდრ. ნ. ტაბიძე, ილია ჭავჭავაძის პოლემიკური ოსტატობის შესა-ხებ, ი. ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბ., 1977, გვ. 183).

ილიამ თავის წერილებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე არა მარტო მოგვცა კრიტიკის საყოველთაოდ მისაღები დეფინიცია, არამედ მთელი სისრულით წარ-მოაჩინა ქართული სალიტერატურო კრიტიკის პოტენცია, აქცია იგი ლიტერატურული პროცესის დომინანტურ კომპოსად.

ილიას მიდგაწეობის პერიოდში, მგონი, არ იყო ლიტერატურული ბრძოლის ისეთი ფორმები, როგორიცაა: დიალოგი, მონოლოგი, დისკუსია, პაექრობა, მრგვალი მაგიდა და სხვ. ამ მიზნით თითქმის ერთადერთი ასპარეზი გახლდათ პერიოდიკის ფურცლებზე გა-მოსვლა (იშვიათად შეკრებებიც ლიტერატურულ სალონებზე), მაგრამ მაშინ, იმ პერიოდში, ნაკლებად იგრძნობოდა კრიტიკის ე. წ. მოუთმენლობის ფსიქოზი, როგორც ეს ამჟამადაა, რაც კარგად შეამჩნია და დამაჯერებლად გააანალიზა კიდევ სპეციალურ ლიტერატურაში ჯ. ლენჯილიამ (იხ. ჯ. ლენჯილია, ზომიერების გრძნობა თანამედ-როვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში, თბ., 1979, გვ. 72).

ილია სასტიკად ებრძოდა ენაწყლიანობას (ილიას სიტყვით, „ბრაზაბრუხი“). მათ, ვინც კრიტიკული წერილების ნაცვლად წერდა განმაქიქებელ სტატიებს, მოაექრის ღირ-სებაც განზრახ ჩქმალავდა, ნაკლს აზვიადებდა.

ილიას „პასუხი“ ნამდვილი, მართალი, ჭეშმარიტი კრიტიკის ნიმუშია, იგი ამაღლე-

ბული ლიტერატურული ვნებებით დამუხტული პაექრობის ნათელი ილუსტრაციაა, კავკასიის  
თის მაღალი კულტურის მაჩვენებელია, „განდევლის“ ავტორის აზროვნების სიღრმის  
შესაფერი დოკუმენტია, ხოლო მეორე ბანაკში, რომელსაც ილია ხმალამოლებულ  
ებრძოდა, ნათლად ჩანს პირადული ინსტინქტების წინა პლანზე წააჭრევაც და ამბიცია.  
ეს ნათელყო თვითონ ილია ჭავჭავაძემ.

დღესაც უკვდავია კრიტიკის დანიშნულების შესახებ ჩვენი ერის თავიანთი მოსაზ-  
რება: „მწერალს აქვს უფლება თქვას ის რე, როგორც მოს-  
წონს, როგორც ესე რეება, კრიტიკოსსა — შენიშნოს, და  
ხალხსა — მიიღოს მწერლის ნათქვამი: ხოლო ეს უფლება  
ხალხს ეკუთვნის“ (თხზ. ტ. 3, გვ. 49).

ზოგჯერ ილია „კრიტიკის“ მნიშვნელობით ხმარობს სიტყვებს: „განსახიხრეკად  
და განსაკითხავად“ (თხზ., ტ. 3, გვ. 83). ესენი ძველი და წიგნის მეტყველ-  
ბისათვის დამახასიათებელი ზმნისარებია, რომლებიც ილიას სხვა ნაწერებშიც გვხვდებ-  
და: „გუშინდელ და დღევანდელ „ივერიის“ ფელეტონში ორმა სულ სხვადასხვა ავტორ-  
მა ერთი და იგივე საგანი დაგვიყენა თვალწინ განსახიხრეკად და განსაკით-  
ხავად“ (იხ. ქეგლ II, 1014).

მეტად საინტერესოა 1887 წელს გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის წერილი „რა  
მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“. აქ ზაზგასმითაა აღნიშნული, რომ „რაც ცხავია ხვა-  
ვისათვის, ისიც კრიტიკაა ლტერატურისათვის“ (თხზ., ტ. 3, გვ. 152).

ხვავი ხორბლის, სიმინდის ტარობისა და მისთ. გროვია (ქეგლ 8. 1432);  
ცხავი საცრის მსგავსი ხელსაწყოა, რომლითაც მარცვლეულს (ხორბალს, ქერს...)   
წმენდენ კილისა, ბზისა და მისთანათავან (ქეგლ 8, 677).

ილიას დროს ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ჩვენი ლიტერატურა კრიტიკისათვის მე-  
ტად ცოტა საზრდო იძლევა. იმდენი ხვავი არა აქვს ლიტერატურას, რომ ღირდეს კაცმა  
კრიტიკის ცხავში გაატაროს და წმინდა ხორბალი ბალახბულახისაგან გამოარჩიოს.  
ილია იწუნებს ამ აზრს და დასძენს, ცოტაა თუ ბევრი, მაინც გარჩევა-გარკვევა საჭე-  
როაო. ჩამოთვლის ისეთ ნაწარმოებებსა და ავტორებს, როგორცაა შოთას „ვეფხისტყაო-  
სანი“, „დავითიანი“, ვახტანგ მე-6, არჩილ მეფე, თეიმურაზ პირველი და მეორე, აღ-  
ჭავჭავაძე და სხვ., რომელთა ნაწარმოებები აღიარებულია. ამიტომ კრიტიკის უქონლო-  
ბა ლიტერატურის უშინაარსობას კი არ უნდა დაბრალებდეს, არამედ „ჩვენს ქონდრის-  
კაცობას, რომელიც იმოდენად უძლურია, იმოდენად უღონოა, რომ ვერც ჩვენის ლი-  
ტერატურის სიღრმისათვის გონების თვალი ჩაუწვდენია და ვერც ჩვენის პოეზიის სი-  
მაღლისათვის თვალი გაუსწორებია“ (თხზ., ტ. 3. გვ. 153).

ილიას კრიტიკულ-პოლემიკურ სტატიებში ხშირია ანდაზა-აფორიზმების, მოსწრე-  
ბული გამონათქვამების დამოწმების შემთხვევები, გამოჩენილი ადამიანების მოსაზრება-  
თა გამოყენება.

ილია უსაბუთოდ არაფერს ამბობს. მან აღნიშნა, რომ კრიტიკის უქონლობის ბრა-  
ლი ლიტერატურაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ ჩვენს უძლურობაშიო. ამის საბუთად  
ის მოიყვანა, რომ ჩვენი მწერლობა მსჯელობის საგნად არ გაუხდია არცერთ უცხოელ  
მეცნიერს, ამიტომ იძულებული ვართ, თვითონვე მოვიკიდოთ ხელი კრიტიკის რთულ  
საქმეს. გარდა ამისა, ჩვენმა ინტელიგენციამ კარგად იცის დარჯინის თეორია, ჰეგელის  
ესთეტიკა, ლესინგისა და ტენის ხელოვნების ფილოსოფია. კითხულობენ შექსპირს, გო-  
ეთეს, ბაირონს და ჰომეროსსაც კი, მაგრამ „ერთს პაწია ლექსს — კი ჩვენის რომე-  
ლისამე პოეტისას ვერ გაუძღვებია, როგორც რიგია“ (თხზ., ტ. 3, გვ. 154-155). ილია  
იმას ამბობს, რომ აღნიშნული უცხოელ მწერალთა პროდუქცია დამუშავებულია, გაა-  
ნალიზებულია, კრიტიკულად განხილულია. ჩვენი მწერლობა კი ამ მხრივ მართლაც



რომ ყამირია, ილიას სიტყვით, „ფაუსტში“ რომ გამოყვანილია ვაგნერი, სწორედ ზედ-გამოჭრილი სახეა იმ გეარისა კაცებისა, რომელთაც ცოდნა აქვთ და საკუთარის ჭკუით ტარების უნარი — კი ღმერთს, თუ ბედს იმისთვის არ მიუმაღლებია. ნუ გაგვიწყრებიან, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ინტელიგენციას სწორედ ეგ უნარი თვითმსჯელობისა, თვითმხედველობისა არა აქვს გახსნილი და გადაშლილი... ეგ არის მიზეზი, რომ ჩვენ ჩვენი კრიტიკა არა კვაქვს... ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ ეგ კრიტიკა ჩვენც გვეღირსება ოდესმე“ (თხზ., ტ. 3, გვ. 156-157).

„ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ ქეშმარიტი ფუძემდებელნი რეალისტური კრიტიკისა (გ. ასათიანი, ილია ჭავჭავაძე, პოეტი და მოაზროვნე, თბ., 1978, გვ. 3). ილიამ პირველმა მოგვცა ხელოვნების ის განსაზღვრა, რომელსაც რუსულ კრიტიკაში ბელინსკიმ ჩაუყარა საფუძველი: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა“. (თხზ., ტ. 3, გვ. 30)... იგი რეალისტური თვალსაზრისით მიუდგა დრამატული ხელოვნების ანალიზსაც (გ. ჯიბლაძე).

ილიამ შემოიტანა ქართულ კრიტიკაში ტერმინი „ევეროპეიზმი“ (რომელიც ნაწილობრივ სინონიმია რომანტიზმისა), რომლის უახლოეს წინამორბედად დავით გურამიშვილი ჩათვალა, თანაც „ევეროპეიზმი“ მას, უპირველეს ყოვლისა ენის მხატვრულ სიბუნებელ ე. ილია ტერმინ ბაირონიზმსაც ხმარობს (რაც ილიას ლექსიკონში ისეთივე ნაწილობრივი სინონიმია რომანტიზმისა, როგორც „ევეროპეიზმი“ — „პასუხში“ გ. ასათიანი).

ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა კრიტიკის როლი ლიტერატურული პროცესების ობიექტურ შეფასების მიზნით. ყველაფრიდან ჩანს, რომ კრიტიკა ილიას მიაჩნდა შუამავლად მწერალსა და მკითხველს შორის. კრიტიკამ უნდა გამოიტანოს დასკვნა მხატვრული ნაწარმოების შესახებ უკვე გამოშუშავებული კრიტიკულ-იდეური მსოფლმხედველობის საფუძველზე. კრიტიკოსი უნდა იცნობდეს და ერკვეოდეს ცხოვრების სინამდვილის მოვლენებში. იგი უნდა ადარებდეს მხატვრული ნაწარმოების შინაარსს სინამდვილეს. სწორედ ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე, როგორც კრიტიკოსი. ამ კრატერიუმებით აფასებდა იგი ლიტერატურულ პროდუქციას, როგორც ეს ნათლად ჩანს მისი „პასუხიდან“. ილიას ნათელი და სწორი შეხედულება აქვს კრიტიკისა და პოლემიკის დანიშნულებაზე.

ილია ჭავჭავაძე, როგორც მხატვრული სიტყვის ბევრი გამოჩენილი ოსტატი. ლიტერატურის კრიტიკოსი იყო. კადეგ მეტი, იგი სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის დამწყებად (ილიამდე ჩვენში ლიტერატურული კრიტიკა თითქმის არ არსებობდა).

ილიას „კრიტიკა“ ესმოდა ფართო გაგებით და მასში გულისხმობდა ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიული საკითხების გაშუქებას, პოეზიისა და პროზის პრობლემებს, ენას, დრამატურგიას, მუსიკას, თეატრსაც კი. ყველა აქ ჩამოთვლილ დარგებში ჩვენი ერის ამ თავკაცმა თქვა საკუთარი სიტყვა და ამით დიდი სამსახური გაუწია ქართული კრიტიკის ისტორიას.

ილია მწერალს აფასებდა მთლიანობაში, ფორმისა და შინაარსის განუცალკევებლად, რაც მთავარია, მიუკერძოებლად. საილუსტრაციოდ კმარა მისი „ორიოდ სიტყვა“... „პასუხი“, „ეფეხისტყაოსნის“ მისეული ანალიზი და წერილები მე-19 საუკუნის ლიტერატურის შესახებ. ილია ასევე ღრმა და სწორ შეფასებას აძლევდა გამოჩენილ რუს კლასიკოსებსა (პუშკინი, ლერმონტოვი...) და ევეროპელი სიტყვის დიდოსტატებს (გოეთე, შილერი, შექსპირი, ჰაინე, ბაირონი...).

ამრიგად, ილიამ თავის პოლემიკურ სტატიებში ზუსტად განსაზღვრა კრიტიკის არსი და დანიშნულება, ნათელყო, რომ ოპონენტებმა დაარღვიეს იგივეობისა და ლოგიკურო-



ბის კანონები, დაამახინჯეს ერთადერთი მსგავსებისა და ერთადერთი განსჯევის მე-  
 თოდები. შეცვალენ თეზისი, ნაწილი გააიგივეს მთელთან, ზერელე განცხადება გაუთანა-  
 ბრეს კანონს, მიჩქმალეს მნიშვნელოვანი ფაქტები; ილია იყენებს დასაბუთების როგორც  
 პირდაპირ, ისე ირიბ ხერხებს, მაგრამ ორივე შემთხვევაში მეტყველ ფაქტებს იშველი-  
 ებს; საკუთარ მოსაზრებას, ზოგჯერ დაწუნებულს ოპონენტის მიერ, ზოგად წესს უსადა-  
 გებს. ამით კი მოწინააღმდეგის მოქმედებას კანონის წინააღმდეგ გალაშქრების კვალი-  
 ფიკაციას აძლევს; კონკრეტულს ზოგადს უკავშირებს; არც თუ ისე იშვიათია მოჩვენე-  
 ბითი თვითკრიტიკა, შეღავათი. სატირული მიზნით სქოლიოების გამოყენება და სხვ.  
 (ნ. ტაბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 185-191).

ილია ჭავჭავაძემ დიდი ამაგი დასდო ქართულ კრიტიკას. მისი მოღვაწეობა ამ სფე-  
 როში დღესაც ძვირფასია ჩვენთვის.

## სსოვნა გულისა

### მცირე მოგონება

ქართულმა მწერლობამ, მთელმა მრავალეროვნულმა საბჭოთა მწერ-  
 ლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭო-  
 თა მწერალი, ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი,  
 სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
 დეპუტატი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი — კონს-  
 ტანტინე ლორთქიფანიძე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ თავისი სამწერლო მოღვაწეობა ლი-  
 რიკული ლექსებით დაიწყო. იგი სწავლობდა ქუთაისის ჰუმანიტარულ  
 ტექნიკუმში. აქ შეიყვარა მხატვრული ლიტერატურა და პირველი ლექ-  
 სიც ამ ტექნიკუმში სწავლის დროს დაწერა.

მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ქართული ლიტერატურის ამ დი-  
 დებულ წარმომადგენელთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა და მწერა-  
 ლი ბათუმში ყოფნის დროს აუცილებლად მომიწახულებდა.

1978 წელს კ. ლორთქიფანიძე ქობულეთში ისვენებდა. ერთ დღეს  
 კბილის ტკივილმა აიძულა ბათუმში ჩამოსულიყო და რესპუბლიკურ სტო-  
 მატოლოგიურ პოლიკლინიკას სწვეოდა. მთავარმა ექიმმა ს. ჩხაიძემ ყო-  
 ველივე იღონა და პაციენტიც განკურნა. ექიმმა კონსტანტინეს შესთავაზა  
 ბაღში გასეირნება და შემდეგ თავის ოჯახში მიიწვია... ის პერიოდი იყო.



როდესაც იწერებოდა „რა ნიშნა აბაშაში“ და ბატონ კონსტანტინეს თანა  
 ახლდა აბაშელი სტუმარი. შეხვედრას მეც ვესწრებოდი. საუბარმა მეტად  
 გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. მოვიგონე დიდებული მწერლის ბათუმში,  
 ყოფნა 1934 წელს და სხვა მეოსნებთან ერთად მისი მონაწილეობა ლი-  
 ტერატურულ სემინარზე, როდესაც ილაპარაკა რომანზე „ძირს სიმიანდის  
 რესპუბლიკა“, აგრეთვე „პირველი დედის“ შესახებ, მაშინ ეს მოთხრობა  
 ახალი სიტყვა იყო საბჭოური ოჯახის აქტუალური პრობლემის გაშუქე-  
 ბაში.

შეორე დღეს კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მეუღლესთან ერთად,  
 ოჯახში მეწვია. ბათუმელი მწერლებიც იყვნენ. ჩვენი საუბარი, რასაკვი-  
 რველია, ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა. ვავიხსენებ ბა-  
 ტონი კონსტანტინეს ერთი ლექსი, სტუდენტობის წლებში დაზეპირებული:

...გრძნობა არ არის ზამთრის სასახლე,  
 რომ ერთი დაკვრით გააპარტახო,  
 და არც ქვევრი ვარ, რასაც ნამძახვრს,  
 შეჭანიკურად ის ამოგძახო.  
 და თუ ხშირად არ მახასიათებს,  
 ცრუ შემარტყენებს სბოხ აღტაცება,  
 თუ ზოგჯერ მძიმე კითხვის წინაშე,  
 ჩემი პასუხი წაბარბაცდება.  
 ეს ხდება, რადგან ახლის ძებნაში,  
 სირთულეები გზაზე ბევრია,  
 ხშირად მარჯვენა მკერდის ნაწილი  
 მარცხენა მკერდის დიდი მტერია.

ბატონმა კონსტანტინემ ავტოგრაფით სამახსოვროდ დაგვიტოვა იმ  
 დღეებში ახლად გაიოსული წიგნი „გაუმარჯოს დონ-კიხოტის“, მოთხრო-  
 ბების 1-ლი ტომი, მისი დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი „გა-  
 ნათლების“ მიერ ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული კრებული.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე მტკიცედ იღვა აქტიურ ცხოვრები-  
 სეულ პოზიციებზე და თანამედროვეობის თემაზე შესანიშნავი ნაწარმოე-  
 ბები შექმნა.

წავიდა ჩვენგან ქართული ლიტერატურის მშვენება, დიდებული მო-  
 ქალაქე და ფართოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომლის შემოქმედე-  
 ბას არასდროს მოაკლდება მკითხველი.

**ლადო შარაშიძე,**

აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული  
 მოღვაწე.

## რიტმული ვარიაცია კი არა, გაღამჯერის უეცდომა

ვუჭვრიტეთ, მისთა ელვათა შუქნი ძლივ გავიცადენით,  
ვთქვით, თუ: „მზეაო ქვეყანად, ნუ ვეუბნებით ცად ენით!“  
მისი მოგვინდა შეპყრობა, ვჰკადრეთ და შევეცადენით,  
ასრე სულთქმით და ვაგებით მით ვართ, ცრემლისაცა დენით. (205).\*

„ვეფხისტყაოსნის“ ამ სტროფის მეოთხე სტრიქონის მეორე ნახევარი რატიმიდან ამოვარდნილი რომ არის, ეს უმაღლვე მოგვხვდება თვალში (უფრო ზუსტად — ყურსა ვეჭრის). ამის მიზეზს ადვილად მივაგნებთ, თუ გავიხსენებთ, რომ შოთას პოემა მაღალი და დაბალი შაირით გამართული სტროფებისაგან შედგება. ორივე შაირის ტაეპში 16 მარცვლია; ტაეპი იყოფა ორ თანაბარ ნაწილად, ოღონდ ისე, რომ სიტყვა პირველი ნახევარტაეპიდან მეორეში არ გადადის — სადაც მთავრდება პირველი ნახევარტაეპი, იქვე მთავრდება მისი ბოლო სიტყვაც; თავის მხრივ, ნახევარტაეპიც ორ ნაწილად იყოფა — მაღალი შაირისა 4-4 და დაბალი შაირისა 3 და 5 ან 5 და 3-მარცვლიან ნაკვეთებად, და აქაც სიტყვა ნაკვეთებს შორის არ უნდა განაწილდეს; ეს ნაკვეთები (4-4-მარცვლიანი მაღალი შაირისა და 3 და 5 ან 5 და 3-მარცვლიანი დაბალი შაირის) მუდმივი მეტრული (პროსოდიული) სიდიდეებია. ამიტომ მაღალ შაირში არ იხმნება 5-მარცვლიანი სიტყვა, ხოლო 3-მარცვლიანს უნდა უსწრებდეს ან მოსდევდეს ერთმარცვლიანი; ასევე დაბალ შაირში 4-მარცვლიან სიტყვას თან უნდა ახლდეს (წინ ან უკან) ერთმარცვლიანი. თუ 2-მარცვლიანი სიტყვა ნახევარტაეპის თავში ან შუაშია, 3-მარცვლიანთან ერთად კმნის 5-მარცვლიან მეტრულ სიდიდეს, ხოლო თუ ბოლოშია, უსათუოდ უნდა უსწრებდეს ან მოსდევდეს ერთმარცვლიანი, რათა 3-მარცვლიანი

\* მითითებულია 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

მეტრული სიდიდე შეიქმნას. მაღალი შაირისათვის მინიმალურია 2-მარცვლიანი, ხოლო დაბალი შაირისათვის 3-მარცვლიანი რითმა.\*

აზლა ცხადია, რატომ დაირღვა ასე უხეშად რიტმი საანალიზო ნახევარტაქტში — „მით ვართ ცრემლისაცა დენით“: აქ არა გვაქვს დაბალი შაირის არც ერთი მუდმივი მეტრული სიდიდე — არც 3-მარცვლიანი და არც 5-მარცვლიანი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი. მისი მეტრული სქემაა 2 4 2 ნაცვლად 3 5 ან 5 3-ისა. ეს ერთადერთი შემთხვევაა პოემაში და თუნდაც მხოლოდ ამიტომ საეჭვოა მისი ავტორისეულობა. და მაინც ზოგი მას რიტმულ ვარიაციად და, მაშასადამე, დედნისეულად მიიჩნევს, სხვებს კიდეც მისი ავთენტურობა ეეჭვებათ, მაგრამ, რაკი ეს ვერ დაუმტკიცებიათ, დასაშვებად თვლიან. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ეს აშკარად გადამწერის შეცდომაა. ტექსტის ასეთი დამახინჯება სრულიად არ გავკვირდება, თუ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტებს გადავაკლებთ თვალს: მათში უხვად ვიპოვით გადამწერთა როგორც განზრახ „ნასწორებ“, ასევე უნებლიე, ზოგჯერ ყოვლად წარმოუდგენელ შეცდომებს.

რა ვითარებაა ხელნაწერებში? ცხრაში იკითხება „მით ვართ ცრემლისა დადენით“. რიტმი სრულყოფილად გაიმართა. ამიტომაც ეს წაკითხვა მიღებულია რამდენსაშუა ბეჭდურ გამოცემაში. მაგრამ ეს რომ გადამწერის (ან რედაქტორის) ნახელავია, უეჭველია. საქმე ის გახლავთ, რომ ეს სტროფი გაწყობილია ეგრეთ წოდებული საყრდენთანხმოვნისა რითმით (ცადენით), ეს გასწორება კი ჩვეულებრივ რითმას იძლევა. მართალია, პოემაში არის სტროფები, სადაც მხოლოდ სამ ან ორ ტაქტს აქვს საყრდენთანხმოვნისა რითმა (და მაშინ იგი ასეთად არც ითვლება), მაგრამ აქაც რომ ასე ყოფილიყო, ე. ი. მეოთხე სტრიქონში გვექონოდა რითმა ადენით, და რომელიმე რითმისადმი სმენავამახვილებულ გადამწერს (ან რედაქტორს) მოეწადინებინა მისი გასწორება, რიტმის იმდენი გრძნობაც ექნებოდა, რომ ასე უღვთოდ არ დაერღვია იგი. ამიტომ 1966 წლიდან მოკიდებული ყველა გამოცემა მართებულად იზიარებს ხელნაწერთა უმრავლესობის წაკითხვას „მით ვართ ცრემლისაცა დენით“. აქვე უნდა ითქვას: ერთადერთ ხელნაწერში იკითხება „მისთვის ვართ ცრემლიაცა დენით“. ამ გასწორების ავტორი დაკვირვებული, ლექსთწყობის საკითხებში ჩახედული კაცი ჩანს. მას რიტმის აღდგენაც უცდია და ზაყრდენთანხმოვნისა რითმის შენარჩუნებაც. და მაინც მისი კონიექტურა მიუღებელია: სხვა არა იყოს რა, ტაქტში ლაპარაკია ხატაელი ძმების ცრემლის დენის მიზეზზე (მით) და არა მიზანზე (მისთვის).

\* აღვნიშნავთ შაირის მხოლოდ იმ მახასიათებლებს, რომლებიც საჭიროა ჩვენი მსჯელობისათვის.

შეიძლება თუ არა მავანთ ავტორისეულ წაკითხვას? შეიძლება ეს სტროფი იმ ეპიზოდში გვხვდება, სადაც მოთხრობილია, თუ ვეფხისტყაოსანი მოყმის ამო ძებნით სასომიხდილმა ავთანდილმა როგორ დაანთო ცეცხლი და, ვიდრე მწვალი შეიწვებოდა, მისკენ მომავალი ექვსი ცხენოსანი დაინახა. ორ წვეროსან კაცს თავში დაკოლილი „ყმა მოჰყვანდა უწვერული“. ეს სამნი ხატაელი ძმები ყოფილან. უფროსმა ავთანდილს უამბო, თუ ნადირობისას როგორ გადაეყარნენ შავ ტაიჭზე ამხედრებულ მოყმეს, რომელსაც „თავსა და ტანსა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავია“, როგორ მოუნდომეს შეპყრობა, ხოლო იმ მოყმემ უმცროს მამას „მით ერთითა მათრახითა თავი ასრე გარდაჰფრიწა, ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა“. ამ ეპიზოდში ექვსგან გვხვდება სხვათა სიტყვის ნაწილაკი — ო. სწორედ მან უნდა გვიშველოს შერყვნილი ნახევარტაეპის დედნისეული წაკითხვის აღდგენაში. სამგან ამ ო-ს ხმარობს ნატაელ ძმათაგან უფროსი: „მე უკეთ მოვკალ, მე გჯობო“, სიტყვანი ვაეპქილენით (201, 3); ვთქვით, თუ: „მზუაო ქვეყანად, ნუ ვეუბნებით ცაღენით“ (205,2); ხელი მოჰკიდა, „დადგეო!“, ესეცა ჰკადრა კიდ ენით (208,2). სამგანაც — ავტორი: ჩვენ ვართო ძმანი სამნივე, მით ვიდენთ ცრემლთა მწარეთა (199,3); აგერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და მთვარებლად (210,2); უჩვენა მისი სადგომი: „მიდითო ნება-ნებასა“ (213,3). როგორც ზემოთ ითქვა, ნახევარტაეპში „მით ვართ ცრემლისაცა დენით“ არ არის დაბალი შაირის არც ერთი მეტრული სიდიდე, და აი, თუ ზმნას „ვართ“ დაუერთავთ ო-ს, გვექნება „მით ვართო ცრემლისაცა დენით“. უკვე მოვიპოვეთ დაბალი შაირის ერთი მუდმივი მეტრული სიდიდე — „მით ვართო“ (3). მაგრამ ახლა რვის მაგურად ცხრა მარცვალა. ერთი მარცვალი უნდა მოვაკლოთ. რომელ სიტყვას? ოთხმარცვლიანს, რომელსაც დამოუკიდებლად არაფერი ესაქმება დაბალ შაირში. ეს არის „ცრემლისაცა“. სწორედ მისი ბრალია რიტმის გაუკუღმართება. მას უნდა ამოვკვეთოთ ერთი მარცვალი. ამ ოპერაციას ის უმტივიგნეულოდ გადაიტანს, „მადლიერიც“ დაგვრჩება, რადგან დედნისეულ ფორმას დაბრუნებს. მაშ ასე, „ცრემლისაცა“ კი არა, „ცრემლისცა“! ტაეპი ასე გაიბართება:

ასრე სულთქმით და ვაეებით მით ვართო, ცრემლისცა დენით.\*

ახლა მეორე ნახევარტაეპში დაბალი შაირის ორივე მუდმივი მეტრული სიდიდე გვაქვს: „მით ვართო“ (3) და „ცრემლისცა დენით“ (5=3+2). როგორც ვხედავთ, არც ერთი სიტყვა არ შეგვიცვლია, მხო-

\* აქ მძიმე უადგილოდ მიგვაჩნია. საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდურ გამოცემაში პუნქტუაციის მხრივ ბევრი ადგილი გაღასასინჯია, მაგრამ ამაზე სხვა დროს.



ლოდ მსუბუქი პლასტიკური ოპერაცია ჩავატარეთ, დედნიეული წაჭრის  
ვა კი აღდგა.


არაო, იტყვის დაკვირვებული მკითხველი, აკი ზემოთ ამბობდით, დაბალი შაირის ნახევარტაეპის ბოლოში ორმარცვლიანი სიტყვა არ იმარება, თუ მას ერთმარცვლიანი არ ახლავსო? აი ისე რომ გავემართათ, როგორც ამ სტროფის მეორე სტრიქონშია: „ნუ ვუებნებით ცად ენით“, მაშინ ვერავის შეკვდავებოდათო. სრული სიმართლეა. ჩვენი გასწორება ყოვლად უსაფუძვლო იქნებოდა, რომ შოთას პოემაში (და არა მარტო აქ) მაინც არ გვხვდებოდეს რამდენიმე შემთხვევა, როცა დაბალი შაირის ტაეპის მეორე ნახევარი ორმარცვლიანი სიტყვით მთავრდება და წინა სამმარცვლიანი სიტყვის ბოლო მარცვალთან ერთად ქმნის რითმას. ხაზს ვუსვამ მეორე ნახევარს, რადგან ეს კეთდება რითმის შესაწყობად. აი ეს ტაეპები (სულ 19, თუ არ გამოვვრჩა, ახლახან გასწორებულის ჩათვლით. ხაზგასმულია რითმა): ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს ღალმან და ღამაზმა ნება (9, 4); ასრე სულთქმით და ვაებით მით კართო, ცრემლისცა ღენით (205,4); უსისხლოდ მოკვალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა ღენით (557,4); კაცი ხმდა, მისთა მჭვრეტათავის ღონემცა ეჯა რისა (613,3); აქა მოგესმის წამალი, შენ რომე დაუწვავ ალთა (637,3); ფრიდონს რა ესმა, ატირდა, სისხლითა მოერწყო ველი (644,3); ეგე კმა საიხნე სიიხნისად, რადლა ხარ მომხვეჭი რისა (691,4); მადლი რა გკადრო, აწ თქვენგან გავხასდი მე მშა ვითა (763,3); თქვეს: „ბნელი გვმართებს დღეკრულთა, რათგან მზე მიგვიდრკა ცისა (825,4); იტყვის: „რა წაზვე, ვაიჭრა, ქვაბს ყოფა მისჭირდა ვითა“ (844,3); სიცოცხლე ანუ სიკვდილი გარდმიწყდეს, ნეტარძი, ოდეს (1088,4); „ამა საქმია ვერ ცნობა, — თქვა, — ჩემი სიძუნტე არსა“ (1109,3); ნუ ეჭვ სულდგმულსა მისებრსა, თუ ვითმე მისებრვე არსა (1109,4); ამბავი ჩემი საღხანო მითხრაო ვისმანდა დამან (1244,4); იტყვის, თუ: „მნახეთ, მიჯუნრო, იგი ვინ ვარდია ვისად“ (1253,3); მე გულსა შენსა ეზომსა, არ ვიცი, გარჯვიხდი რითა (1452,4); გვერდსა დაუსვეს ავთანდილ, სურვილსა მოეკლა ვისსა (1543,2); მეფემან ბრძანა: „ჰე, ღმერთო, რად ცეცხლსა მომიდებ ნელად“ (1586,4); კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მასთა ნაც არსა (1613,1).

საგულისხმოა, რომ დაბალი შაირის ძირითადი რიტმისაგან გადახვევის ამ 19 შემთხვევიდან 10 მეოთხე ტაეპზე მოდის, 7 — მესამეზე, თითოც — მეორესა და პირველზე. ეს უკანასკნელი ეგრეთ წოდებულ ინდო-ხატაელთა ამბავში ვხვდებოდა, რომლის ავთენტურობას რუსთველოლოგთა უმრავლესობა უარყოფს. ასე რომ, შევევიძლია ვთქვათ: ასეთი გადახვევა რუსთაველს შესაწყნარებლად მიაჩნია მხოლოდ მაშინ, როცა სტროფის რიტმი უკვე გარაკვეულია მკითხველისათვის და ლექსის დინე-



ბას ვერ დააბრკოლებს. ეს კი არადა, ზოგჯერ არც იგრძნობა ხოლმე მკვლევარ-გალითად: „ჩემმან ხელმეძნელებან დამმართოს ლაღმან და ლაღმან-მა ნები“. ხოლო არ (ან თითქმის არ) იგრძნობა იმიტომ, რომ თანამიმდევრობა 3 3 2 მაინც იძლევა დაბალი შაირის მუდმივ მეტრულ სიდიდეებს — 3 5 (3+2). რიტმს ზოგჯერ განსაზღვრავენ როგორც მოძრაობის რაოდენობითი ჯგუფას პერიოდულ განმეორებათა ტალღისებრ პროცესს. დღეღვის ძალის საზომი ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინს თუ ვიხმარდით, შეიძლებოდა მეტრულ ერთეულთა ეს თანამიმდევრობა ასე წარმოგვედგინა: ორ სამბალიან ტალღას მისდევს ორბალიანი ნაცვლად კანონზომიერი მიმდევრობისა — სამბალიანი, ორბალიანი, სამბალიანი (ან ორბალიანი, ორი სამბალიანი). უკანასკნელი ორბალიანი ტალღა ერთს კი ჩაიკვცება, მაგრამ, თითქოს ერთ ბაღს წინამავალს (ცრემლისცა) დაესხეს ხაო. უმაღლვე აიქოჩრება და საერთო დინებას მიჰყვება. ეს, ცხადია, მხოლოდ შედარებაა, თვალსაჩინოებლსათვის მოხმობილი, და მაინც ნებისმიერი როდია: რიტმი (ბერძნულად რითმოს) ეტიმოლოგიურად ხომ დინების, მდინარის აღმნიშვნელ სტყვებს ენათესავენა.\*

\* დაინტერესებულ მკითხველს მიეუთითებთ საკითხისადმი მიძღვნილ ლიტერატურაზე: გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, 1973; რ. ბერიძე, შოთა რუსთაველის „რიტმული სვლა“ (კრებ. „რუსთავეის ჩირაღდნები“), 1978; ა. ხინთიბიძე, „ვეფხისტყაოსნის“ რიტმული ვარიაციებიდან, „ცისკარი“ № 3, 1981; ნ. ნათაძე, რუსთველური ლექსის ახალი კონცეფცია, „მნათობი“ № 12, 1985; ა. სილაგაძე, კვლავ რუსთველური ლექსის ახალი კონცეფციის შესახებ, „მნათობი“ № 4, 1986.



## განსაკუთრებით...

— რომელმა პროფანმა დაჯღაბნა ეს?! — იკითხა უფროსმა. — მე აქ სკოლა კი არ მაქვს გახსნილი...

„რას მერჩის? — ამიტაცა ფიქრებმა. — მაინცდამაინც ისე უნდა შეადგინონ წინადადებები, როგორც თავად ფიქრობს. ეს გემოვნების, ჰგერა-



თა ჰარმონიული შეთანხმების საკითხია. იმისი, რაც თავიდან იწყება, გადაბრუნებ-გადმობრუნებაც ხომ უსასრულოდ შეიძლება?“

— პინგვინ! — გამოძარკვია ხმაში. — სანოქტიურნო ხასიათზე მაყენებს ფრაზა: „რაც უნდა მოხდეს, არ უარვყოფ საკუთარ აზრს“. რა გამართავს ახლა ამ პრელუდიას?! — თქვა და გაუსვ-გამოუსვია კალამი.

— სმენა! — ათიოდ წამში დამთავრდა „ობერაცია“. — ასე არა სჯობს: „რაც არ უნდა მოხდეს, მაინც არ უარვყოფ ჩემს კუთვნილ აზრს“. შემდეგ ყოველივე ბრწყინვალედ ჟღერს: „განსაკუთრებით განსაკუთრებულია ბრძოლა ბუზების განადგურებისათვის, რომ განსაკუთრებით განსაკუთრებული არის, განსაკუთრებული კამპანია განსაკუთრებული სიცხის დროს“.

— ფენომენ!

— კიდევ კარგი, — არ დამასრულებინა სიტყვა, — ამდენს რომ ხელები!

— სოლომონ ზოილან, რატომ მტუქსავთ უნებლიე პროგრამისათვის? — თავი ჩავქინდრე მე. — ამ ანუარიშში, თქვენ რომ ცოცხალე წლის წინათ შეადგინეთ, არაფერი შემიცვლია სამიოდე სიტყვისა და ციფრების გარდა, — ვკადრე უფროსს და მისივე ხელნაწერის ანაბეჭდი მივაწოდე.

— მე შენ გიჩვენებ ციფრებს! სავარძლიდან აფრინდა სოლომონ ზოილინი — წადი და ისე ზუსტად დატოვე ყოველივე, როგორც თავად შემითხზავს, „ტოჟე მნე ლა-როშ-ფუ-კო!“

ჰო, აიღე ფანქარი და დასასრული ასე გადააკეთე: „დავალების განადგურებაში განსაკუთრებით გვაფერხებს ის, რომ განსაკუთრებით შერჩეული კვალიფიციური სპეციალისტები ნაკლებად მიმართავენ არაგანსაკუთრებულ შხამ-ქიმიკატებს, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია ფორსირებული შეტევის დროს“.

ერთი სიტყვით განსაკუთრებით გაუსვი ხაზი არაგანსაკუთრებულ მომენტებს.

განსაკუთრებით ნერვებადწყვეტილი ვავედი კაბინეტიდან და ჩემს განსაკუთრებით დანჯღრეულ მაგიდასთან მივლასლასდი, განსაკუთრებით დამაბულად შევეუდექი განსაკუთრებულ დავალებას და მალე კიდევაც გადამიყვანეს რომელიღაც განსაკუთრებით თეთრად შეღებილ შენობაში. მას შერე აქ ვიმყოფები და, ბუნებრივია, განსაკუთრებით ძაინტერესებს, როგორ გრძნობს თავს განსაკუთრებით ჰატივცემული სოლომონი.

**ვლადიმერ დარჩია.**

ბათუმის ცენტრალური გადასატვირთვალი ნავთობბაზის კულტურის სახლში გაიმართა დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას დაბადების 125 წლისთავის საიუბილეო საღამო.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის აქარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ზაღვაძე.

საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ პოეტები შ. ზოიძე, ვ. ანთაძე, ზ. გორგოლაძე, დ. გიგინეიშვილი, მ. ხაჩიძე, საშუალო სკოლის პედაგოგი თ. ოსეფაიშვილი, ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ლ. ლლონტი.

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა წარმოდგინეს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ლიტერატურული კომპოზიცია.

\*\*\*

ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის სახლში თეატრმა მორიგ პრემიერად მაცურებელს უჩვენა ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“. იგი დიდი პოეტის დაბადების 125 წლისთავს მიეძღვნა. წარმოდგენა გაიმართა ბათუმის ცენტრალური გადასატვირთვალი ნავთობბაზის კულტურის სახლში.

სპექტაკლი დადგა საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა თ. სულხანიშვილმა, მხატვრულად გააფორმა — ჯ. ჭინკაძემ, როლებს ასრულებდნენ: ტ. შავიშვილი, ზ. ზოიძე, გ. კუმლაშვილი, ლ. ქათამაძე, ვ. კვიციანიძე, ა. შოთაძე, შ. ძნელაძე, ვ. მიქელაძე.

აქარის პროფკავშირთა კულტურის საოლქო სახლის ბიბლიოთეკის საბჭომ ლიტერატურულ გვერთთანებასთან ერთად მოაწყო ვაჟა-ფშაველას დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენება გააკეთა ბიბლიოთეკის გამგემ ნ. ჭყონიამ. სიტყვით გამოვიდნენ მკითხველები და ლიტერატურული წრის წევრები ნ. კენაძე, ნ. ვეკუა, ნ. ბურჭულაძე, ქ. გიორგაძე.

დასასრულ გაიმართა ვაჟა-ფშაველას ლექსების მხატვრული კითხვა. დამსწრეებმა დაათვალიერეს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფოტოსტენდი და მხატვრული ლიტერატურის გამოვენა.

### გულთბილად მოიგონეს

საქართველოს მწერალთა კავშირის აქარის განყოფილების კლუბში გაიმართა ცნობილი ქართველი მწერლის პარმენ ლორიას დაბადების 90 წლისთავის საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის აქარის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ფ. ხალვაშმა.

სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები შ. ჭურბიძე, მ. ვარზანიძე, ქ. მუხავია, შ. ზოიძე, ვ. ახვლედიანი, ჯ. ქათამაძე, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ი. ბიბილეიშვილი, აქარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. შარაშიძე, მწერლის ქალიშვილი ლ. ლორია და სხვები.

### გასტროლებზე ლენინგრადში

მ. კუხიანიძის სახელობის აქარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი საგასტროლოდ იყო ლენინგრადში,

ხალც მთელი თვის განმავლობაში კონცერტებს მართავდა ახალგაზრდობის დიდ საკონცერტო დარბაზში. ნევისპირა ქალაქის მოსახლეობასთან ერთად ქართულ ხელოვნებას ეცნობოდნენ ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, ავსტრიელი, ავსტრალიელი, იაპონელი, აფრიკელი ტურისტები, სტუმრები მოძმე სახლხო-დემოკრატიული რესპუბლიკებიდან.

### იწვევინან ხულოს რაიონს

მე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეკრანებზე გამოვიდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები „ბაში-აჩუკი“.

ფილმის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ხულოს რაიონის მშრომლებს ეწვივნენ საქართველოს სახალხო არტისტები სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მედეა ჩახავა, ლია ელიავა, ოთარ კობერძე და სხვები.

### მსახიობის მემორიალური ღვაწი

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტ აკაკი მგელაძის ხსოვნის პატივსაცემად სახლს (გორკის ქ. № 44), რომელშიც ცხოვრობდა ცნობილი ხელოვანი, გაუკეთდა მემორიალური დაფა წარწერით „ამ სახლში 1962—1985 წ. ცხოვრობდა საქართველოს სახალხო არტისტი აკაკი მგელაძე“. ამ მოვლენასთან დაკავშირებით გაიმართა მიტინგი. ა. მგელაძის დამსახურებაზე თეატრალურ ხელოვნებაში ილაპარაკეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარემ დრამატურგმა ა. ჩხაიძემ, საქართველოს სახალხო არტისტმა ი. ცანავამ, ბათუმის პედინსტიტუტის დოცენტმა ი. ბიბილენიშვილმა, მწერალმა ჯ. ჯაყელმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ნ. საკანდელიძემ. ოჯახის სახელით მადლობა გადაიხადა მსახიობის ვაჟმა ნ. მგელაძემ.

### პრემიარ ბათუმის თეატრში

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მყურებელს მორიგ პრემიარად უჩვენა ე. მერკულოვას და ტ. საფაროვას ორმოქმედებიანი სატირა „ჩიწერეთ ნომერი“.

სექტაკლი დადგა რეჟისორმა ბ. ტოროჩაძემ, მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ა. ფილიპოვმა, მუსიკალურად — აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თ. შაბლაძემ, ქორეოგრაფიულად — აჭარის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა ნ. შალიკაშვილმა.

სექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ი. აბზიანიძე, ნ. ხინკაძე, ნ. წერეთელი, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები ლ. ჯიბლაძე, რ. კაკაურიძე, მსახიობები ბ. მუჟანაძე, თ. კუტურაძე, ნ. ძიძიგური, ლ. ზაქარიაძე, დ. მეგრელიძე, ი. ჭელიძე, ა. ქარჩავა, კ. პატარია.

### საინტერესო გამოვლენა

აჭარის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში მოეწყო ახალგაზრდა მხატვრის, თბილისის სახელმწიფო სახატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის თამაზ დარჩიას ნამუშევრების გამოფენა. წარმოდგენილი იყო 63 გრაფიკული ნამუშევარი.

თამაზ დარჩიას, როგორც მხატვარს, კარგად იცნობენ სახვითი ხელოვნების მოყვარულნი. მისი ნამუშევრები ხშირად აყო წარმოდგენილი თემატიკურ გამოფენებზე.

### „საბჭოთა აჭარამ“ გამოცდა

„შემოქმედის ცხოვრებაში დგება ისეთი დრო, როცა თავის ნაღვაწ-ნააზრევს თავს ერთად უყრის, მათგან უკეთესს არჩევს და ასე გაზომილ-აწონილს აწვდის მკითხველს. კრებულის ავტორსაც ასეთი ხანა დაუდგა — სამო-

ცდათი წელი შეუსრულდა. ამ საიუბი-  
ლეო თარიღს ეძღვნება პოეტის რჩეუ-  
ლიც“.

ამ ანოტაციით იხსნება პოეტ მაშია  
ვარშანისის პოეტური კრებული „ჩემს  
ტაძარში“, რომელიც ამას წინათ გამო-  
სცა გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“  
(რედაქტორი ზ. ფირცხალაიშვილი).

ერთ ნაწყვეტს მოვიტანთ ავტორი-  
სეულ წინასიტუვაობიდან: „პარველი  
ლექსი დაბეჭდე 1938 წელს, 1938  
წელს მიმიღეს მწერალთა კავშირის  
წევრად — ჩემს წიგნაკს ხელს აწერდა  
დიდი საბჭოთა მწერალი მაქსიმ გორკი.  
პირველი კრებული „მებრძოლის სიმ-  
ღერები“ გამოვეცი 1946 წელს... გამო-  
ცემული მაქვს ოცზე მეტი წიგნი“.

აი, ამ წიგნებიდან ამოკრეფილი ლე-  
ქსები და პოემები შევიღა საიუბილეო  
კრებულში. ესენია „ჩემი საფიცარი“,  
„მოდი, ნახე“, „ბათუმი“, „აჭარა ვარ“,  
„ლოდოსი“, „ხორუმი“, „შუამთობა“,  
„ხიხანის არწივები“, „სიზმარულა მეს-  
ხეთი ჩემი“ და მრავალი სხვა.

მთავარი მოტივი, რომელიც წითელ  
ზოლად გასდევს მაშია ვარშანისის შე-  
მოქმედებას, ეს არის სამშობლოს სიყ-  
ვარული. „ერთიანი საქართველო ფიცად  
გვკონდეს მარადისო“, — აცხადებს ავ-  
ტორი.

\* \* \*

„წვიმა და ოცნების გენერლები“ ჰქვია  
ვახტანგ ღლონტის ლექსების წიგნს,  
რომელიც ახლახან გამოიცა.

როგორც ანოტაციაში ვკითხულობთ,  
„ვახტანგ ღლონტის კრებულიდან საინ-  
ტერესო პოეტი წარმოგვიღებდა თავი-

სი საკუთარი კვრეტით და ჩემი  
იგი ერთგული რჩება ადრე არჩეული  
შემოქმედებითი ხაზისა — მკითხველამ-  
დე მიიტანოს ჩვენი მშფოთვარე საუკუ-  
ნის მაჯისცემა, ფიკრი, ტკივილი თუ  
ოცნება“.

კრებულში დაბეჭდილია ლექსები „სა-  
შობლო“, „ტრიოლეტები მამას“, „თო-  
ჯინა“, „მოგონებათა ქუჩაბანდებში“ და  
სხვა, სულ 26 ლექსი.

წიგნის რედაქტორია ზ. ფირცხალაი-  
შვილი, მხატვარი — ვ. ბესელია.

\* \* \*

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“  
მკითხველს მიაწოდა სოსო აბაშიძის  
წიგნი „უამი ფრთის გასწორებისა“, მას-  
ში შესული ლიტერატურული წერი-  
ლების უმრავლესობა სხვადასხვა დროს  
გამოქვეყნებულია პერიოდულ პრესაში,  
ამჟამად ავტორმა ერთ წიგნად აკინძა  
ისინი, ახალჯაზრდა კრიტიკოსი წერი-  
ლებში „გზა აღთქმისა გოლგოთისაკენ“,  
„უამი ფრთის გასწორებისა“, „პირველი  
წიგნის თვალსაწიერი“, „ლამაზი იმე-  
დი“, „აფრინე ალალი“, „ჩემი მიაკო-  
ესკი“, „ლამაზი სტარტი“, „ლამიანს  
გაუმარჯოს“, „თითო წუთი ვით თითო  
უკავილი“, „სიყვარულმა მათქმევინა“  
და „ვერც ამ საქმეთა გარეშე გავძელ“  
ნიმოიხილავს ვლადიმერ მაიაკოვსკის,  
რევუზ ჯაფარიძის, ზურაბ ფირცხალაიშ-  
ვილის, ნათელა დუმბაძის, ურუხუა ხა-  
ჯიშვილის, ნოდარ ძირკვაძის, ვახტანგ  
ღლონტის, შოთა ზოიძისა და ფრიდონ  
ხალვაშის ნაწარმოებებს

კრებულის რედაქტორია ლ. ბეჟანიძე,  
მხატვრული რედაქტორი — რ. ლომაძე.



გარეკანის 1-ლ ვერდზე — ვაჟა-ფშაველას ძეგლი ბათუმში.

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია

661/157

36115320  
31320110133

3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

**„ЧОРОХИ“**

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 78118